პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული. რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს. ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49. ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს საინფორმ.-ცნობ.-განყოფილების კომპლექტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

— ქ. რადომში (ჩეხო-სლოვაკია) პოლიციასა და მუშებს შორის შეტაკება მოხდა

— ამერიკამ ახალი ელჩი დანიშნა ჩინეთში.

— იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრმა მიიღო საბჭოთა საელჩოს მდივანი კუზნეცოვი.

— დე-მონზიმ ინახულა კრასინი და რაკოვსკი.

— ბელგრადში ფაშისტები ტერორს აძლიერებენ,

— გადადგა იტალიის სამხედრო მინისტრი.

სამშაბათი, 7 აპრილი 1925 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კ. № 78 (1233)

გამოაშკარავებული ცულლუტები

ვის არ ახსოვს ის საშინელი აურზაური, რომელიც ასტეხეს ინგლისის კონსერვატორებმა საპარლამენტო არჩევნების დროს ეგრედ წოდებულ „ზინოვიევის წერილის“ გამო. ყვიროდენ: კომუნისტური ინტერნაციონალი საიდუმლო წერილით მიმართავს ინგლისის მუშებს, აძლევს სამხედრო ინსტრუქციებს კომუნისტებს, გვიწყობს ინგლისში აჯანყებას არსებული წესწყობილების დასანგრევათ. მათ დაუხატეს ამრჩევლებს მთელი საშინელება აჯანყებისა, ხოცვა-ჟლეტისა და მთელი „ცივილიზაციის“ დანგრევის. საარჩევნო შედეგები ვიცით. მაგრამ როდესაც მათ კატეგორიულათ წაუყენეს მოთხოვნა გამოეტანათ დღის სინათლეზე ეს „საიდუმლო წერილი“, შეედგინათ საგანგებო კომისია საქმის გამოძიების მიზნით და სინათლის მოსაფენათ ამ ბნელ საქმეზე, ცულლუტები შედრკენ და ამაზე უარი განაცხადეს. საქმე ამით დათავდა. აშკარა გახდა ყველასათვის გარდა ძალით დაბრმავებულისა, რომ მთელი ეს „წერილი“ შეთხზული იყო ინგლისის აგენტების მიერ.

მაგრამ იტყვიან: წინა კაცი უკანა კაცის ხიდიაო. და ინგლისელ კონსერვატორების მაგალითს მიბაძეს და იმ გზას გაყვენ სხვებიც. სამხრეთ-სლავიაში აღმოაჩინეს მეორე დოკუმენტი თითქოს გლეხთა ინტერნაციონალის წერილი რადიჩისადმი. საქმის კანონიერი გზით გამორკვევაზე არც აქ შეიწუხეს თავი, უკეთესათ რომ ვსთქვათ მთავრობამ ვერ ... და კანონიერი მსვლელობა მიეცა საქმისთვის. ამის შემდეგ იგივე განმეორდა პოლონეთში და სულ უკანასკნელათ საფრანგეთში, თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში ბრალს სდებდენ არა უკვე კომინტერნს, არამედ საფრანგეთის კომპარტიას.

ჩვენ თავიდანვე ვამბობდით, რომ ევროპის ბურჟუაზიულ მთავრობებს ესაჭიროებათ, უკიდურესათ ესაჭიროებათ ზინოვიევის „საიდუმლო წერილები“, რათა გააძლიერონ, გაათ-გაასკეცონ კომუნისტების დევნა თავიანთ ქვეყნებში და მუდმივ ნერვიულ მდგომარეობაში იყოლიონ „საზოგადოებრივი აზრი“, აამუშავონ ის აქტიურად კომუნისტებისა და საზოგადოთ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ვამბობდით, რომ ეს „საიდუმლო წერილები“ განზრახ შეთხზულია ამ მიზნით და რომ სინამდვილეში არავითარი ასეთი წერილები არ ყოფილა. ჩვენ მაშინვე ვუთითებდით იმაზე, რომ საგარეო და საშინაო „საქმეთა“ ჯურღმულები ევროპის ბურჟუაზიული მთავრობებისა ამზადებენ ამ „საქონელს“ თუ „მასიური მოთხოვნილებისას“ არა, ყოველ შემთხვევაში და პირველ ყოვლისა მასების გამოსაყეყეჩებლად, მათ მოსატყუებლად და გზის ასაბნევად. და რომ ეს ასეა ამას საბოლოოთ ააშკარავებს ერთი შემთხვევა (და რამდენია ასეთი ჯერ კიდევ ჩვენ არ ვიცით), რომელსაც აქვეყნებს გერმანიის კომპარტიის ცენტრალური ორგანო „როტე ფანე“ („წითელი დროშა“ 24 მარტი № 67). მას ხელში ჩავარდნია თითქოს კომუნისტური ინტერნაციონალის ბლანკი, რომელსაც ჩვენ აქვე ვათავსებთ.



И. К. К. И.

Центральная Секция

ОТДЕЛА

ВНЕШНИХ СНОШЕНИИ

19 г.

№

МОСКВА.

როგორც მკითხველი დაინახავს ბლანკზე აღნიშნულია ოთხი ასო: ი. კ. კ. ი., ე. ი. „კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი“, შემდეგ მიდის საბჭოთა ემბლემა, ქვევით აწერია: „საგარეო საქმეთა განყოფილების ცენტრალური სექცია“ და ბოლოს: მოსკოვი. როგორც „როტე ფანე“-ს რედაქციას გამოურკვევია ბლანკები დაბეჭდილია ბერლინის ერთ-ერთ სტამბაში. გაზეთი აქვეყნებს „მბეჭდავი პირის“ ვინაობასაც. ის არის საიდუმლო აგენტი გვარად გუჩინსკი-გოლუშევსკი, ნაჩვენებია დაწვრილებით მისი მისამართიც, ვისი დავალებით „მუშაობდა აგენტი—ამის შესახებ, არავითარი ცნობა არ არის. ამის გამორკვევა საინტერესო იქნებოდა, მაგრამ ის ვერაფერს შემატებს თვით ფაქტის არსების მნიშვნელობას. უმთავრესია ამ შემთხვევაში ის, რომ ბურჟუაზიის საიდუმლო აგენტურამ შეხანხლა ვითომდა კომუნისტური ინტერნაციონალის ბლანკის ტექსტი დაბეჭდა ის ბერლინის ერთ-ერთ სტამბაში და „საჭიროების“ მიხედვით ხმარობდენ. ჩვენ არავითარი ცნობა არა გვაქვს ჯერ კიდევ იმის შესახებ, იყო თუ არა ინგლისელ კონსერვატორების მიერ აღმოჩენილი „ზინოვიევის წერილი“ დაწერილი ერთ-ერთ იმ ბლანკზე, რომელიც დაიბეჭდა ბერლინის სტამბაში, მაგრამ ამას არც ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს. აქ საინტერესოა ის ცულლუტობა, რომელსაც მიმართავენ ბურჟუაზიული მთავრობები. „ჩვენ რომ ეს საქმე არ აღმოგვეჩინა—სწერს „როტე ფანე“—ეჭვი არ შევიდოდა იმაში, რომ პრეზიდენტის არჩევნების დროს ჩვენ გაგვიმასპინძლდებოდნენ კიდევ ერთი „ზინოვიევის წერილით“-ო.

ამნაირათ აშკარა უნდა შეიქნეს ყველასათვის ბურჟუაზიულ ქვეყნებში, რომ ევროპის ბურჟუაზიული მთავრობების საიდუმლო აგენტები ამზადებენ ბლანკებს, სთხზავენ ყალბ წერილებს ხან კომუნისტური ინტერნაციონალისას ზინოვიევის ვითომდა ხელის მოწერით, ხან გლეხთა ინტერნაციონალისას, ხან კიდევ ამა თუ იმ ქვეყნის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისას ერთად ერთი მიზნით „საზოგადოების“ მოსატყუებლათ და საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ ასამხედრებლათ, იმავე დროს სჩადიან ამას ისე ტლანქად და უშნოთ, ისე უხერხულათ, რომ ყველა, გარდა ბეციისა, თუ მას გაეგება პოლიტიკური ანბანი, მიხვდება, რომ საქმე აქვს აშკარა სიყალბესთან.

მხოლოთ ასეთი „ფანდებით“ შეუძლიათ კიდევ ბურჟუაზიულ ქვეყნების ბატონ-პატრონებს იბოგინონ რამოდენიმე ხანს, ასეთი ტყუილებითა და თაღლითობით გააჭიანურონ დღენი მათი ცხოვრებისა.

ცეკას პლენუმის შედეგები

ა | წ. 2 აპრილს გაიხსნა ს. კ. პ. ცეკას გაფართოებული პლენუმი, რომელზედაც დაესწრენ ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრები და სამაზრო კომიტეტების პასუხისმგებელი მდივნები. პლენუმის მუშაობამ გასტანა სამ დღეს, დაიხურა 4 აპრილს.

რა საკითხები იდგა პლენუმის დღის წესრიგში?

ჩვენ ვიცით, რომ ცეკას პლენუმებზე წინეთ ისმებოდა უმეტეს ნაწილად წმინდა პოლიტიკურ და ეკონომიურ ხასიათის საკითხები. ამ შემთხვევაში უკანასკნელი პლენუმი წარმოადგენს გამონაკლისს. მის დღის წესრიგში ჩვენ ვხედავთ შემდეგ საკითხებს: 1) მოხსენება სენაკის და სიღნაღის სამაზრო კომიტეტებისა თავიანთ მუშაობის შესახებ, 2) პარტ-მშენებლობის ამოცანები სოფლად, 3) ახ. კომკავშირის ცეკას მოხსენება და 4) ქალთა მუშაობის ამოცანები სოფლად.

მარტოდ დღის წესრიგში დასმულ საკითხების უბრალო ჩამოთვლა ნათელ ყოფს იმას თუ რა ხასიათის და შინაარსის იყო პლენუმის მუშაობა.

ყველა საკითხები ირჩეოდა სოფლად მუშაობის თვალსაზრისით. ორატორების ყველა გამოსვლებში მოსჩანდა ჩვენი სოფელი, ჩვენი გლეხი, სოფლის პარტ-უჯრედები თავიანთ დადებითი და უარყოფითი მხარეებით.

ორი მაზრის შესახებ მოხსენების გამო, პლენუმმა ხაზ-გასმით აღნიშნა, რომ სიღნაღის და განსაკუთრებით კი სენაკის ორგანიზაციებს ჯერ-ჯერობით ვერ გაუტარებიათ ოქტომბრის პლენუმის დადგენილებანი. განსაკუთრებით პლენუმმა აღნიშნა, რომ სენაკის და ნაწილობრივ სიღნაღის ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ შესძლეს გადასცლიყვენ მუშაობის ახალ მეთოდებზე, ვერ გააბეს უპარტიო გლეხობასთან მჭიდრო კავშირი, ვერ შექმნეს პარტიის გარშემო უპარტიო გლეხთა აქტივი და სხვა. გარდა ამისა პლენუმმა მიუთითა სენაკის სამაზრო კომიტეტს, რომ ამ უკანასკნელმა სარწმუნოების საკითხში კიდევ ბევრი უნდა გააკეთოს, მისცეს საშუალება მოსახლეობის მორწმუნე ნაწილს თავისუფლად დაიკმაყოფილოს თავისი სარწმუნოებრივი მოთხოვნილებანი.

ახ. კომკავშირის ცეკას მოხსენების გამო პლენუმმა აღნიშნა მრავალი მიღწევანი ლენინელთა კომკავშირის მუშაობაში ქალაქად და სოფლად, რაც გამოიხატა ორგანიზაციების ზრდაში და მათ კულტურულ და პოლიტიკურ დონის ამაღლებაში. მასთან ერთად პლენუმმა მიუთითა ზოგიერთ დეფექტებზე, კერძოთ აღნიშნა კომკავშირის ორგანიზაციების ზედმეტი გატაცება ადმინისტრატიული საქმიანობით, განსაკუთრებით კი სოფლად. ამასთან ერთად პლენუმმა უარყო ის აზრი, ვითომ კავშირის მიზან-დანიშნულებას შეადგენდეს მხოლოთ კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა. პლენუმმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ახ. კომკავშირის ხელმძღვანელობა პარტორგანიზაციების მხრივ არ იყო დამაკმაყოფილებელი. ამ ნაკლის გამოსასწორებლათ მიიღო მთელი რიგი პრაქტიკულ ღონისძიებათა.

მესამე საკითხის გარშემო—პარტ-მშენებლობა სოფლად—გაიმართა გაცხოველებული კამათი და აზრთა გაზვლა-გამოცვლა. პლენუმის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო პარტიის ძირითად აპარატის წყობის შეცვლის საკითხმა. ამ საკითხის გარშემო ერთი თვის წინეთ დისკუსია გაიმართა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე: ამხანაგების ერთი ჯგუფი იცავდა რაიონულ სისტემას, მეორე კი —მოითხოვდა რაიონიზაციის მოსპობას და თემურ სისტემაზე გადასვლას. პლენუმზეც ამ საკითხის გარშემო გაიმართა ისეთივე ხასიათის დისკუსია, როგორიც იყო პრესაში. პლენუმმა გამოყო სპეციალური კომისია, რომელმაც სპეციალურათ განიხილა ეს საკითხი. დასასრულ მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია: თემკომებზე გადასვლა ჩაითვალოს ნაადრევათ, ხოლო გამოცდილების შესასწავლათ გამოიყოს ორი მაზრა, სადაც მოხდეს თემურ სისტემაზე გადასვლა და მხოლოდ მაშინ, როდესაც იქნება ყოველმხრივ შესწავლილი და გათვალისწინებული მათი გამოცდილება, დაისვეს საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენათ მიზანშეწონილი იქნება რაიკომების დაშლა და თემკომებზე გადასვლა.

პარტ-მშენებლობის დანარჩენ მუხლებს აზრთა სხვაობა პლენუმზე თითქმის არ გამოუწვევია, რის გამო უმნიშვნელო შესწორების შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული. ამ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი: სოფლად პარტმუშაკების პარტიულ და პოლიტიკურ ცოდნის დონის ასამაღლებლათ პლენუმმა სცნო აუცილებელ საჭიროთ პარტიულ ჟურნალის გამოცემა დაახლოებით ისეთივე პროგრამის როგორიც არის რ. კ. პ. ცეკას ჟურნალი „Деревенский Коммунист“.

როგორც ეტყობა, მოთხოვნილება ასეთ ჟურნალზე დიდია ადგილებზე, რასაც ერთხმად ამტკიცებენ სამაზრო კომიტეტების მდივნები და სხვა მაზრის მომუშავენი.

ჩვენს პარტიის აქტივს სოფლად ყოველ-დღიურ გაზეთების გარდა, ისეთი ლიტერატურის მოთხოვნილება აქვთ, რომელიც შესძლებს მის პარტიულ და პოლიტიკურ მომზადების დონეს აწევას. ეს მეტად საპატიო როლი პლენუმის დადგენილებით დაეკისრება ჟურნალ „სოფლის კომუნისტს“, რომელიც უნდა გამოიცეს ახლო მომავალში ცეკას ხელმძღვანელობით.

დასასრულ, პლენუმმა მოისმინა მოხსენება ქალთა შორის მუშაობის მორიგ ამოცანებზე სოფლად, რომლის შესახებ მიღებული იქნა მთელი რიგი პრაქტიკულ ღონისძიებათა.

ალ. ბობოხიძე.

სოფლის გაზეთების ზოგიერთ ნაკლზე

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში აქ შესდგა სოფლის გაზეთების რედაქტორთა სრულიად საკავშირო თათბირი. მთელ საბჭოთა რესპუბლიკებში ჩვენ ამ ხანად უკვე ას ორმოცი სოფლის გაზეთი მოგვეპოვება. მათი საერთო ტირაჟი ერთ ნახევარ მილიონს უდრის. ამნაირად ბევრი აღარაფერი გვრჩება იქამდე, რომ ყოველ ათ მცხოვრებზე თითო გაზეთი მოდიოდეს.

ადრინდელთან შედარებით, როცა გლეხთა ცალკე პრესა თითქმის არც არსებობდა, ეს დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მასთან ერთად სოფლის გაზეთით უზრუნველყოფის საქმეს ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლებები ელობება წინ.

იმის გარდა, რომ მრავალმილიონიან გლეხთა მასებში გაზეთის ფართოდ გავრცელებას ხელს უშლის წერა-კითხვის უცოდინრობა, გზების უქონლობა და ფოსტა-ტელეგრაფის სიძვირე, არის მთელი რიგი მნიშვნელოვან დეფექტებისა, რომელსაც ჩვენ ვხედებით სოფლის გაზეთის ყოველდღიურ მუშაობაში და, რომელიც ბევრჯერ ამ გაზეთების საერთო სენადაა გადაქცეული.

მათზე შეჩერება მით უფრო ღირს, რომ ამ ნაკლის თავიდან აცილება არც ისეთ დიდ სიძნელეს წარმოადგენს, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი ისტორიულად შექმნილი ეკონომიური და კულტურული პირობები.

პირველ ყოვლისა ენა ჩვენ დროს, როცა გაზეთი კულტურულ და პოლიტიკურ აღმზრდელობის უდიდეს იარაღს წარმოადგენს, ენის სიმარტივეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

მით უფრო ითქმის ეს გლეხის შესახებ, რომელიც ბევრ შემთხვევაში პირველათ იღებს ხელში გაზეთს და მისი საშუალებით არა მარტო ქვეყნის ავკარგიანობას ეცნობა, არამედ ხშირად გაზეთის ფურცლებზე კითხვაშიაც ვარჯიშობს და ენას იმართავს.

რა თქმა უნდა ყველა პროფესიონალ ჟურნალისტს, რომელიც ქალაქში დაბადებულა, აღზრდილა და ქალაქშივე რედაქტორობს სოფლის გაზეთს, ვერ შესწევს უნარი გლეხის გასაგებ სიტყვებში ჩამოასხას თავისი აზრები. ზოგჯერ ასეთი ცდა მას უხერხულ მდგომარეობაში აყენებს, რადგან გლეხის მახვილი თვალი უკვე ამჩნევს სტრიქონებ შუა დამწერის კალამს და ამის გამო უნდობლად ეკიდება თვით გაზეთსაც.

ამასთან ერთად მოწინავე გლეხს კიდევაც სწყინს, როცა მას განზრახ შეთხზული ბალღური ენით ელაპარაკებიან და ამით საშვალებას უსპობენ წინ წავიდეს ენის შესწავლაში.

ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევათ ჩვენს სოფლის გაზეთებს კარგი სახსარი მოეპოვება, რომელიც, სამწუხაროთ, დღემდი არაა სავსებით გამოყენებული. ესაა გლეხკორთა სტიქიური მოძრაობა.

გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ გლეხთა კორესპონდენტის წერილი მეურნეობის შესახებ, რომელიც აშენებულია საკუთარ დაკვირვებაზე და გამოცდილებაზე, სწავლულ აგრონომების ბევრ თეორიულ ტრაქტატებსაც გაახუნებს. სხვა მასალაზე, რომელიც სოფლის ყოფა-ცხოვრებას შეეხება ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

მიუხედავათ ამისა ზოგიერთი სოფლის გაზეთი ისე მაგრათ უსვამს ადგილიდან მიღებულ კორესპონდენციას სარედაქციო შალამინს, რომ ხშირად დამწერი თვითონაც ველარ ცნობილობს მის წერილში საკუთარ თავს.

მეორე ნაკლი, რომელიც აქვე უნდა აღინიშნოს, თვით წერილების შინაარს შეეხება.

ხშირია სოფლის გაზეთი იმის ნაცვლად, რომ მან გლეხს ყოველდღიურ ჭირვარამზე ესაუბროს და მისი გულის მესაიდუმლე გახდეს, ჰაი-ჰუის და ბაქი-ბუქიობით სავსე ხასიათის წერილებს ათავსებს.

დონიჯებ შემოყრილი ემუქრება გაზეთი საერთაშორისო რეაქციას, ჩემბერლენებს, ერრიოებს და ამავე დროს აი უნიშიაც არ მოსდის, რომ გლეხს, ვისთვისაც იწერება ეს რიხიანი სტატიები, სპიჩკის და ნავთის კითხვა, კოოპერატივის მოუწესრიგებლობა, გარეშე სამუშაოს ძებნის საქმე, არშინი ნარმის ფასი (და კიდევ რამდენი რა) აწუხებს.

არ უნდა ეს არაფერი სოფელს. მას ის უფრო მოსწონს, როცა იმაზე ელაპარაკებიან, რაზედაც გული სტკივა. როცა ხელს არ აფარებ ბოროტებას, რომლის მოწამეც ის ხშირად არის და უჩვენებ ამ ბოროტებიდან უმტკივნეულოდ თავის დასაღწევ გზას.

ამას წინათ თეთრგვარდიელი ჟურნალისტი, ბ. მირსკი, სწერდა: „ბოლშევიზმი ზრდის ისეთ თაობას, რომელსაც არ ესმის რა არის გაზეთი, ჟურნალისტიკა, ლიტერატურა; რა არის მწერალი, ჟურნალისტი, ან რით განსხვავდება რედაქცია საგანგებო კომისიისაგან“.

რაც შეეხება საბჭოთა რედაქციისა და საგანგებო კომისიის ფუნქციების (და არა მიზნის) ერთმანეთისაგან განსხვავებას, ამის დასამტკიცებლათ ჩვენ თავის შეწუხება არ დაგვჭირდება. ეს განსხვავება არავინ ისე კარგათ არ იცის, როგორც თეთრგვარდიელთა ზუბრებმა.

მაგრამ აღსანიშნავი ისაა, რომ გადახვეწილი კონტრ-რევოლიუცია მირსკის პირით ერთხელ კიდევ იმეორებს ასჯელ გადაღეჭილ და გაცვეთილ დებულებას ჟურნალისტიკის „უბიწოების“, მის ზეკლასიურ თვისებების შესახებ.

ბოლშევიკები კი იმდენათ „გაველურდენ“, რომ სოფლის კულტურული და პოლიტიკური აღმზრდელობის საქმე მეტნაწილად გაზეთს დააკისრეს.

სოფლის გაზეთების რედაქტორთა თათბირმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გლეხის გაზეთი იარსებებს მხოლოდ გლეხების უშუალო და მასიურ თანამშრომლობის შემწეობით. საბჭოთა პრესის დამახასიათებელი თვისება სწორედ ისაა, რომ მან ყოველი მოქალაქე გულ-გრილ მკითხველიდან შემქმნელ სიტყვის აქტიურ ძონაწილეთ გახადოს. მუშკორთა და გლეხკორთა მოძრაობა ამის საუკეთესო დამამტკიცებელია. მიუხედავათ არსებულ ნაკლულევანებებისა საბჭოთა ჟურნალისტიკამ დიდ გამარჯვებას მიაღწია. მას მომავალშიაც განვითარების ფართო ასპარეზი აქვს წინ.

ბ. ჭყონია.

მოსკოვი, 30 მარტი.

საქართველოს საბჭოთა მესამე ყრილობა

მთავრობის მოხსენება

ყრილობის საზეიმო გახსნა

5 აპრილს საღამოს 6 ნახ. საათზე რუსთაველის თეატრში გაიხსნა სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობა.

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვა

სრულიად საქართველოს საბჭოთა მესამე ყრილობის პირველ სხდომას გახსნილად ვაცხადებ —ამბობს ამხ. მიხა ცხაკაია (დარბაზი ფეხზე დგება, მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს).

ჩვენ გულდამშვიდებით ვერ შევუდგებით საქმიანობას, განაგრძობს ამხ. ცხაკაია, ყრილობის დღის წესრიგში დასმულ საკითხების გარჩევას, თუ არ მოვიხსენიეთ ყველა ქვეყნის მშრომელთა ქომაგი და მეგობარი, საერთაშორისო რევოლიუციის ხელმძღვანელი ბელადი ამხ. ლენინი.

სულ ცოტა ხნის წინად საბჭოთა კავშირის მშრომელმა ხალხმა დაჰკარგა კიდევ რამოდენიმე თავდადებული მებრძოლი. ჩვენს რიგებს გამოაკლდა აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხთა ინტერესების დამცველი, დიადი საზოგადო მოღვაწე და რევოლიუციონერი ამხ. ნარიმანოვი; ცხოვრების შუა გზაზე დაეცენ აგრეთვე შეუდრეკელნი და უშიშარი მებრძოლნი ამხ. ვლადიმიროვი და მარხლევსკი.

ამით არ ამოიწურება ჩვენი დანაკლისი. უეცარი შემთხვევით ტრაღიკულად დაიღუპენ რევოლიუციონერები,—რომელთაც რევოლიუციას მიუძღვნეს მთელი თავისი ნიჭი, მოხერხება და შრომის უნარი. კიდევ დიდი დაუფასებელი სამსახურის გაწევა შეეძლოთ საბჭოთა კავშირის მუშა-გლეხებისათვის უდროოდ დაღუპულ ამხანაგებს მიასნიკოვს, გ. ათარბეკოვს და სოლ. მოგილევსკის.

ამასთანავე არ შეგვიძლია არ მოვიგონოთ საბჭოთა ხელისუფლების ერთგულნი, პატიოსანი მშრომელნი ამხ. ამხ. შპილი და საღარაძე, რომელთაც გაიზიარეს დაღუპულ ამხანაგთა ტრაღიკული ხვედრი. ჩვენი ვალია დიდ ბელადთან და ახლა ხან დაკარგულ ამხანაგებთან ერთად ფეხზე ადგომით პატივი ვსცეთ მათ ხსოვნას (დარბაზი ფეხზე დგება, მუსიკა უკრავს სამგლოვიარო მარშს).

შემდეგ ამხ. მიხა ცხაკაია მიმოხილვას უკეთებს პირველი და მეორე მოწვევის საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საქმიანობას და აღნიშნავს, თუ რა ხასიათის მუშაობა უწარმოებია ცენტ. აღმას. კომიტ.

შემდეგ ორატორი მოკლედ ეხება საბჭოთა კავშირის შინაურ და საგარეო მდგომარეობას და იმ ცვლილებებს, რომელიც საბჭოთა ქვეყნებმა განიცადეს ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ.

საბჭოთა ქვეყნების როგორც შინაური სამეურნეო, ისე საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა განმტკიცებულია უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე ყოფილა. ჩვენ შევძელით გამარჯვება ჩვენს კლასიურ მტრებზე — ბურჟუაზიულ სახელმწიფოებზე, რომელთაც იცნეს ჩვენი დამოუკიდებლობა, ამავე დროს ჩვენ დავიმეგობრეთ აღმოსავლეთის ჩაგრული ერები, რომელნიც ყოველთვის ჩვენთან იქნებიან საერთაშორისო იმპერიალიზმთან წარმოებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვას ყრილობა ტაშისცემით ხვდება.

სიტყვა ეძლევა მუშა დელეგატს ამხ. ოქიაშვილს.

ამხ. ოტიაშვილის სიტყვა

პოლონეთის ფაშისტურმა მთავრობის დამქაშებმა ჩვენს რიგებს გამოაკლეს ორი საუკეთესო ამხანაგი—ბაგინსკი და ვეჩორკევიჩი. ასეთი ვერაგობა პოლონეთის ფაშისტური მთავრობის მხრით პირველი არ არის. იმ მიზნით, რომ მომავალშიაც არ განმეორდეს პოლონეთის შავრაზმელების ასეთი მხეცური გამოსვლა, ჩვენ—საქართველოს მუშები პოლონეთის მთავრობისაგან მოვითხოვთ მკვლელთა დასჯას.

ამავე საკითხზე სიტყვა ეძლევა გლეხ მელაძეს, რომლის გამოსვლას ყრილობა ტაშისცემით ეგებება.

ამხ. მელაძის სიტყვა

ამხანაგებო,—საუკეთესო ამხანაგები დაგვიხოცეს! რათ დაგვიხოცეს, რას გვემართლებოდენ? დე, იცოდენ ჩვენმა მტრებმა, რომ საბჭოთა მთავრობა დღეს ჩამოსხმულია ფოლადივით ისე, რომ მათ კი არა, სხვებსაც ცხვირს დავამტვრევთ...

ეხლა გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ ვერაგულად დაღუპულ ამხანაგთა ხსოვნას. (ყრილობა ფეხზე დგება, მუსიკა უკრავს სამგლოვიარო მარშს.)

ამხ. პ. საყვარელიძის წინადადებით ყრილობამ ერთხმად მიიღო შემდეგი

საპროტესტო რეზოლიუცია

საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა საბჭოთა დელეგატების მესამე ყრილობამ მოისმინა რა ცნობა პოლონეთის მთავრობის აგენტების მიერ მუშათა და გლეხთა საქმისათვის თავდადებული ორი ჩვენი ამხანაგის ბაგინსკის და ვეჩორკევიჩის მუხანათურათ მოკვლის შესახებ, გამოსთქვამს თავის უსაზღვრო გულის წყრომას ამის გამო და იმედოვნებს, რომ ევროპის იმპერიალისტთა გულის მოსაგებად მოქმედე პოლონელი პანები ვერ შესძლებენ პოლონელ მშრომელთა გულში რევოლიუციონურ ცეცხლის ჩაქრობას და მონობის ჯაჭვების დამსხვრევის სურვილის აღმოფხვრას.

საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა საბჭოთა დელეგატების მესამე ყრილობა გამოსთქვამს სასტიკ პროტესტს და გმობს პოლონეთის მშრომელი ხალხის ჯალათებს და მასთან ერთად ძმური სალამს უძღვნის პოლონეთის მუშებს და გლეხებს.

იყავით მედგარი ბრძოლაში, ამხანაგებო, ძმური კავშირი, რომელიც გვაერთებს თქვენთან, უფრო მძლავრი და განუყრელი იქნება ამიერიდან.

საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა დელეგატების მესამე ყრილობა მოითხოვს საკავშირო მთავრობისაგან მიიღოს უმტკიცესი ზომები, რათა აღვირახსნილი პოლონელი პანების მთავრობამ ვეღარ გაბედოს შემდეგში რაიმე ამის მსგავსის განმეორება.

ძირს პოლონეთის მშრომელი ხალხის გათახსირებული ჯალათები. გაუმარჯოს პოლონეთის მუშების და გლეხების რევოლიუციონერ ბრძოლას!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისა და პოლონეთის მშრომელი ხალხის მჭიდრო კავშირს!

მისალოცი დეპეშები

შემდეგ ყრილობა ისმენს მისალოც დეპეშებს.

წაკითხულ იქნა დეპეშა აზერბეიჯანის სახ. კომისართა საბჭოდან, რომელიც ყრილობას უსურვებს ნაყოფიერ მუშაობას საქართველოს მშრომელთა საკეთილდღეოდ და ამიერ-კავკასიის ერთა კავშირის განსამტკიცებლად.

ასეთივე ხასიათის დეპეშა მიღებული ნახიჩევანის რესპუბლიკიდან.

ყრილობას დეპეშით ესალმება აგრეთვე ცენტრ. პარტიული სკოლის კომუჯრედი.

დასასრულ წაკითხულ იქნა ბერლინიდან მიღებული მისასალმებელი დეპეშა.

„ახალი საქართველო“-ს რედაქციისაგან

ახალი საქართველოს რედაქციის და იმ ჯგუფის სახელით, რომელიც საბჭოთა საქართველოს იდეის გამარჯვებისათვის იბრძვის საზღვარ გარეთ, მივესალმებით საქართველოს საბჭოთა მე-3 ყრილობას და ვუსურვებთ მას ნაყოფიერ მუშაობას. სწორე პოლიტიკის ლოღიკამ დაგვაკისრა ვიბრძოლოთ ემიგრაციის საკითხის მოხსნისათვის და ვებრძოლოთ თქვენთან ერთად ევროპიდან მომავალ ილიუზიებს. მე მრწამს ამის სიმართლე ისე, როგორც მწამს თქვენი ბრძოლის უნარი მშრომელი ხალხის და საქართველოს სასარგებლოთ. და დღეს, როცა ბრძოლა საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ გადადის სხვა ფორმებში—„ახალი საქართველო“-ს ჯგუფის სახელით გვინდა განუცხადოთ ყრილობას, რომ ამ ბრძოლაში ჩვენ ვიქნებით საბჭოთა საქართველოს ავანგარდში საზღვარ გარეთ. ემიგრაციის მოხსნა, ევროპიდან შექმნილი ილიუზიათა ლიკვიდაცია, ჩვენი ქვეყნის უდაო განმტკიცება საბჭოთა კავშირში და შრომა ჩვენი ქვეყნის წარმატებისათვის—არის და დარჩება ჩვენს ლოზუნგათ საქართველოში და საზღვარ გარეთ.

მიიღეთ ჩვენი პატივის-ცემა.

ვ. მაშელი.

ზეიმის დასრულების შემდეგ ყრილობა შეუდგა არჩევნებს.

პრეზიდიუმის არჩევა

საპატიო პრეზიდიუმში

ერთხმა დარჩეულნი არიან ამხ. ამხ. სტალინი, კალინინი, რიკოვი, ზინოვიევი, კამენევი, კრუპსკაია, ფრუნზე, ლაპცუცკი, ალამალი-ოღლი და ამბარცუმიანი.

საქმიან პრეზიდიუმში:

ცხაკაია, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი, მახარაძე, ელიავა, გეგეჭკორი, სტურუა ვანო, ოკუჯავა მიხა, ქართველიშვილი, კახიანი, სუხიშვილი, თოდრია სილიბისტრო, ნაზარეტიანი, გუსეინოვი მ. დ., დოლიძე ანდრო, კორკი, ყურულაშვილი, დარახველიძე, ორახელაშვილი მარიამი, მათიკაშვილი, კვანტალიანი, ჩამბა, ხიმშიაშვილი ტ. ჯატიევი, შაბანოვი, ლორთქიფანიძე, გოგია, ქურდაძე, ვაშაძე, ვარამიშვილი, ელისაბედაშვილი, უპარტიოთაგან: ვასილი პარასკევა (სენაკი), შოგირაძე მათე (ზუგდიდი), ლობილაძე ვერა (რაჭა), ხახნელიძე (ლეჩხუმი), ნაბი ისკანდერ ოღლი (ახალციხე), მინასიანი ისკუნ, შუშანაშვილი თებრო, (დუშეთი) დარჩია თეოლინა (ოზურგეთი), ბერიძე ნინუშია (აჭარა).

სამდივნოს და კომისიების არჩევა.

სამდივნოში ერთხმად არჩეულ იქნენ ამხ. ამხ. სვანიძე, გობედიშვილი, ბედია მაკარი, ლვამიჩავა, წულუკიძე, გიორგაძე არჩილი და ბახტაძე ვალენტინა.

სამანდატო კომისიაში.

ამხ. ამხ. ივანოვ-კავკაზსკი, ცინცაძე პარმენი, შოგირაძე, რამიშვილი და სონღულაშვილი.

სარედაქციო კოლეგიაში.

ამხ. ამხ. ასრიბეგოვი, კიკნაძე ნიკო, საყვარელიძე პავლე, ელენტი თენგიზ და კვაჭაძე.

დღის წესრიგი

ყრილობამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

1) ს. ს. ს. რ. მთავრობის მოხსენება.

2) მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის მოხსენება.

3) სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოხსენება.

4) მოხსენება ტერიტორიალურ ნაწილების შესახებ.

5) განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენება.

6) სასოფლო-სამეურნეო კრედიტის შესახებ.

7) ა | კ. ს. ფ. ს. რ. კონსტიტუციის გადასინჯვა.

8) არჩევნები.

9) მიმდინარე საკითხები.

რეგლამენტის მიღების შემდეგ საქ. საბჭოთა მესამე ყრილობის პირველი სხდომა იხურება საღამოს 9 საათზე.

მეორე სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. მიხა ცხაკაია

საქართველოს მთავრობის მოქმედება

(ამხ. შ. ელიავას მოხსენება)

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა

თავისი მოხსენების შესავალში ამხ. შალვა ელიავა მოკლე მიმოხილვას უკეთებს საბჭოთა კავშირის, ამიერკავკასიის და საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობას. გასულ წელს,—აცხადებს მომხსენებელი—საბჭოთა კავშირი, როგორც თანასწორუფლებიანი, დამოუკიდებელი სახელმწიფო, იცნეს ევროპის და აღმოსავლეთის სახელმწიფოებმა; დარჩა ერთად-ერთი შეერთებული შტატები, რომელსაც ჯერ-ჯერობით ჩვენთან ნორმალური დამოკიდებულება არ აღუდგენია.

მეორე მხრივ საბჭოთა რესპუბლიკებს მეგობრული განწყობილება აქვს ოსმალეთთან, სპარსეთთან, ავღანისტანთან და ჩინეთთან ასე რომ ჩვენი კავშირის მშვიდობიანობა როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის მხრიდან უზრუნველყოფილია, ხოლო მომავალში ჩვენ არ მოვგველის არც ერთ სახელმწიფოსთან ბრძოლა და ომიანობა. სამაგიეროდ ჩვენი მდგომარეობა უფრო რთულდება. ჩვენი სახელმწიფო, რომელიც გარშემორტყმულია ბურჟუაზიულ სახელმწიფოებით, შეუდგა ნორმალურ მუშაობას სახალხო მეურნეობის აღორძინებლად; ევროპის სახელმწიფოებმა გვიცნეს იმიტომ, რომ შეგვეჯიბრონ ეკონომიურ ფრონტზე და თანდათან დაგვათმობინონ და წაგვართვან სამეურნეო ასპარეზზე დაპყრობილი პოზიციები. აქ ჩვენ გვეჭირია დიდი სიფრთხილე, ყოველგვარი წვრილმანების გათვალისწინება, რომ შევსძლოთ ბურჟუაზიასთან გამკლავება და პოზიციების შენარჩუნება. ცხადია, ამ შეჯიბრებაში ჩვენი პოზიციები შეურყეველი დარჩება, რადგან ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს არ ძალუძთ ჩვენს წინააღმდეგ ერთიანი სამოქმედო გეგმით და მთლიანი ფრონტით გამოსვლა მათში არსებულ ინტერესთა წინააღმდეგობის გამო.

გარდა ამისა ჩვენ ზურგს გვიმაგრებენ აღმოსავლეთის დამონებული ერები, რომელნიც საბჭოთა კავშირთან ერთად იმპერიალიზმის საწინააღმდეგო ბრძოლაში არიან ჩაბმულნი.

ამასთანავე თვით კაპიტალისტურ სახელმწიფოებში მრავლდება ჩვენს მეგობართა რიცხვი.

ყველა ეს გარემოება ხელს უწყობს ჩვენი სახელმწიფოს განმტკიცებას.

იმდენად, რამდენადაც მტკიცდება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა, მტკიცდება ა | კავკასიის ფედერაციის და საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობაც. ა | კავკასიის და საქართველოს საკითხი, დიდი საკითხი იყო გასულ წელს ევროპის ბურჟუაზიისთვის, რომელიც ამ საკითხით იმდენად იყო დაინტერესებული, რომ ისურვებდა კიდეც, რომ საბჭოთა ხელისუფლება დაემხოთ და მის ნაცვლად დაემყარებია „დემოკრატიული“ ანუ მენშევიკური ხელისუფლება. მაგრამ ამაოდ,—ეს საკითხი გადაწყდა საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ.

ჩვენი სახელმწიფო, როგორც ეროვნული სოლიდარობის და თანასწორობის გამომხატველი სახელმწიფო, გასულ წელს გადაიქცა ისეთ კავშირად, რომელიც უკვე შეუდგა მასში შემავალ ყველა ქვეყნების კულტურულ და ეკონომიურ აღორძინებას.

რესპუბლიკათა კავშირში ა.-კავკასიის ფედერაციას განსაკუთრებული ადგილი უკავია იმ მხრივ, რომ იგი აერთიანებს მრავალ ეროვნებას, რომელთა შორის გასაბჭოებამდე არსებობდა მუდმივი შუღლი და მტრობა. გასულ წელს ჩვენ მივაღწიეთ ისეთ მდგომარეობას, რომ მოგონებაც კი გაქრა წინანდელ მტრულ დამოკიდებულებაზე. საქართველომაც, როგორც მრავალ ერიანმა სახელმწიფომ, გასულ წელს, ისტორიული გამოცდა დაიჭირა. არავითარ ეროვნულ უთანხმოებას ადგილი არ ქონია.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, შარშან იყო ცდა გადატრიალების, რომელიც სურდათ მოეხდინათ მენშევიკებს ფედერალისტებთან და ეროვ. დემოკრატებთან ერთად. რას ემყარებოდენ, რისი იმედით დაიწყეს მათ ეს ამბოხება? ამის პასუხს ჩვენ გვაძლევს 5 აგვისტოს თარიღით გამოცემული ჟორდანიის წიგნი, სადაც მას მოჰყავს ის მიზეზები, რომელთაც უნდა გამოიწვიონ საბჭოთა სისტემის დაღუპვა.

ჟორდანიის აზრით საბჭოთა სისტემა დაიღუპება მიტომ, რომ იგი ბორკავს კერძო და საზოგადოებრივ ინიციატივას, ხელს უშლის სამეურნეო განვითარებას, აძლიერებს სოციალურ უთანხმოებას მუშებსა და გლეხებს შორის და ხელს უწყობს ეროვნებათა შორის უნდობლობის და მტრობის გაძლიერებას.

ამ მოსაზრებებით ხელმძღვანელობდენ ამბოხების მეთაურნი, როცა აგვისტოში სცადეს ხელისუფლების დამხობა, მაგრამ მოსტყუვდენ: არც ერთი იმედი არ გაუმართლდათ.

ამიერ-კავკასიის ერები არასოდეს ისე გაერთიანებული და შეკავშირებულნი არ გამოსულან საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად, როგორც აგვისტოს დღეებში, რაც შემდეგში აღიარა თვით ჟორდანიამ.

რაც შეეხება სოციალურ კონფლიქტს, საბჭოთა ხელისუფლების არსებობაში არავითარ სოციალურ უთანხმოებას გლეხობასა და მუშებს შორის ადგილი არ ქონია. იმ კონფლიქტზე აჯანყების აშენება ავანტიურათ უნდა ჩაითვალოს არც ის დებულებაა მართალი, თითქო

საქ. საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის საბჭოების მესამე მოწვევის
ყრილობის სხდომები

გაიმართება რუსთაველის თეატრში
(რუსთაველის პროსპექტი)

ამასთანავე ცხადდება შემდეგი წესრიგი:

ყრილობის ყველა დელეგატები და სტუმრები დაწესებული ბილეთებით შედიან მხოლოდ და მხოლოდ მთავარ სადარბაზო კარებიდან.

დელეგატები გადამწყვეტი ხმით უნდა მოთავსდენ პარტერში ის დელეგატები კი, რომელთაც სათათბირო ხმა აქვთ, იკავებენ ადგილებს ბენუარის ლოჟებში.

სტუმრები მათთვის დაწესებული ბილეთებით იკავებენ ადგილებს ბელეტაჟში და პირველი და მეორე იარუსის ბალკონზე.

4—3 ნ. 1052 საორგანიზაციო კომისია.

ქის საბჭოთა სისტემის დროს შეუძლებელი იყოს ეკონომიური მდგომარეობის მოწესრიგება, სახალხო მეურნეობის წინმსვლელობა. ყოველ დღიური ჩვენი საქმიანობა არღვევს ამ დებულებას. საბჭოთა კავშირი მტკიცეთ და ბეჯითად იზრდება, როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად.

მეტალურგია და საფეიქრო მრეწველობა ისე განვითარდა, რომ ჩვენი სავაჭრო აპარატი უკვე საკმარისი არ არის, რომ ამ მრეწველობის პროდუქტები ბაზარზე გავასაღოთ. ხოლო სასოფლო-მეურნეობის აღორძინებამ მიაღწია ომის წინადროის 85 პროცენტს.

სახალხო მეურნეობის რა დარგიც არ უნდა ავიღოთ, ჩვენ ვამჩნევთ დიდ წარმატებას და პროგრესს ამგვარად სრულიად ბათილდება ჟორდანიას და მისი მეგობრების დებულება, თითქოს საბჭოთა სისტემა აბრკოლებდეს ქვეყნის ეკონომიურ წარმატებას. ამგვარად ჟორდანიას დებულების წინააღმდეგ, მტკიცდება და მაგრდება ეკონომიურად საბჭოთა კავშირი და მის შემადგენელი ელემენტებიც ე. ი. ამიერკავკასია და საქართველო.

შემდეგ მომხსენებელი გადადის საქართველოს სახალხო მეურნეობის მდგომარეობის მიმოხილვაზე.

სოფლის მეურნეობა

საქართველო სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. ჩვენი სახელმწიფოებრივი დოვლათის უდიდესი ნაწილის შემქმნელი სოფელია, სოფლის მეურნეობა გაცილებით სჭარბობს მრეწველობას თავისი მნიშვნელობით სახელმწიფოს ეკონომიკისთვის, ამიტომ საინტერესოა, თუ რას წარმოადგენს ჩვენი მიღწევები სოფლის მეურნეობაში.

პურის ნათესების სივრცე 1913 წელს უდრიდა 710 ათას დესეტინას ხოლო 1924 წელს კი 629 ათასს დესეტინას.

ამგვარად ჩვენ საგრძნობლად დავუახლოვდით ომის წინანდელ დონეს.

მიუხედავათ ვენახების სივრცის შემცირებისა, ღვინის მოსავლიანობა სისტემატიურად მატულობს: 1900 წელთან შედარებით ვენახების არე 1924 წლისათვის 62.248 დესეტინიდან 30 ათას დესეტ. დავიდა, ამავე დროს მოსავალი ამავე ხნის განმავლობაში 80 ვედრიდან 1 დესეტინაზე 170 ვედრომდე გაიზარდა ე. ი. 112,5 პროცენტით.



ბიმურზა აფროსიძე
სოფ. ეწერი (ზემო-სვანეთი)

იზრდება მეაბრეშუმეობაც.

1910—14 წელს დარიგებული იყო 116 ათასი კოლოფი აბრეშუმის თესლი, ხოლო გატანილი იყო 28 ათასს ფუთამდე ხმელი პარკი. 1924 წელს დარიგებული იყო 104 ათასი კოლოფი, ხოლო გატანილი 25 ათასი ხმელი პარკი.

მიმდინარე წელს აღორძინდა და კვლავ გაიმართა ბამბის მოყვანის საქმე. საანგარიშო წელს დათესილი იყო 1.500 დესეტინა ხოლო ბამბის მოსავალი კი უდრიდა 50 ათასს ფუთს.

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ ჩაის წარმოებასაც დიდი წინსვლა დაეტყო.

1918 წელს ჩაქვის მამულში დამუშავებული იყო 111.083 გირვანქა ჩაი, 1919 წ.—198.606 გირ. 1920 წელს—202.066 გირ. ხოლო 1924 წელს—376.000 გირვანქა. ე. ი. საბჭოთა პერიოდში ჩაი ორჯერ მეტი დამზადდა, ვიდრე მენშევიკების ბატონობის დროს.

მესაქონლეობას უკანასკნელ წლებში საერთოდ დაქვეითება ემჩნევა. 1913 წელს მსხვილ ფეხა რქიანი საქონელი იყო 1.301.670 სული, ხოლო 1923 წელს კი—1.142.202 სული. შემცირებულია აგრეთვე წვრილ ფეხა საქონლის მომრავლებაც (ღორის, ცხვარის და სხვა). 1917 წელს იყო სულ 1.967.938 სული წვრილფეხა საქონელი, ხოლო 1923 წელს—1.405.358 სული.

წვრილფეხა საქონლის შემცირებასთან ერთად იკლო საექსპორტო მასალის (მატყლი, ტყავი, ჯაგარი, ხორცი) წარმოებამ, რასაც მუდამ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისათვის. მესაქონლეობის დაქვეითების ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს საძოვრების საკითხის მოუწესრიგებლობა.

საანგარიშო პერიოდში დიდი ყურადღება ექცეოდა მელიორაციას—არხების გაყვანას და ჭაობების ამოშრობას. დღემდე გაყვანილია 8 არხი, რომლის საერთო სიგრძე უდრის 114 ვერსს, ხოლო მოედნის სივრცე, რომელსაც ეს არხები რწყავენ,—43,500 დესეტინას.

ამჟამად სწარმოებს მუშაობა 4 არხის (ტარიფონის, სკრა-ქარელის, დიმი-როკიხის, მაქიდიას) გასაყვანად. ამ არხების საერთო სიგრძე იქნება 98 ვერსი, მორწყავენ 26.400 დესეტინას. მთავრობა აპირებს აგრეთვე ალაზნის და ელდარის მოსარწყავ არხების გაყვანას.

წინ მიიწევს და ვითარდება აგრეთვე ჩვენი სასოფლო-მეურნეობის ერთი მნიშვნელოვანი დარგთაგანი,—შინამრეწველობა, რომელშიდაც ჩაბმულია 49 ათასი კომლი.

შინამრეწველობის პროდუქცია ყოველწლიურად 7-ნახ. მილიონ მანეთს უდრის.

მომავალში ამ დარგს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

სახელმწიფო მრეწველობა და ვაჭრობა

ჩვენი სახელმწიფო მრეწველობა უმნიშვნელო რამ არის, მისი მნიშვნელობა მეტად განსაზღვრულია ჩვენს სახალხო ეკონომიკაში მაგრამ ისიც, რაც არის ხელის ნაბიჯით, განუწყვეტლივ და მტკიცედ იზრდება.

ჩვენი მრეწველობის პროდუქცია 1923—24 წელს უაქციზოთ შეადგენდა 5 მილიონ მანეთს, ხოლო აქციზით—8 მილიონს. ტყიბულის ქვანახშირი გასულ წელს ნაყოფიერების მხრივ თვალსაჩინო წარმატებას გვაძლევს. 1913 წელს საშუალო თვიური პროდუქცია უდრიდა 350.000 ფუთს 1923—24 წელს—319.705 ფუთის ანუ 91,4 პროც.

ახლო მომავალში ტყიბულის წარმოება იმატებს რკინისგზებზე ქვანახშირის მოთხოვნილებების გადიდების გამო.

იზრდება აგრეთვე ტყავის ფეხსაცმელის წარმოება, საპნის და ზეთის წარმოება, ხოლო ქერამისა და კირის წარმოება წინა წელთან შედარებით 1924 წელს 63,6 პროცენტით გადიდებულა.

დიდი წარმატებას ვამჩნევთ აგრეთვე ბორჯომის წყლის დამზადების და გასაღების საქმეში. 1920 წელს გასაღებულა 383 ათასი ბოთლი წყალი, 1921 წელს—92.000 ბოთლი 1923 წელს 1.017.900 ბოთლი, 1924 წელს 1.850.000 ბოთლი.

ჩვენ ვსარგებლობთ აგრეთვე გატანილი საქონლით. მენშევიკების დროს ალებ-მიცემობა მეტად ჩამოქვეითებული იყო. საქონლის ბრუნვის ზრდა და ფულის რაოდენობის გადიდება დამახასიათებელია ქვეყნის ეკონომიური ზრდისა.. გასული წლის განმავლობაში საქართველოში შემოგვქონდა პური, შაქარი, მანუფაქტურა, ასანთი, მარილი, ნავთი და სხვა. 1924 წლის განმავლობაში შემოიზიდა 1.018.000 ფუთი პური, 142 ათასი ფუთი შაქარი. 109 ვაგონი მანუფაქტურა.



ბარმატ გაიგ
სოფ. ჯლერდა, კოდორის მაზრა (აფხაზეთიდან) უპარტიო.

ალებმიცემობა უმთავრესად თავს იყრის საბჭოთა სახელმწიფო სავაჭრო აპარატის და კოოპერაციის ხელში. საბითუმო ვაჭრობას თითქმის სავსებით აწარმოებს სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანოები, ხოლო საცალო ვაჭრობა 35—40 პროც.-ით კერძო კაპიტალის ხელშია. სოფლად კოოპერაციის ხელშია 55 პროცენტით ვაჭრობის საქმე. ჩვენი სავაჭრო და სახელმწიფო ორგანოები ეწევიან აგრეთვე სასოფლო ნედლეულობის დამზადებას და გასაღებას.

გასულ წელს დამზადებულ იქნა 43 ათასი ფუთი მატყლი, მაგრამ გასაღება ვერ მოხერხდა მატყლის ბაზარის შევიწროების გამო ტრესტების და კოოპერატ. ორგანოების მიერ დამზადებულ იქნა 250.000 ფუთი თამბაქო, 5 ათასი გირ. ჩაი, 85 ათასი ფუთი პარკი, 104 ათასი ფუთი სიმინდი და 600 ათასი ვედრო ღვინო—რუსეთში გასატანად.

მომავალი წლიდან ღვინის ექსპორტი გადიდდება ღვინოზე აქციზის ახსნის გამო.

შემდეგ მომხსენებელი გადადის საქართველოს შინა ვაჭრობის მიმოხილვაზე ამ დარგში, მომხსენებლის თქმით დასახული გეგმა თანდათან ხორციელდება: სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციის მნიშვნელობა თანდათან ძლიერდება, კერძო კაპიტალის როლი თანდათან მცირდება, სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭრო ორგანოების მიერ ბაზრის დაპყრობა სწარმოებდა თანდათანობით ჩვენი ქვეყნის საქონლის ბრუნვის განუწყვეტლივ ზრდის პირობებში. დიდი წარმატება ემჩნევა სასოფლო-მეურნეობისა და მრეწველობის პროდუქციის შორის შედარებით ნორმალურ შეფარდების დამყარების საქმეს—„მაკრატელის“ პირების დაახლოვებას.

ფინანსიური მდგომარეობა

მტკიცე ვალიუტის შექმნამ საშუალება მოგვცა სანდოობით გამოგვეანგარიშებია ჩვენი შემოსავალ-გასავალი, გაგვეთვალისწინებია რამდენი შემოგვდის, რამდენს ვხარჯავთ და რა მიზნით.

1924 წელს პირველად შევქმენით მტკიცე და გარკვეული ბიუჯეტი, რომელსაც ეწოდება რესპუბლიკანური ბიუჯეტი. ამ ბიუჯეტში არ შედიან გაერთიანებული და სადირექტივო კომისარიატები.



კაცო ლა[illegible]
სოფ. ლიხნი, გუდაუთის მაზრა (აფხაზეთიდან) უპარტიო

ბიუჯეტის საგასავლო ნაწილში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რესპუბლიკის განაპირა ადგილებს—ავტონომიური რესპუბლიკების ხარჯებს. ჩვენი ბიუჯეტი ანარეკლია ჩვენი საერთო პოლიტიკისა ეროვნულ საკითხში—მეტი ყურადღება ექცევა წინად დაჩაგრულ და ჩამორჩენილ მცირე ერებს.

1923—24 წლის საბიუჯეტო ანგარიში გასავლის მხრივ შემდეგ სურათს წარმოადგენს: საკუთრივ საქართველოსთვის დანიშნული იყო 7.410.897 მანეთი, აფხაზეთისთვის—499.051 მანეთი, აჭარისტანისთვის—590.681 მანეთი, სამხრეთ-ოსეთისთვის—172.779 მანეთი.

ამგვარად თვითეულ სულზე მოდიოდა საბიუჯეტო თანხა საქართველოში—3 მან. 59 კ., აფხაზეთში—3 მან. 16 კაპ., აჭარისტანში—5 მ. 81 კაპ. სამხრეთ-ოსეთში—2 მ. 38 კ.

1924—25 წლის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი უდრის 10.800.727 მანეთს, აქედან საქართველოზე მოდის—9.102.524 მანეთი, აფხაზეთზე—721.714 მანეთი, აჭარისტანზე—712.447 მან. და სამხრეთ-ოსეთზე—263.742 მანეთი ხოლო თითო სულზე მოდის საბიუჯეტო თანხა საქართველოში 4,41 მანეთი, აფხაზეთში 4,57 მანეთი, აჭარისტანში—7,04 მანეთი, სამხრეთ-ოსეთში—3,27 მანეთი.

ამგვარათ, საბჭოთა ხელისუფლების მუშაობა მიმართულია განაპირა კუთხეების და დაჩაგრულ ეროვნულ ერთეულების აღდგენა-აყვავებისაკენ.

რესპუბლიკანური შემოსავლის მთელი ჯამი უდრის საქართველოში 1.816 ათასი მანეთს, აფხაზეთში—174 ათასი მანეთს, აჭარისტანში—181 ათ. მან. ხოლო შემოსავალი საფედერაციო წყაროებიდან საქართველოში შეადგენს 3.933 ათასს მანეთს, აფხაზეთში 297,6 ათას მანეთს, აჭარისტანში 2.084,6 მანეთს. ამგვარად 1923—24 წლის რესპუბლიკანური და საფედერაციო შემოსავალი საქართველოში უდრის—8.487.000 მანეთის.

1924—25 წლისთვის კი მარტო საფედერაციო შემოსავლის მიღება ნავარაუდევია 10.407 ათასი მანეთი.

ეს გარემოება უეჭველად მოწმობს ჩვენი საფედერაციო შემოსავლის ზრდას.

საბჭოთა ხელისუფლების დიდ მიღწევად საანგარიშო პერიოდში, ჩაითვლება აგრეთვე ადგილობრივი ბიუჯეტის შექმნა. გასულ საბიუჯეტო წელში შედგენილ იქნა ცხრა თვიანი სამაზრო ბიუჯეტები. მომავალი წლიდან შედგენილ იქნება სათემო ბიუჯეტები. თემების და მაზრების ბიუჯეტები პირველი ცდაა, რომელიც საბჭოთა წყობილებამ შესძლო ჩვენს ქვეყანაში.

შემდეგ მომხსენებელი მიმოხილვას უკეთებს სავალიუტო-საკრედიტო დაწესებულებათა მუშაობას. 1925 წლის 1 თებერვლამდე ჩვენს სახალხო მეურნეობაში მოთავსებული ყოფილა სულ 18 ნახ. მილიონი მანეთი კრედიტი. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო კრედიტს, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს 1924 წლის მარტიდან-ოქტომბრამდე გაუცია სულ 726.377 მანეთი სესხი, აქედან ნაწარმოების გასანაღდებელ მიზნით გაცემულია 89 პროცენტი. ამასთანავე სოფლად ეწყობოდა საკრედიტო ამხანაგობები და სხვა.



ტარიელ მგელაძე
ოზურგეთის მაზრიდან. უპარტიო.

ცალკე უწყებათა მუშაობა

შემდეგ მომხსენებელი გადადის განათლების, იუსტიციის და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების მიმოხილვაზე.

ვრცლად ჩერდება მომხსენებელი უმუშევრობაზე, რომლის წყაროს წარმოადგენს ერთი მხრივ ინტელიგენცია და მეორე მხრივ გლეხობა.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ჩამორჩენილობა ვერ ითმენს სიჭარბეს ინტელიგენციის, რომელთა შორის ტეხნიკური ცოდნა მომზადების პირხი უმნიშვნელო პროცენტს წარმოადგენენ. საქართველოს დღევანდელი სამეურნეო პირობები საშუალებას არ იძლევა ინტელიგენციის ამდენი რიცხვის გამოსაყენებლად. მეორე წყარო უმუშევრობისა არის გლეხობა, რომელიც სამუშაოს ვერ პოულობს. გლეხობის უმუშევრობის საკითხის გადაწყვეტა უფრო ადვილია. ბაქო-ფოთის სანავთე მილის გაყვანა, ნავთის ქარხნების აგება, ხე-ტყის დამუშავების დაწყება—საგრძნობლად შეამცირებს ჩვენს ქვეყანაში უმუშევრობას გლეხთა შორის.



ლატარია
სოფ. ხეთა (ზუგდიდის მაზრიდან) უპარტიო.

ეხება რა ადგილობრივ სამაზრო აღმასკომების საქმიანობას მომხსენებელი აცხადებს, რომ თბილისის აღმასკომის გარდა, ვერც ერთი ადგილობრივი აღმასკომი მუშაობის სათანადო უნარს ვერ იჩენდაო.

შემდეგ მომხსენებელი გადადის საბჭოთა არჩევნების შედეგების მიმოხილვაზე და უთვალისწინებს ყრილობას სათემო, სამაზრო აღმასკომების შემადგენლობას პარტიულობის, სქესის და ეროვნების მიხედვით. წინააღმდეგ წინა წლებისა, წლევანდელ არჩევნებში მონაწილეობა მიუღია უპარტიო გლეხთა მეტ წილს მეტი გასულა აგრეთვე საბჭოთა ადგილობრივ აპარატებში. მომხსენებელი საჭიროთ სთვლის გლეხობის ხელისუფლებასთან დაახლოვების მიზნით, გლეხობის სამმართველო აპარატში ჩაბმა კიდევ უფრო გაძლიერდეს.

ნაკლებია არჩეულ ქალთა რიცხვი, რაც მომავლისთვის გამოსწორებულ უნდა იქნეს.

ჩვენი ნაკლულოვანებანი სოფლად

შემდეგ მომხსენებელი ყრილობის ყურადღებას მიაქცევს იმ ნაკლულოვანებაზე, რომელიც ჩვენი სოფლის სინამდვილეს ახასიათებს. ეს არის ადმინისტრაციის თავგასულობა, შინამრეწველობის მოუწესრიგებლობა, სხვადასხვა დაწესებულებების ერთი მეორის ფუნქციებში შეჭრა (გლეხკომები კისრულობენ აღმასკომების, კოოპერაციის ფუნქციებს და სხვა), მმართველი აპარატის ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური მოპყრობა, გლეხობასთან უტაქტობა სარწმუნოების საკითხში და სხვა.

მხოლოდ ყოველივე ამ ნაკლის გამოსწორება,—ამბობს მომხსენებელი—შესაძლებელს გახდის გლეხის საბჭოთა აღმშენებლობაში ჩაბმას, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი სახელმწიფო აპარატის საბოლოო გაჯანსაღებას, მუშის და გლეხის დაკავშირებას.

მუშა და გლეხის დაკავშირებით, ეროვნული სოლიდარობით, მეურნეობის აღორძინებით შეიძლება მხოლოდ მივუახლოვდეთ იმ იდეალს, რომლის ასრულებაც გვიანდერძა დიდმა ბელადმა ამხ. ლენინმა.

ამხ. შ. ელიავას ყრილობა ტაშისცემით აჯილდოვებს.

წარმოკავშირის მისალმება

სხდომის დასასრულს ყრილობას ესალმება „წარმოკავშირის“ მიერ გამოგზავნილი დელეგაცია, რომელიც სთხოვს ყრილობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას.

მეორე სხდომა ნაშუადღევის 2 საათზე იხურება.

გლეხთა ცენტრალური სახლის საზეიმო გახსნა



გლეხთა ცენტრალური სახლი

მუშათა და გლეხთა დაკავშირების საქმეში მართლა იშვიათ და სამაგალითო მოვლენად უნდა ჩაითვალოს გლეხთა ცენტრალურ სახლის გახსნა.

ეს სასახლე მდებარეობს თბილისის შუა გულში, ყოფილ ალექსანდრეს ბაღის შესავალთან, ვორონცოვის ხიდის მხრივ. უწინ ეს სასახლე პირველ-ხარისხოვან სასტუმროს წარმოადგენდა „ლონდონათ“ წოდებულს. მაშინ მხოლოდ სოვდაგრებისა და უცხოელების საბუდარს წარმოადგენდა იგი. დღეს კი ჩვენი სოფლის უბრალო გლეხობისთვის გაღებულა მისი ფართე კარები, და მახლობელ მომავალში ის უეჭველად გადიქცევა მთელი ჩვენი გლეხობის საქებ-სადიდებელ სავნად.

სასახლე სულ ერთიან გადახალისებულია. ახლად შეღებილი, გაწმენდილი, მოვლილი. ლამაზ-ლამაზ ოთახებში მოწყობილია ახალ-ახალი რკინის საწოლები. სუფთა თეთრეულით და მაუდის საბნებით. შუაში დგანან მაგიდები, ზედ აწყვია გაზეთები. კედლებზეც გაკრულია სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო ცნობანი და დარიგებანი. იქავე მოწყობილია სასადილო, აბანო, სადეზინფექციო ოთახი, ლექციების საკითხი დარბაზი და სხვა.

ამ საუცხოვო და სუფთა სასახლეში ღამის გათევა გლეხს დაუჯდება 25 კაპეიკი. საერთოდ ყველა აქაურ სიკეთეს გლეხი იგემებს რაღაცა ათ-თხუთმეტ შაურად დღეში.

ეს სასახლე უკვე დამზადებული იყო ამ თვე-ნახევრის წინეთ და მისი საზეიმო გახსნაც უნდა მომხდარიყო 25 თებერვლისათვის. მაგრამ რადგან იმ დროსთვის საბჭოების ყრილობის მოწვევა ვერ მოხერხდა, ამიტომ მისი გახსნაც გადაიდო აქნობამდის.

6 აპრილს, საბჭოთა ყრილობის დილის სხდომა რომ გათავდა, 2 საათზე ყველა დელეგატები გაემგზავრენ გლეხთა სახლის გახსნაზე.

სასახლის მოზრდილ ეზოში შეკრებილან წითელ-არმიელები სამხედრო მუსიკით. მათ მიემატენ ყრილობის დელეგატები და გარეშე სტუმრებიც.

გაიმართა საზეიმო მიტინგი, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. ცხაკაია.



გლეხთა სახლში

პირველი სიტყვა წარმოსთქვა სახლის გამგემ ამხ. ნასარიძემ, მან მკაფიოთ და ნათლათ ჩამოაყალიბა გლეხთა სახლის საჭიროება და მისი დანიშნულება მუშათა და გლეხთა დაახლოვების საკითხში. მან აღნიშნა აგრეთვე ის კულტურული როლი, რომელიც უნდა ითამაშოს ამ სახლმა გლეხთა გათვითცნობიერების საქმეში, სახლზე მიწერილია ჩვიდმეტი აგრონომი, რომლებიც მისცემენ განმარტებებს და უკითხავენ ლექციებს სამეურნეო საკითხების შესახებ. აქვე არიან მიწერილი სხვა ამხანაგებიც, რომლებიც გლეხებს მისცემენ პოლიტიკურ და მეცნიერულ სწავლა-დარიგებას.

მანვე წაიკითხა მისალმებანი მოსკოვის, აფხაზეთის, აჭარისტანის და სომხეთის გლეხთა ცენტრალური სახლებიდან.

შემდეგ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ფ. მახარაძემ ამავე სასახლის აზრის წარმოშობისა და განხორციელების შესახებ.

საყურადღებო და თავისებური იყვნენ როგორც გამოთქმით, აგრეთვე გულწრფელობით, სიტყვები გლეხ დელეგატებისა: აბუკა არაბულისა—ხევსურეთიდან და ბერიძისა—აჭარისტანიდან.

ყოველ სიტყვას თან მოსდევდა ტაში და ინტერნაციონალის ხმა.

კიდევ იყო მრავალი სიტყვები და მისალმებანი.

საზეიმო მიტინგი დამთავრდა ხუთის ნახევარზე.

დიდის დაკვირვებით და ინტერესით ათვალიერებენ სასახლეს სოფლის დელეგატები. ისინი თითქოს თავიანთ თვალებს არ უჯერებენ, რომ ეს დიდებული სასახლე მართლა



გლეხთა სახლის ოთახი

მშრომელი გლეხობის სასარგებლოთ და მოსახმარათ არის გაწყობილი.

პირველ აღფრთოვანებულ ცნობებს სწორეთ ეს დელეგატები მოჰფენენ საქართველოს სოფლებს და ჩქარა ამ სასახლეში ვნახავთ სოფლის ნამდვილ შვილებს, საქართველოს უმთავრეს მოჭირნახულე-მშრომელ გლეხობას.

დამსწრე.

მესამე სხდომა

თავმჯდომარეობს მიხა ცხაკაია.

კამათი მთავრობის მოხსენების გარშემო

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ელიავა თავის მოხსენებას სთარგმნის რუსულ ენაზე, რის შემდეგაც იწყება კამათი მთავრობის მოხსენების გარშემო.

პირველი სიტყვა ეძლევა ამხ. ხანდრო იაშვილს, რომელიც აღნიშნავს გზების მნიშვნელობას როგორც მეურნეობის აღორძინების, ისე კულტურული წინსვლის საქმეში. საქართველოში გზები ცუდია, მაგალითად ფშავ-ხევსურეთში გზები სულ არ არის. გზების გაყვანა კი იქ აუცილებელია, რადგან ეს მხარე თითქმის მოწყვეტილია ჩვენგან. ამით აიხსნება, სხვათა შორის, ის რომ ხევსურეთი ჩოლოყაშვილის ბანდის სათარეშო რაიონი იყო.

მართალია ჩვენ არა გვაქვს იმდენი საშუალებები, რომ ერთბაშათ შევუდგეთ გზების გაყვანას ყველგან, მაგრამ ჩვენ აუცილებლად უნდა გავიღოთ საჭირო თანხები იმისათვის, რომ შევუდგეთ გზების გაყვანას იქ, სადაც ასეთები სულ არ არის, მაგალითად, ხევსურეთი, დუშეთის მაზრის ნაწილი და სხვა რაიონები.

ამხ. კვირიკაძე ეხება ქართული წითელი არმიის მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ წითელი არმია არის არა მარტო სამხედრო ძალა, რომელიც იარაღით ხელში იცავს საბჭოთა რესპუბლიკას, არამედ ის არის კულტურული ძალაც. ჯარში გლეხი იძენს განათლებას და როდესაც ის ბრუნდება თავის სოფელში, მას უნდა კულტურულ მუშაობაში ჩაბმა, მაგრამ ზოგიერთ მაზრებში ადგილობრივი მუშაკები ხელს არ უწყობენ მათ ჩაბმას საზოგადოებრივ მუშაობაში.

ამას გარდა, ადგილობრივი ამხანაგები არ ერკვევიან ჯარში გასაწვევ ახალგაზრდებისათვის დაწესებულ შეღავათებში და თუ ერკვევიან, ნაკლებ ასრულებენ მათ. ამას ყურადღება უნდა მიაქციონ ადგილობრივმა მუშაკებმა და გამოასწორონ ეს ნაკლულევანებანი.

ამხ. კურდღელაშვილი (გორის მაზრა) აღნიშნავს გორის სამაზრო აღმასკომის ნაყოფიერ მუშაობას. შემდეგ ეხება ხილის გატანას გორის მაზრიდან და აღნიშნავს, რომ ეს საქმე ვერ არის სათანადოთ დაყენებული. გორის მაზრაში გაუსაღებელი დარჩა ხილის მთელი რაოდენობის 30 პროც., კოოპერაციამ იკისრა ხილის გასაღების საქმე, მაგრამ მას ჯერაც არ გადაუხდია ფული გლეხებისათვის.

ამხ. ვასო ქურდიძე მოითხოვს მეტ ყურადღებას ადგილებისადმი და კონტროლის გაძლიერებას ადგილებზე.

ამხ. მათე შონგირაძე (გლეხი) ზუგდიდის მაზრის გლეხობის სახელით ესალმება საბჭოების ყრილობას და ამბობს, რომ იმის შემდეგ, რაც გლეხებმა მიიღეს თავად-აზნაურობის მიწები, ისინი უნდა ჩაებან საბჭოთა მუშაობაში და გვერდში ამოუდგენ საბჭოთა ხელისუფლებას.

ამხ. მეღაძე (ქართლელი გლეხი) ეხება სატყეო საქმეს და მოითხოვს მის მოწესრიგებას.

ამხ. აფრასიძე (სვანი) სვანეთის ხალხის სახელით ესალმება საბჭოების ყრილობას და აღნიშნავს, რომ ბოლო დრომდე სვანეთის გლეხობა სათანადოთ არ იცნობდა საბჭოთა ხელისუფლებას. სვანეთში დაძრწოდენ მენშევიკები და ნაციონალ-დემოკრატები, რომლებიც იქ ათასგვარ პროვოკაციას ეწეოდენ. მაგრამ სვანეთის გლეხობამ შეიგნო, რომ საბჭოთა ხელისუფლება მისი ნამდვილი მეგობარია. სვანეთის ხალხი დადგა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე და მას ამიერიდან ვერაკინ გადაახვევინებს სწორი გზიდან.

დასასრულ ორატორი სვანეთის გლეხობის სახელით შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რომ სვანეთში გაყვანილი იქნეს გზები, რადგან უგზოობის გამო სვანეთის ხალხი მოწყვეტილია საქართველოს სხვა კუთხეებიდან.

დასასრულ წაკითხული იქნა ს. ორჯონიკიძის სახელობის მექანიკური ქარხნის, მთავარ სახელოსნოების ადგილკომის და ფოთის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმის პედაგოგიური საბჭოს მისასალმებელი დეპეშები.

საუბარი საბჭოთა ყრილობის დელეგატებთან

საქართველოს საბჭოთა ყრილობის ბევრ დელეგატებთან შეიძლება მრავალ საყურადღებო საგანზედ საუბარი. მაგრამ გაზეთისათვის საჭიროა ის, რაც უფრო ყველაზედ დამახასიათებელია.

დღეს მთელი იდეიური და პრაქტიკული ყურადღება იქით არის მიქცეული, რომ მკვიდრი ხიდი გაიდოს სოფელსა და ქალაქ შორის, რაც შეიძლება ახლო დაუკავშირდენ და შესისხლხორცდენ ერთმანეთთან მუშები და გლეხები.

სწორეთ ამ მოსაზრებით ჩვენც ყველაზე მეტათ გვეინტერესება გლეხობასთან გამოლაპარაკება.

პირველ ყოვლისა თვალში გვხვდება ახოვანი ტანის მოხუცი ხევსური. ის ნამდვილ მთიელურ ტანისამოსშია გამოწყობილი: გრძელი ჩოხით, ჭრელათ ნაქარგი გულისპირით, ლინქილებით და გუმბათისებური ფაფახით.

მის სახეში თითქოს პირისპირ უცქერი გაუტეხავ მთებისა და ძველ საუკუნოების ძლიერ სურათს. ეს არის—

აბიკა არაბული

— როგორც გეტყობა, ხევსური ხარ ძია-კაცო?

— ხევსური გახლავართ, შენი ჭირიმე!

— რამდენი ხართ ხევსურეთიდან დელეგატი?

— მარტოკა მე ვარ! რაო კითხულობ?

— მე გაზეთის კაცი ვარ, ძია, და რასაც მეტყვი თქვენ მხარეზე—უნდა დავბეჭდოთ, რომ ყველამ წაიკითხოს.

— ისეთი რა გითხრა, რომ ღირსი იყოს ქვეყნისაგან წაკითხვისა?

— მე არ მინდა კაი რამეებზე გამოგკითხო. თუ რამე კარგი კეთდება, ამას აღმასკომების თავმჯდომარეებიდანაც ადვილად გავიგებთ. შენ მხოლოდ ისა სთქვი: რა აკლია ხევსურეთს? ყველაზე მეტათ რა გესაჭიროებათ, რაც ჯერ-ჯერობით არ გაკეთებულა?

— გზები! ყველაზე მეტათ გზები გვეჭირვება. ისე ქვეყანას სულ მოწყვეტილი ვართ. მერე ექიმიც გვჭირდება ძალიან. უგზოობის გამო იქ არავინ მოდის. სწავლაც გვინდა ძალიან, მაგრამ მასწავლებელი არავინ მოდის ისევ უგზოობის გამო: დაკარგული მხარეთ.

— გადასახადებით ხომ არა ხართ შეწუხებული?

— გადასახადებიდან ჩვენ თავისუფალი ვართ.

— ქისტები ხომ აღარ გიჭირვებენ საქმეს!

— მოსამზღვრე სოფლებს კი აწუხებენ ცოტაოდენათ.

— სარწმუნოების შესახებ როგორ არის მთაში საქმე?

— გვყავს ღვდელი. ვისაც უნდა, ლოცულობს, ჯვარსაც იწერს, კიდეც ნათლავს. ეკლესიის შეწუხება არ გვაქვს.

— ხალხი როგორ ეგუება საბჭოთა წყობილებას? უკმაყოფილო ხომ არ არის?

— არა. კარგათ ვართ შეწყობილი. მხოლოთ გზები კი გვჭირდება ძალიან. ჩვენ გაჭირვებული ხალხი ვართ. თითო დღიური ქერი მოგვდის თითო ოჯახს. ორ კომლს თითო უღელი ხარი გვაყვს და ისე ვამუშავებთ ამ მიწას. რომ თითქმის წავიდეთ, სამუშაოთ გავდივართ ხან ხეთში, ხან კავკავისკენ. ამიტომ კიდევ უფრო გვჭირდება გზები.

მოსაწონია, რომ სოფლის კაცს ასე მტკიცედ ჩამოაყალიბა თავისი მხარის უკიდურესი საჭიროება.

იდრის ბერიძე

ეს არის აჭარელი გლეხი, სამოც წლებში გადასული. მიხაკის ფერი ყაბალახი ყურთმაჯებათ გამოუკრავს თავზე, რაც ტიპიურ აჭარლის სახეს აძლევს.

— საიდან ხარ ძია?



იდრის ბერიძე
სოფ. ფურტიო (აჭარისტანი).

— ხულოდან.

— თოვლი აღარ არის?

— აღარა!

— ძლიერ ხომ არ დაზარალდა ხალხი?

— ხილები დაიმტვრენ ძალიან თოვლის სიმძიმით.

— ვინც დაზარალდა, დახმარება მიიღეს რამე?

— ჯერ არაფერი არ მიუღიათ, ამბობენ ცოტა მისცესო, მაგრამ მე არ მინახავს.

— მოგწონთ საბჭოთა წყობილება?

— რასაკვირველია! ბევრ სიკეთეს გვიშობა. წინეთ ჩვენ სწავლაზე არავინ ზრუნავდა. ახლა ყველგან სკოლები იხსნება და სწავლობენ ჩვენი შვილები.

— ქალები ჩადრს ატარებენ კიდევ?

— ზოგი ატარებს; ზოგი არა.

— ოჯახში რა ენაზე ლაპარაკობთ?

— ჩვენ დედა-ენაზე, ქართულად.

— სკოლებშიც ქართულად სწავლობთ?

— დიაღ, ქართულად, თურქულსაც ცოტას ვსწავლობთ.

— ყურანს სწავლობთ? მეჩეთები გაქვთ კიდევ?

— ცოტას ვსწავლობთ. მაგრამ ამ წელიწადში სულ აღარ იქნება. მეჩეთები ღიაა, მაგრამ ცოტა ხალხი დადის, ჩვენ ამ დროებაში დიდი წარმატება მივიღეთ, რაც ძველი მთავრობის ხელში არა გვქონია. ჩვენ დიდათ მადლობელი ვართ საბჭოთა მთავრობის. ისე ვინ მაღირსებდა მე ძველი ქალამნებით „თბილისში“ მოსვლას! ან ქვეყნის საქმეს ვინ მკითხავდა რამეს? ამაზე მხოლოდ საბჭოთა მთავრობას უნდა ვუმადლოდეთ.

გლეხი ჯოხაძე

ეს არის ქიზიყელი გლეხი. შუახნის კაცი. უპარტიო. იმასაც წინდაწინ ვაფრთხილებ, რომ გულახდილად სთქვას ყველაფერი, რაც აწუხებს იმათ მხარეს.

— დამალვით საქმე არც გაკეთებულა და არც გაკეთდება, რატომაც არ ვიტყვი გულახდილათ! თქვენ რა გეინტერესებათ?

— გულზე ხელდადებით სთქვი: ხალხში ხომ არ არის რამე ჩუმი უკმაყოფილება ან ადგილობრივი ხელისუფლებით, ან რომელიმე კანონით ან კიდევ რა ვიცით, ათასი მიზეზით?

— მე მართლა გეუბნებით, რომ ჩვენსა უკმაყოფილებას ადგილი არა აქვს. მეტადრე შარშანდელი ამბების შემდეგ.

— როცა გლეხი უკმაყოფილოა რამით, ახერხებს თუ არა აშკარათ აღიაროს ეს, ან იჩივლოს სადმე?

— როგორ არა! ჩვენსა ისეთი მაგალითიც არის, რომ უპარტიო გლეხმა იჩივლა პარტიულის უწესოებაზე და მერე ის დამნაშავე კიდევაც დაითხოვეს პარტიიდან. ახლა საერთოდ უფრო გათამამებული არიან გლეხები და თავისუფლად ამბობენ თუ კი რამე სიყალბეს ნახავენ.

— მიწის საქმე როგორ არის მოგვარებული?

— ჩვენსა თავადები არ ყოფილან წინეთ. ამიტომ არც ბევრი მამულები გვქონდა დასაყოფი. ჩვენ თემში „კულაკები“ არც წინეთ გვყოლია და არც ახლა არიან: ერთ ვაჭარს ქონდა სამი დღის ვენახი. ერთი დედელს კიდევ—ორი დღისა, აიეს გავანაწილეთ ჩვენ თემში. ქიზიყელი გლეხები სულ ვენახსა და თამბაქოს ვამუშავებთ. ამ საქმეში დიდი დახმარება გვეჭირვება, მაგრამ ჯერ-ჯერობით არსაიდანა სჩანს. განსაკუთრებით გვჭირდება ამერიკული ვაზი. თუთუნის საქმეში წარმოკავშირი მუშაობს, მაგრამ ჯერ დიდ ვერაფერს აკეთებს. ხალხში ცოტა უკმაყოფილებაც კი არის. გლეხობამ მთელი თუთუნი წარმოკავშირს ჩააბარა. იქ თუთუნი დაახარისხეს. პირველი და მეორე ხარისხი თვითონ აიღეს, დანარჩენი კი უკან დაუბრუნეს გლეხობას და ამ დაუბრუნებულ თუთუნს ბაზარი ვეღარსად ვუშოვეთ. ღვინოსაც ბაზარი არ ქონდა ბოლო დრომდის და ამიტომ გაჭირვებაში ვიყავით ჩავარდნილი. რაც შეეხება გადასახადებს, მათ განაწილებაში არის ერთგვარი უთანასწორობა. არიან ისეთი გლეხები, რომლებსაც სრულიად არაფერი არ უნდა გადაეხადათ, მაგრამ მაინც შეაწერეს. სარწმუნოების მხრივაც ამ ბოლო დრომდის მოყრუებული იყო ყველაფერი, მხოლოდ უკანასკნელათ, რომ გაიგეს თავისუფლება არის მინიჭებულიო, დაიწყეს ზოგმა ლაპარაკი ეკლესიის გახსნაზე. გვაკლია სკოლები და სამეურნეო იარაღები. ვენახებისა და თუთუნის მუშაობა თუ წესზედ მოეწყო ან კოოპერატივების და ან მთავრობის დახმარებით, ქიზიყი იქნება ყველაზე მდიდარ კუთხით იქნება მთელ საქართველოში.

მოამბე.

საინფორმ. ცით-განყოფილების
კომპლექტი

რადიო-დეპეშები

(„ზაკრონსტა"-ს ცნობებით)

იაპონია და საბჭოთა კავშირი

საბჭოთა საელჩოს მდივანის მიღება.

ტოკიო. 5 აპრილი. გარეშე საქმეთა მინისტრმა შიდეხარამ მიიღო საბჭოთა საელჩოს პირველი მდივანი პეკინში—კუზნეცოვი. მათ შეხვედრას გულწრფელი მეგობრული ხასიათი ჰქონდა.

ვიკონტი გოტო საბჭოთა კავშირის და იაპონიის ურთიერთობის შესახებ.

ხარბინი. 5 აპრილი. 4 აპრილს ხარბინში ჩავიდა ვიკონტი გოტო.

გოტომ სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა კავშირის და იაპონიის ურთიერთობის შესახებ. მან სთქვა: „წინეთ მე ვფიქრობდი, რომ მხოლოდ იაპონიაში არიან გაჯიუტებული შოვინისტები, რომელთაც ეშინიათ იმისი, რომ დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან იაპონიის ხალხს მიიყვანს დაღუპვამდე. ეხლა კი, როცა ვაკვირდები მანჯურიაში მცხოვრებ იაპონელ მოსახლეობას, ვამჩნევ, რომ იქაც არის ხალხი, რომელსაც ეშინია საბჭოთა კავშირთან ოფიციალური დამოკიდებულების დაჭერის. ასეთი შეხედულება მაშფოთებს მე, მით უფრო, რომ **საბჭოთა რუსეთს ჰყავს გაცილებით უფრო მტკიცე მთავრობა, ვიდრე ინგლისს, ამერიკას და სხვა ქვეყნებს.**

საბჭოთა კავშირთან ეკონომიურ თანამშრომლობას არაფერი არ უშლის ხელს და ეჭვიანობას ბადებს მხოლოდ ბოლშევიკური საფრთხის უნაყოფო შიში. ეს შიში ყოვლად უნიადაგოა და არც კი ღირს მისთვის ყურადღების მიქცევა".

დასასრულ გოტომ მიმართა ადგილობრივ იაპონელთა კოლონიას მოწოდებით თავიდან აიცილონ შოვინიზმის სენი. გოტომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ **ხელისუფლების წარმომადგენლებმა და იაპონიის მოსახლეობამ უნდა მიიღონ ზომები საბჭოთა კავშირის ხალხებთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებისა და განვითარებისათვის.**

საფრანგეთის ამბები

დე-მონზი საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში.

პარიზი. 5 აპრილი. დე-მონზი ეწვია საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობას და ინახულა კრასინი და რაკოვსკი.

კომუნისტების კანდიდატი სენატში.

პარიზი. 5 აპრილი. მილიერანის წინააღმდეგ საფრანგეთის კომპარტიამ სენატის არჩევნებში სენის დეპარტამენტში კანდიდატად წამოაყენა კამოლინი. არჩევნები შესდგება 5 აპრილს.

დე-მონზი საქმეს ვერ გამოასწორებს.

პარიზი. 5 აპრილი. პრესის წარმომადგენლების მიღების დროს დემონზიმ განაცხადა, რომ ის შეეცდება სამსახური გაუწიოს ნაციონალური შერიგების საქმეს და „თავს შეიკავებს ყოველგვარ მძიმე ხასიათის საგადასახადო ზომებისაგან".

მაგრამ, რამდენადაც მთავრობას გადაწყვეტილი აქვს მოსთხოვოს პარლამენტს ერთდროული გადასახადის დაწესება კაპიტალზე (დაიბეგროს კაპიტალი 80 მილიარდი მარკით 10 წლის განმავლობაში), საეჭვოა, რომ დე-მონზიმ შესძლოს თავისი დაპირებების შეთანხმება მთავრობის განზრახვებთან.

მემარჯვენე და საქმიან წრეები, რომლებიც სათანადოთ აფასებენ დემონზის, უკვე აცხადებენ, რომ არსებულ პირობებში ფიქრი კაპიტალზე ერთდროული გადასახადის დაწესებაზე—უგუნურებაა. ეს კატასტროფიულ გავლენას მოახდენდა როგორც ქვეყნის შინაურ, ისე საერთაშორისო მდგომარეობაზე.

ოფიციოზური გაზეთები აუცილებლად სთვლიან, რომ მთავრობამ გამოიჩინოს დიდი გამბედაობა და ენერგია, რამაც უნდა იხსნას ის.

შანტაჟისტების პროცესი.

პარიზი. 5 აპრილი. 7 აპრილს მარსელის საკომერციო სასამართლოში დაიწყება იმ საქმის გარჩევა, რომელიც აღძრა საბჭოთა მთავრობამ ნაოსნობის და ვაჭრობის რუსული საზოგადოების დროებითი გამგეობის წინააღმდეგ. აღნიშნულმა საზოგადოებამ მიითვისა წინანდელი საზოგადოების გემების ნაწილი.

ამერიკის ახალი ელჩი ჩინეთში

ნიუ-იორკი, 5 აპრილი. ვაშინგტონიდან ოფიციალურად იტყობინებიან, რომ შურმანის მაგიერ ამერიკის ელჩად პეკინში დაინიშნა გარეშე საქმეთა მინისტრის მოადგილე ჯონ მაკ-მურეი.

მაკ-მურეის წინად ეჭირა სახელმწიფო დეპარტამენტის შორეულ აღმოსავლეთის განყოფილების უფროსის თანამდებობა. დიპლომატიურ ასპარეზზე მან იმსახურა 19 წელი—სიამში, რუსეთში, ჩინეთში და იაპონიაში. 1908-დან 1911 წლამდე ის იყო საელჩოს მდივანი პეტერბურგში.

საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია ლონდონში

ლონდონი, 5 აპრილი. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს დელეგაციის და ტრედ-იუნიონების გენერალურ საბჭოს სხდომა შესდგება 8 აპრილს. მანამდე დელეგაცია დაათვალიერებს ცალკე ტრედიუნიონებს ბრომლეის თანხლებით.

გერმანიის „საგანგებო კომისიის" პროცესი

ბერლინი, 5 აპრილი. გერმანიის საგანგებო კომისიის პროცესზე სასამართლომ უარჰყო დამცველთა წინადადება, რომ სასამართლოს მოესმინა მენშევიკების ბელადის დანის და „ფორვერტს"-ის რედაქტორის—ალექსანდრე შტეინის ჩვენებები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პირები გამსჭვალული არიან სიძულვილით ბოლშევიკებისადმი, მათ შეეძლოთ დაემტკიცებინათ თეთრგვარდიელთა იმ წიგნაკის არამეცნიერული, ფანტასტიური ხასიათი, რომელსაც სათაურად აქვს „ბოლშევიკები", და რომელიც დაწერილია ვინმე აუტრაუმის მიერ. ეს წიგნაკი დიდ როლს თამაშობს საბრალმდებლო ოქმში სკობლევსკის წინააღმდეგ. დამცველი როზენფელდი აღნიშნავს, რომ რუსი მონარქისტის პოდპოლკოვნიკ ვინბერგის წიგნმაც („Крестный путь России") არა ნაკლებ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საბრალმდებლო ოქმის შედგენაში.

პროკურორის სიტყვა

ლეიპციგი, 5 აპრილი. 4 აპრილის სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა პროკურორმა.

თავისი სიტყვის დასაწყისში ის აცხადებს, რომ საყვედური პროცესის ტენდენციურობის შესახებ უსაფუძვლოა და რომ თანამდებობის პირებს და საგამომძიებლო ორგანოების წარმომადგენლებს ძალიან თავაზიანად ეჭირათ თავი.

შემდეგ პროკურორი ამტკიცებს, რომ კომპარტიამ დაავალა „თავის კაცებს" ჩუმად იყვნენ რამდენადაც შესაძლებელია და ყველაფერი თავზე მოახვიონ „დიდ უცნობს". სასამართლომ „თავი არ უნდა მოიტყუილოს" მით, რომ ფილიქს ნეიმანი, თითქოს, სკობლევსკიმ გაგზავნა სამუშაოთ ასაფეთქებელი ნივთებით. საერთოდ სკობლევსკის ჩვენება, პროკურორის აზრით, სავსეა წინააღმდეგობებით. მაგალითად, სკობლევსკი უარყოფდა იმას, რომ ის დაახლოვებული იყო შიპოვასთან, თვითონ შიპოვა კი ამაში გამოუტყდა გამომძიებელს. გუკმა პირველად აჩვენა, რომ გვარი ვოლფი იყო სკობლევსკის ფსევდონიმი, შოფერმა გერზნორმა აჩვენა, რომ ფელიქს ნეიმანი მას გააცნეს, როგორც სკობლევსკისთან კავშირის მქონე პირი. სკობლევსკი ამტკიცებდა, რომ ის გერმანიაში ჩამოვიდა მხოლოდ 1924 წლის თებერვალში, ხოლო მის ბინის დიასახლისი გოფმანი ამტკიცებს, რომ მან ის ნახა ჯერ კიდევ 1923 წლის დეკემბერში.

პროკურორს დამტკიცებულად მიაჩნია ის, რომ სკობლევსკი და გელმუტი ერთი და იგივე პირია და რომ კენენთან შესდგა სხდომა, რომელზედაც დამსწრეები სარგებლობდენ სამხედრო რუქებით.

პროკურორი მოითხოვს სკობლევსკისათვის სიკვდილით დასჯას ან 15 წლით დაპატიმრებას სასტიკი იზოლიაციით, უფლებების წართმევით, ფელიქს ნეიმანისათვის—სიკვდილით დასჯას ან 7 წლის ციხეს, მარტისისათვის—სიკვდილით დასჯას ან 8 წლის ციხეს, პეგესათვის—სიკვდილით დასჯას ან 8 წლის ციხეს, სოხისათვის სიკვდილით დასჯას ან 4 წელს. დანარჩენ ბრალდებულებისათვის პროკურორი მოითხოვს დაპატიმრებას სასტიკი იზოლიაციით და უფლებების წართმევით, ვადით 6 წლიდან 10 თვემდე.

ამხ. მარხლევსკის ნეშთის დასაფლავება

ბერლინი, 5 აპრილი. ფრიდრიხსფელდის სასაფლაოზე კარლ ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის საფლავის გვერდით მიწაში ჩაუშვეს ურნა ამხ. მარხლევსკის ნეშთით. პროცესიაში მონაწილეობა მიიღეს 3.000 მუშამ, ყოფილი ჯარისკაცთა წითელი კავშირის წევრებმა, განსვენებულის მეგობრებმა, მისმა მეუღლემ, საბჭოთა ელჩმა ბერლინში კრესტინსკიმ და სხვებმა.

საფლავზე სიტყვები წარმოსთქვეს: გერმანიის კომპარტიის სახელით—ეპერლეინმა და კომინტერნის სახელით—პიკმა. გამოვიდნენ აგრეთვე პოლონელი მუშების წარმომადგენლები.

სამგლოვიარო პროცესიას მიყვებოდენ პოლიციელებიც. დაპატიმრებულია ის პირები, რომლებიც ფულს აგროვებდენ „რემედასს"-ის სასარგებლოთ; ფული მათ ჩამოართვეს.

ჟ. სადულის პროცესი

ორლეანი, 5 აპრილი. სასამართლოს მეხუთე სხდომაზე ადგილი ჰქონდა მრავალ ინციდენტებს. სხდომა რამოდენიმეჯერ შეწყდა.

მოწმე **როჟერ ფრანკო,** რომელიც ასწერს იმ მდგომარეობას, რომელიც იყო რუსეთში ბოლშევიკური რევოლიუციის წინ და მის დასაწყისში, აცხადებს, რომ ნულანსს და მის აგენტებს არ ჰქონდათ შეგნებული მდგომარეობა. მხოლოდ სადული აფასებდა სისწორით შექმნილ მდგომარეობას. ამიტომ პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებიც ვერ ურიგდებოდენ მის გამჭრიახობას, ცდილობენ მის დაღუპვას.

შემდეგ წარმოიშვა ინციდენტი იმ ნიადაგზე, რომ სტენოგრაფები იწერდენ მხოლოდ იმ მოწმეთა ჩვენებებს, რომლებიც მხარს უჭერენ ბრალდებას.

შემდეგ ის მოწმეები, რომლებიც ცხოვრობდენ რუსეთში რევოლიუციის დაწყებიდან, აღნიშნავენ იმ დიდ ამაგს, რომელიც მიუძღვის სადულს საფრანგეთის მოქალაქეებისადმი.

მოწმე **მორიზეს** საქმეში შეაქვს სადულის წერილი, რომელიც ამტკიცებს, რომ სადულს ჯერ კიდევ 1919 წელს უნდოდა საფრანგეთში დაბრუნება.

ერნესტ ლაფონი ამტკიცებს, რომ კლემანსოს მთავრობას არ უნდოდა სადულის დაბრუნება საფრანგეთში, სადაც მას შეეძლო გამოემჟღავნებია მთელი სიმართლე.

კომუნისტი დეპუტატები **რენო ჟანი, მარშერი, ჟან ყაიოკო, კუტიურიე** სასტიკად ჰგმობენ კლემანსოს პოლიტიკას და აღნიშნავენ, რომ სადულის პროცესი სინამდვილეში წარმოადგენს დავას რუსეთის რევოლიუციასთან, დავას, რომელიც ყოველგვარ აზრს მოკლებულია, როცა საბჭოთა კავშირის ელჩი იმყოფება პარიზში, ხოლო საფრანგეთის ელჩი—მოსკოვში.

ფაშისტური ტერორი ბულგარეთში

ვენა. 5 აპრილი. ბელგრადის გაზეთი „ვრემია" და „პოლიტიკა" აქვეყნებენ ბულგარეთის სამხედრო მინისტრის საიდუმლო ბრძანებას, რომელიც წინადადებას აძლევს სამხედრო ხელისუფლებას დახმარება გაუწიოს მთავრობას აგრარულ-კომუნისტურ მოძრაობის ჩაქრობის საქმეში. ბრძანების თანახმად ოპოზიციის საშიშარ მეთაურებს თვალყური უნდა ადევნონ და იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნა არეულობას, დახვრიტონ ისინი, მიუხედავად იმისა, თუ რა როლს თამაშობენ ისინი ამ მოძრაობაში. ყველა პოლიტიკური „დამნაშავენი" ოჯახებითურთ უნდა დაიხოცონ; მათი სახლები გადაიწვას.

უნგრეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმება

უნგრელ მოქალაქეთა დაბრუნება სამშობლოში

მოსკოვი, 6 აპრილი. საბჭოთა კავშირის და უნგრეთის მთავრობებმა ხელშეკრულება დასდვეს, რომლის ძალით უნგრეთში უნდა გაიგზავნონ იმპერიალისტური ომის ყველა ის სამხედრო ტყვეები, რომლებიც დარჩენილი არიან საბჭოთა კავშირში. ამის გამო, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა აცნობა ადგილებს, რომ ყველა ყოფილ სამხედრო ტყვეებს—უნგრელებს, რომლებიც დაბადებული არიან ეხლანდელ უნგრეთში, უფლება ეძლევათ დაუბრკოლებლივ გაემგზავრონ სამშობლოში.

სხვა და სხვა ამბები

— **ბონკური არ მიემგზავრება ვარშავაში.** პოლ ბონკური საფრანგეთის წარმომადგენელი ერთა ლიგაში არ მიემგზავრება პოლონეთში საფრანგეთის შინაური პოლიტიკური ცხოვრების გართულების გამო.

— **იაპონიაში.** სეიუკაის პარტიის მეთაურმა, სოფლის მეურნეობის და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა ტაკახაშიმ განაცხადა, რომ მას განზრახვა აქვს გამოვიდეს მთავრობიდან და ხელი აიღოს პარტიის ხელმძღვანელობაზე.

— **პრეზიდენტის არჩევნები გერმანიაში.** ე. წ. ვეიმარის ბლოკი (სოციალ-დემოკრატები, დემოკრატები და ცენტრი) გერმანიის პრეზიდენტის პოსტზე აყენებს მარქსის კანდიდატურას. მემარჯვენეების ნაწილი მხარს უჭერს ჰინდენბურგს.

— **კატასტროფა ესსენის მაღაროებში.** ესსენის (გერმანიაში) მაღაროებში მომხდარი კატასტროფის დროს დაიღუპა 9 კაცი, მძიმედ დაშავდა—18.

— **ბაირამ ცურას მოკვლა.** სამხრეთ-სლავიის გაზეთების ცნობით ალბანიის ჯარებმა მოჰკლეს ქოსსოვის კომიტეტის წევრი ბაირამ ცურა.

— **მილიერანი — სენატორი.** მილიერანი, პირველი კენჭის ყრის დროს არჩეულია სენატორად სენის დეპარტამენტიდან. მილიერანმა მიიღო 520 ხმა, რადიკალმა სტრაგმა—175, სოციალისტმა ოსმენმა—158, სოციალისტ-კომუნისტმა ბაშლემ (ფროსარის ჯგუფი)—86 და კომუნისტმა კამელინმა—71 ხმა.

კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

4 აპრილის საღამოს სხდომა

მოსკოვი, 6 აპრილი. სხდომის დასაწყისში მოსმენილი იქნა რ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის დადგენილება ბრანდლერის, რადეკის, ტალჰეიმერის, გელნერის, ბაუმის და ვოლფის ფრაქციული მოქმედების შესახებ გერმანიის კომპარტიის შიგნით და გერმანიის კომპარტიის ცეკას წინადადება აღნიშნული ამხანაგების რ. კ. პ. რიგებიდან გამორიცხვის შესახებ.

ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ, განიხილა რა ინტერნაციონალურ საკონტროლო კომისიის წევრებთან ერთად ყველა არსებული მასალები, რომლებიც ადასტურებენ ფრაქციულ მოქმედებას აღნიშნული ამხანაგებისას, რომლებიც განაგრძობენ თავის ოპორტიუნისტურ ხაზს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი „დაეთანხმენ" კომინტერნის მეხუთე კონგრესის გადაწყვეტილებას, დაადგინა:

აღნიშნული ამხანაგები გამორიცხული არ იქნენ პარტიიდან, თუმცა ისინი ამის ღირსი არიან, მაგრამ მათ გამოეცხადოს სასტიკი შენიშვნა გაფრთხილებით; გაფრთხილებული იქნენ [illegible], რომ იმ შემთხვევაში, თუ ისინი მომავალშიაც განაგრძობენ ფრაქციულ მუშაობას, ანდა ჩაერევიან გერმანიის კომპარტიის საქმეებში, მაშინ ისინი გამორიცხული იქნებიან რუსეთის კომპარტიის რიგებიდან; დაუშვებლად იქნეს აღიარებული ამხ. ბრანდლერის, ტალჰეიმერის და რადეკის მონაწილეობა კომინტერნის მუშაობაში.

პლენუმზე წაკითხული იქნა ამხ. რადეკის, ბრანდლერის და ტალჰეიმერის დეკლარაცია რ. კ. პ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის დადგენილების შესახებ და პასუხი რ. კ. პ. დელეგაციისა კომინტერნში. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის დადგენილება და რ. კ. პ. დელეგაციის პასუხი მიღებული იქნა ერთხმად კომინტერნის აღმასკომის მიერ.

გერმანიის კომპარტიის დეკლარაციის მოსმენის შემდეგ სიტყვით გამოვიდა ამხ. რუთ ფიშერი. შემდეგ ამხ. ზინოვიევმა საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა თავისი მოხსენების შესახებ.

— **დემოკრატიულ „ოაზისში".** ესტონიის სამხედრო სასამართლომ დახვრეტა მიუსაჯა სახელმწიფო კრების წევრებს ველგსა და იულგეკუტს აჯანყებაში მონაწილეობის მიღებისათვის. ბრალდება, რომელიც წაუყენეს ველგს აშენებული იყო ვიღაც დედაკაცის ჩვენებაზე, რომელსაც თითქო ენახა ველგი აჯანყების მონაწილეთა შორის.

— **ჩერნოვი არ ისვენებს.** რიგაში გაიხსნა ლატვიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თათბირი, თათბირს ჩერნოვიც დაესწრო.

— **კომუნისტური ლიტერატურის გავრცელებისათვის.** ლოძის (პოლონეთში) ორი წლის კატორღა მიუსაჯა მეჩისლავ ვილსკის, სტანისლავ კორინსკის და რახილ გრინმერგს კომუნისტური ლიტერატურის გავრცელებისათვის.

— **რას მოითხოვენ ლოძში გაფიცული მუშები.** ლოძში გაფიცული მუშები მოითხოვენ დახმარების მიცემას ყველა იმ მუშებისათვის, რომლებმაც დაჰკარგეს სამუშაო და დახმარების გადიდებას 10 პროცენტით.

— **პოლიციის თარეში პოლონეთში.** პოლიციამ რადომში მასიური ჩხრეკა მოახდინა და სამოცი კაცი დააპატიმრა. მათ ბრალდებათ კომპარტიის წევრება.

— **პოლონელ კომკავშირელების პროცესი.** დამთავრდა პოლონელ კომკავშირელების პროცესი. 16 ბრალდებულიდან 6 მიუსაჯეს 3 წლის ციხე, 3—2 წლის, 2 ერთნახევარი წლის. ორი ბრალდებული, რომლებმაც ორი წელი უკვე დაჰყვეს ციხეში უდანაშაულოთ იცნეს.

— **სოფლის მოჯამაგირეთა გაფიცვა.** პოლონეთის სხვადასხვა კუთხეებში პოლიციამ მოახდინა დაპატიმრება სოფლის მოჯამაგირეებს შორის, რომლებიც უკვე რამდენიმე დღეა, გაფიცული არიან.

— **ბელგიის კომპარტიაში.** ბელგიის კომპარტიამ ლიეჟის ახლო დიდი მანიფესტაცია მოაწყო. მანიფესტაციაში 10,000 მუშამ მიიღო მონაწილეობა.

— **საბერძნეთი და სამხრეთ-სლავია.** ამ დღეებში საბერძნეთსა და სამხრეთ-სლავიას შორის დაიწყება მოლაპარაკება ხელშეკრულების დადების შესახებ.

— **ფაშისტების მთავრობაში.** გადადგა იტალიის სამხედრო მინისტრი გენერალი დი-ჯიორდინო. დროებით მის მოვალეობას ასრულებს მუსოლინი.

— **კომუნისტების დევნა იტალიაში.** რომში დააპატიმრეს კომუნისტი ტოლიატტი, რომელსაც ბრალს სდებენ კომუნისტურ შეთქმულებაში „მონაწილეობას". ასეთივე ბრალდებები წაუყენეს წინად დაპატიმრებულ კომუნისტებს ფარინის, ბეტტის და სხვებს.

— **კატასტროფა ნახშირის მაღაროებში.** შარლემანის (გერმანიაში) ნახშირის მაღაროებში მომხდარი კატასტროფის დროს დაიღუპა 51 მუშა, 28 კი—მძიმედ დაშავდა.

— **შემთანხმებლები კმაყოფილი არიან.** 180.000 მუშის ლოკაუტი შვეციაში დამთავრდა. მიღებულია შეთანხმება საზარალო მუშებისათვის. შრომის ხელფასი უმნიშვნელოდ არის გადიდებული. რეფორმისტები კმაყოფილი არიან შეთანხმებით.

ინგლისის პროფკავშირთა დელეგაციის ანგარიში *)

ინგლისის პროფკავშირთა დელეგაცია გაემგზავრა ლონდონიდან 1924 წ. 7 ნოემბერს და ჩავიდა მოსკოვში 11 ნოემბერს. მოსკოვიდან ის გაემგზავრა ხარკოვში, დონის ოლქში, როსტოვში, ბაქოში და თბილისში. აქედან იგი სხვა გზით დაბრუნდა მოსკოვში, ცოტა მოიცადა აქ და შემდეგ გაემგზავრა უკან—ლონდონში ლენინგრადის გზით დეკემბრის 19-ს.

როდესაც ლონდონიდან მოსკოვში მივდიოდით—ჩვენ გზათ გავიარეთ ბელგიაზე, გერმანიაზე, ლიტვასა და ლატვიაზე, აგრეთვე რუსეთის მიწადმოქმედების მეურნეობის რაიონებზე და ნოემბრის 11-ს ჩავედით მოსკოვში.

რიგაში ჩვენ შეგვეგებენ საბჭოთა მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლები. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა და საბჭოთა სხვა წარმომადგენლებმა იმედი გამოსთქვეს, რომ ჩვენ შევსძლებდით ჭეშმარიტების გაგებას რუსეთის შესახებ და გაუწყებდით მას დასავლეთ ევროპის მუშებს.

რიგიდან ჩვენ გავემგზავრეთ მოსკოვში. ჩვენ თან გვახლდენ სრულიად საკავშირო პროფკავშირთა საბჭოს და მოსკოვის პროფკავშირთა საბჭოს ოფიციალური წარმომადგენლები.

პირველი შთაბეჭდილება საბჭოთა რუსეთის შესახებ ჩვენ მივიღეთ მაშინ, როდესაც მივაღწიეთ საზღვარზე მდებარე დაბა სებეჟს. საბჭოთა ქვეყნის საზღვარზე ამართულია წითელი მატერიით მორთული თაღი. რომელსაც აწერია სხვადასხვა ლოზუნგები. ეს ლოზუნგები გადათარგმნილი იყო აგრეთვე ინგლისურადაც. ისინი ღაღადებდენ მუშათა საერთაშორისო სოლიდარობისა და აგრეთვე იმის შესახებ, რომ რუსეთის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ისეთი ეკონომიური სისტემის შექმნა, რომელიც მოსპობს კაპიტალისტების ბატონობას. აქვე ჩვენ დავინახეთ წითელი ლაშქრის პირველი რაზმები, დელეგაციის წევრთა უმეტესობა ცხოვრებაში პირველად ხედავდა მუშებისაგან თავის სახელმწიფოს დასაცავად შექმნილ ლაშქარს.


RUSSIA
The Official Report of the British Trades Union Delegation to Russia in November and December
1924

„რუსეთი

ოფიციალური ანგარიში ბრიტანეთის პროფკავშირების დელეგაციისა რუსეთში 1924 წლის ნოემბერში და დეკემბერში".

სხვადასხვა ადგილას ჩერდებოდა ჩვენი მატარებელი, რათა შესაძლებლობა მისცემოდათ მუშათა სხვადასხვა კავშირებსა და საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებს ჩვენი მისალმების. მეტად ძნელი იქნებოდა. რომ დაწვრილებით შევჩერებულიყავით ყველა იმ შთაბეჭდილებებზე, რაც ჩვენ მივიღეთ საბჭოთა რუსეთის ურიცხვ სადგურებზე. ჩვენ გვხვდებოდენ აღფრთოვანებულად განწყობილ მუშების—მამაკაცებისა და ქალების—დემონსტრაციები გაშლილ დროშებით, რომლებზედაც მხატვრულად იყო ოქროთი და ვერცხლით ამოქარგული მშვენიერი ლოზუნგები.

მაგრამ ყველაზე უფრო ღრმა შთაბეჭდილება ჩვენზე მოახდინეს ახალგაზრდა პიონერთა რაზმებმა. მათი რევოლიუციონური სიმღერები გვაგონებდენ ჩვენ ჩვენი ქვეყნის ხალხურ სიმღერებს. ეს სიმღერები ჩვენში იწვევდა ღრმა სევდის გრძნობებს. ამ რევოლიუციონურ [illegible] ჩვენ გვესმოდა ხალხის ჩივილი, რომელიც დიდხანს იტანჯებოდა, მაგრამ რომელმაც ბოლოს იხილა სინათლე და უკეთესი მომავლის იმედები.

ჩვენი დელეგაციის წევრები, რომელთაც 1920 წელში ინახულეს რუსეთი, აღნიშნავდენ იმ დიდ ცვლილებას, რომელიც მოხდა მას შემდეგ. 1920 წელში დემონსტრაციაში მონაწილე მუშები ძალიან გამხდარნი იყვნენ და თავის გამხდარ ტანს ძლივს იფარავდენ ძონძებით. ეს იყო პირველი დამამტკიცებელი საბუთი სოციალურ პირობების სწრაფი გაუმჯობესებისა, რაშიც ჩვენ შემდეგ მრავალჯერ დავრწმუნდით რუსეთში ყოფნის დროს.

დელეგაციის წევრებმა, რომელნიც ომამდი დიდხან სცხოვრობდენ რუსეთში, ყურადღება მიაქციეს სხვა ცვლილებასაც. მათ თვალში ეცათ ომის წინა დროებთან შედარებით დღევანდელი სისუფთავე საზოგადო შენობებისა, როგორც, მაგალითად, სასადილოებისა და აგრეთვე საპირფარეშოებისა. სადგურებში და სადგურთა შენობებში სრულებით არ ეყარა ნამწვავები და მზესუმზირის კაკლები, შენობების კედლები არ იყო დამახინჯებული, როგორც ამას ჩვეულებრივად ადგილი ჰქონდა ომამდე.

შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე აგრეთვე ჩვენი ვაგონის რკინის-გზის მოსამსახურეთა ყოფა-ქცევამ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან მოდიოდა მთავრობის სამი წარმომადგენელი, მოსამსახურეები თავისუფლად გამოსთქვამდენ თავის აზრს სხვადასხვა საკითხების შესახებ და უშიშრად ლაპარაკობდენ ხელისუფლების ამა თუ იმ განკარგულების წინააღმდეგ. ეს მოვლენა უარყოფს იმ ხმებს, თითქოს ასეთი სიტყვების წარმოთქმა სახიფათო იყოს რუსეთში.

მოსკოვში ჩასვლისას ჩვენ შეგვხვდენ სრულიად საკავშირო პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენლები და გავემგზავრეთ მე-4 სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ყრილობის სხდომაზე. ამ ყრილობაზე მონაწილეობას იღებდა 843 დელეგატი, რომელნიც წარმოადგენდენ პროფკავშირთა 6 მილიონ წევრს. ჩვენ თვალში გვეცა ეროვნულ ტიპების დიდი განსხვავებანი, რაც ადვილი გასაგებია, თუ გავიხსენებთ, რომ რუსეთში ითვლება 130.000.000 მცხოვრები და 120-დან 180-მდე სხვადასხვა ეროვნების ხალხი.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ყრილობა მიმდინარეობდა „კავშირთა სახლში", მშვენიერ შენობაში, რომელიც გადასცა მოსკოვის პროფკავშირებს საბჭოთა მთავრობამ. წინედ აქ იყო სათავად-აზნაურო საკრებულო, სადაც იკრიბებოდა და სიმღერებს ემღეროდა რუსეთის ბრწყინვალე წოდება და ხშირად იმართებოდა აზარტული თამაშობანი.

შენობა მშვენივრად იყო გაწყობილი და შესუდრული შიგნით და გარედ. წინ მოსჩანდა დიდი თეთრი კოლონები, წითელი მატერიით შესუდრული, რომელზედაც ამოქარგული იყო სხვადასხვა ლოზუნგები. შემდეგ ჩვენ დავიარეთ მთელი შენობა; აქ მოთავსებულია პროფკავშირთა სხვადასხვა ორგანიზაციები და პროფკავშირთა კლუბი. ყველა ოთახში სუფევდა წესრიგი და სისუფთავე. დერეფნებში ჩვენ შევამჩნიეთ ხელოვნების მრავალი მშვენიერი ნაწარმოები ლითონისაგან, მარმარილოსაგან და ქვისაგან გაკეთებული; კედლებზე გამოფენილი იყო მრავალი მშვენიერი სურათი, აქედან ნაწილი ხატავდა ძველ წყობილებას, ნაწილი კი დახატული იყო რევოლიუციონური მხატვრების მიერ, სადაც გამოხატული იყო რევოლიუციის უმთავრესი მომენტები და რუსეთის დემოკრატიის სურვილები.

შემდეგ ჩვენ გვაჩვენეს სათათბირო დარბაზი (მრგვალი დარბაზი), სადაც ძველი რეჟიმის დროს ხდებოდა აზნაურთა კრებები. ამ ოთახის შუა ადგილას იდგა რგვალი მაგიდა, რომლის გარშემოც იდგა ძვირფასი მხატვრული სკამები; ყველა ამ სკამთაგანი მორთული იყო იმ დიდი მთავრის, ან სხვა არისტოკრატიის გერბით, რომელიც მასზე ჯდებოდა.

აქ ჩვენ მოვალეობად ვსთვლით აღვნიშნოთ, რომ ყველა პროფესიონალურ და მთავრობის დაწესებულებებში, რომლებიც ჩვენ ვინახულეთ, ყოველგვარი ღონისძიებანი იყო მიღებული დაეცვათ ხელოვნების ნაწარმოებნი, მიუხედავად იმისა, ძველ წყობილებას გამოხატავენ ისინი, თუ ახალს. ახალი სოციალური წყობილება ძველისაგან მიღებულ ხელოვნების ნაწარმოებთ სრული პატივისცემით ეპყრობა.

დელეგაციამ ინახულა აგრეთვე მავზოლეი, სადაც ასვენია ლენინის ნეშტი, და ბრიტანეთის პროფკავშირთა სახელით მიიტანა იქ გვირგვინი განსვენებულ ბელადისადმი თავის პატივისცემის ნიშნად. მავზოლეი მტკიცედ ებჯინება კრემლის კედელს და წარმოადგენს რევოლიუციის მშვენიერსა და ტრაგიკულ ძეგლს.

მოსკოვში ყოფნის დროს ჩვენ მოწმე ვიყავით პროფკავშირთა დელეგატების გრანდიოზული დემონსტრაციის, რომელმაც ორკესტრითა და დროშებით გაიარა კავშირთა სახლის წინ მოწყობილ საგანგებო ტრიბუნასთან, სადაც იყვნენ ბრიტანეთის დელეგაცია და პროფკავშირთა წარმომადგენლები, უზარმაზარი მოედანი გაჭედილი იყო მრავალი ათასი მუშით, რომლებიც მხურვალედ ესალმებოდენ ჩვენს დელეგაციას. ეს დემონსტრაცია მშვენიერ სურათს წარმოადგენდა. ჩაიარეს მუშების დიდმა რაზმებმა სხვადასხვა დროშებით, რომელთაგანაც ბევრი ხელოვნების მშვენიერ ნაწარმოებს წარმოადგენდა ტილოზე, ოქროზე და ლითონზე ამოქარგული სახეებითა და ლოზუნგებით. ჩვენ გავიგეთ, რომ ხელოსნობას და ხელოვნებას [illegible] რევოლიუციონური გრძნობები, რომელიც ამ ჟამად სულს უდგამს რუს ხალხს.

სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, ბრიტანეთის დელეგაციას მიესალმა 100.000 კაცი. ბრიტანეთის წარმომადგენელთა სიტყვებს საერთო თანაგრძნობით ეგებებოდენ.

რუსეთში ჩვენი ყოფნის პირველ კვირას ჩვენ ვიხილეთ სულ სხვა ხასიათის დემონსტრაციაც. ბრიტანეთის დელეგაცია, რუს და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებთან ერთად, რომელნიც ყრილობაზე იყვნენ, მიწვეულ იქნა წითელი ლაშქრის ცხენოსანთა განსაკუთრებულ რაზმის ალლუმზე. ამ რაზმს იცნობენ, როგორც ბუდიონის ცხენოსანთა რაზმს.

ბუდიონი—ამ ჯარის კამანდირი, ცნობილია, როგორც ცხენოსანთა ჯარის გამოჩენილი სარდალი. ამ პოლკის საპატიო შეფია სრულიად საკავშირო პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი და ის ღებულობს პატაკს უშუალოდ პოლკის უფროსიდან ისევე, როგორც ის პრეზიდიუმი ღებულობს სხვა მოხსენებებს, რომლებიც მისი განყოფილების მუშაობას შეეხება.

ცხენოსანთა რაზმისა და მასთან არსებულ არტილერიის ალლუმი საუკეთესო ნიმუში იყო სამხედრო ხელოვნებისა და ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ბრიტანეთის დელეგაციაზე. აქ ჩვენ პირველად ვუცქერით დისციპლინით აღჭურვილ, შეიარაღებულ და გამოწვრთნილ პირველ ლაშქარს, რომელიც შექმნილია მუშათა და გლეხთა დაწესებულებების დასაცავად, ლაშქრის, რომელსაც არ აქვს არაფერი და შესდგება ჯანმრთელ და კარგად გამოწრთვნილ ჯარისკაცებისაგან, რომელთაც ინახავენ მუშები თავის ხარჯზე და წინ უძღვიან თვით მუშათა კლასის მიერ დანიშნული კომანდირები.

ჩვენ სისწორით არ ვიცით, თუ რას იტყვიან ამის გამო ეგრედ-წოდებული ბრიტანელი პაციფისტები (განიარაღების მომხრეები), მაგრამ, როგორც სჩანს, ეს ლაშქარი წარმოადგენს აუცილებლობას რუსეთის რესპუბლიკის დასაცავად. ხელისუფლება, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებისა, ყოველგვარ ზომებს ხმარობს გაბატონებულ სოციალურ წყობილების დასაცავად ყველა მტრებისაგან—როგორც შინაური კონტრ-რევოლიუციისაგან, ისე გარეშე შემოსევისაგან.

ხარკოვში ჩვენ დავათვალიერეთ მთავარი ფაბრიკები. ჩვენ ვინახულეთ კარგად მოწყობილი სასოფლო-სამეურნეო მანქანების დიდი ფაბრიკა, რომელშიაც მუშაობს 3.000 მუშა. დავათვალიერეთ რა ჩამომსხმელი, [illegible] და სადურგლო სახელოსნოები, ჩვენ ყურადღება მივაქციეთ იმას, რომ მანქანების დამზადება ხდება მეტად ფართო მასშტაბით.

ჩვენ შეგვხვდენ მუშების აღფრთოვანებული ჯგუფები, რომლებიც მადლობას გვიძღვნიდენ ფაბრიკის დათვალიერებისათვის და იმედს გამოსთქვამდენ, რომ ბრიტანეთის და რუსეთის მუშებს შორის დამყარდება მჭიდრო ურთიერთობა.

ასევე გულდით მიგვიღეს ჩვენ ელექტრონის დიდ ქარხანაში; დავათვალიერეთ რა ის, ჩვენ ყურადღება მივაქციეთ უზარმაზარ დინამო-მანქანებს, რომლებიც ქარხანაში მზადდება. ქარხნის მუშები მეტად დახელოვნებული არიან,—აქ მზადდება ელექტრონის მოწყობილობა საბჭოთა რუსეთის ფაბრიკებისა, ქალაქებისა და სოფლებისათვის. ამ ქარხნის გამგეებს საუცხოვოთ ესმით თავისი საქმე, მათ ხელმიწვდენილი შეთვისებული აქვთ ის ტეხნიკური ცოდნა, რომელიც საჭიროა მრეწველობის ამ დარგში.

ხარკოვი—უკრაინის მთავარი ქალაქია. ის წითელი და თეთრი ჯარების შეტაკების ცენტრი იყო. დენიკინელებმა ამ რაიონში საგრძნობლათ დააზიანეს რკინისგზები, გზატკეცილები და ხიდები. ხიდები დანგრეული იყო და წარსული ნგრევის კვალი ეხლაც ამჩნევია საზოგადოებრივ შენობებს და რკინისგზის ხაზებს.

ხარკოვიდან ჩვენ გავემგზავრეთ როსტოვში, იქიდან კი გროზნოში; გზაში ერთი დღით შევჩერდით კისლოვოდსკში. კისლოვოდსკი ცნობილია თავისი წყლებით, და წინეთ აქ მოდიოდენ მდიდრები რუსეთიდან, გერმანიიდან და ევროპის სხვა ქვეყნებიდან თავისი ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლათ და დასასვენებლათ. ჩვენ აქ დავათვალიერეთ სანატორიუმის სხვადასხვა დაწესებულებები და დასასვენებელი სახლები, რომლებიც მოწყობილია მდიდრების მიერ აშენებულ საუცხოვოთ მორთულ შენობებში.

მშვენიერი დარი იყო, როდესაც ჩვენ კისლოვოდსკში ჩავედით. აქ თითქმის ზაფხული იდგა, ჰაერი რბილი და თბილი იყო და მზის სხივები ანათებდენ ისე, როგორც ზაფხულის დღეებში. ჩვენ ვინახულეთ მუშათა კლუბები და დასასვენებელი სახლები. ჩვენ ისეთი შთაბეჭდილება მივიღეთ, რომ ამ ცნობილ კურორტს ეხლა იყენებენ პროფკავშირები იმ მიზნით, რომ საჭირო დახმარება გაუწიონ იმათ, ვინც ყველაზე უფრო საჭიროებს ამას, მძიმე მუშაობის შემდეგ.

ჩავედით რა გროზნოში, ჩვენ იმ წამშივე გავეშურეთ ნავთის სარეწავების დასათვალიერებლათ, რომლებიც ჩვენ პირველათ ვინახეთ რუსეთში. ჩვენ გვაჩვენეს, როგორ სწარმოებს მუშაობა ძვირფასი ნავთის ამ ბუნებრივ წყაროებში, რომლებიც წინათ აუარებელ მოგებას აძლევდენ მილიონერებს. ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვხედავდით იმას, თუ როგორ ამოდის მიწიდან ნავთი და როგორ აგროვებენ მას. ეს ძვირფასი სითხე, რომელიც მსოფლიოს ყველა კუთხეებში იწვევდა ამდენ დიპლომატიურ კინკლაობას და საერთაშორისო შეჯახებებს, აქ მრავლათ მოიპოვება.

ყველაფერი ის, რაც ჩვენ აქ დავინახეთ და გავიგონეთ, მეტად საინტერესო იყო. ჩვენ აქ ვნახეთ უბადრუკი ქოხები, რომლებიც ნავთის მეფეებმა ააგეს თავისი მუშებისათვის ძველი წესწყობილების დროს, და როგორ კონტრასტს წარმოადგენს მათთან შედარებით სამაგალითო მუშათა უბანი, რომელიც ააგო საბჭოთა ხელისუფლებამ.

ნავთის სარეწავების მოგება ხმარდება მუშების საბინაო პირობების გაუმჯობესებას. ვინახულეთ რა მუშათა სახლები, ჩვენ განცვიფრებაში მოგვიყვანა მათმა არქიტექტურულმა გეგმამ და დავრწმუნდით იმაში, რომ ჰაერის მოცულობის, სანიტარული პირობების და საერთო მოწყობილობის მხრივ ისინი არ ჩამოუვარდებიან სამაგალითო კოტეჯებს, რომლებიც მოწყობილია მუშებისათვის ინგლისში.

თბილისში ჩვენ მოგვესალმენ აუარებელი მუშები და პროფკავშირების წარმომადგენლები. რამდენიმე დღე ჩვენ მოვანდომეთ ფაბრიკების გამოკვლევას, როგორც თბილისში, ისე ახლო-მახლო მიდამოებში; დავათვალიერეთ ადგილობრივი დაწესებულებები, პროფკავშირთა საბჭო და ვისაუბრეთ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის თავმჯდომარესთან.

ჩვენ დავათვალიერეთ რკინისგზის [illegible] დიდი სახელოსნო, რომელშიაც მუშაობს 3.000 მუშა. დელეგაციის წევრები გამოვიდნენ სიტყვებით რკინისგზის მუშების მასიურ მიტინგზე.

ჩვენი ყოფნა თბილისში დამთავრდა ქალაქის მთავარ ქუჩაზე მოწყობილ შესანიშნავ დემონსტრაციით, რომელსაც დელეგაცია თვალყურს ადევნებდა განსაკუთრებული ტრიბუნიდან. **ამ დემონსტრაციამ დაგვარწმუნა ჩვენ იმაში, რომ თბილისის მუშები სრულებით არ არიან დაჩაგრული, როგორც ამას სწერენ ზოგიერთი გაზეთები. დემონსტრაციამ დაამტკიცა, რომ საქართველოს მუშები ერთხმად იწონებენ ეხლანდელ წესწყობილებას.**

თბილისში ყოფნის დროს ჩვენ ყველანი ვგრძნობდით, რომ ეს ქალაქი იყო ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პუნქტი ჩვენს მგზავრობაში. ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ **საქართველოში მოგზაურობიდან მიღებული საერთო შთაბეჭდილება სრულიად არ ადასტურებს იმ ცნობებს,** რომლებსაც ავრცელებენ კაპიტალისტური პრესა და სხვა გაზეთები, რომლებიც სცდილობენ შექმნან ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს საქართველოს მოსახლეობა დაჩაგრულია და ის დამორჩილებული ჰყავს რუსეთის წითელ არმიას.

თბილისიდან ჩვენ დავბრუნდით მოსკოვში, შემდეგ ვინახულეთ რუსეთის რევოლიუციის კერა—ლენინგრადი, სადაც დავრჩით 4 დღე; ლენინგრადში და მის მიდამოებში დავათვალიერეთ წარმოებები, მთავრობის დაწესებულებები, საავადმყოფოები, თავშესაფარები და სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებები. იმ გულწრფელმა მიღებამ, რომლითაც დელეგაციას შეხვდენ ლენინგრადში, გადააჭარბა ყველაფერ იმას, რაც ჩვენ აქამდე ვნახეთ ჩვენი მგზავრობის დროს. სამოქალაქო მოსახლეობა ათასობით გამოდიოდა ქუჩებზე და გვესალმებოდა ჩვენ. დელეგაციის წევრებმა სიტყვებით მიმართეს უზარმაზარ დემონსტრაციას, და ჩვენ დიდხანს არ დაგვავიწყდება ამ დემონსტრაციის [illegible] ლენინგრადის ქუჩებზე.

ჩვენს ანგარიშში ჩვენ, შეძლებისდაგვარად, აღვნიშნეთ ის სიმართლე რუსეთის შესახებ, რომლის დანახვა ჩვენ შევსძელით. იყო მრავალი საკითხები, რომელთა შესწავლა ჩვენ ვერ მოვასწარით, იყო მრავალი დაწესებულებები, რომელთა დათვალიერება ჩვენ ვერ მოვასწარით. ჩვენ აღვნიშნეთ ჩვენი მუშაობის შედეგები იმ იმედით, რომ ჩვენი ანგარიში სარგებლობას მოუტანს იმათ, ვისაც სურს რუსეთის შესწავლა, ვისაც გულწრფელად სურს გაეცნოს იმას თუ როგორ განაგებენ ამ უზარმაზარ ქვეყანას მუშები, რომლებიც იქ სცხოვრობენ და რომლებმაც თავის ხელში აიღეს ძალა-უფლება; ამას კი რუსეთის მუშებმა მიაღწიეს აუარებელი მსხვერპლის გაღებით და შეუბრალებელი კლასიური ბრძოლით, როდესაც ცივილიზაციის ერთი ფორმა ებრძოდა მეორეს.

---

*) როგორც ცნობილია, ინგლისის პროფკავშირების დელეგაციამ, რომელმაც ჩვენი კავშირი მოიარა, გამოაქვეყნა, ინგლისში დაბრუნების შემდეგ, ვრცელი ანგარიში, რომლის სათაურის კლიშე მოთავსებულია ზემოთ. როგორც მკითხველები გაიხსენებენ, მთელი ბურჟუაზიული და ეგრედ წოდებული სოციალისტური პრესა აცხადებდა დელეგაციის ყოფნის დროს ჩვენს რესპუბლიკებში, რომ საბჭოთა გაზეთები ამახინჯებენ პერსელისა და მისი ამხანაგების სიტყვებს და ბეჭდავენ იმას, რაც მათ არასდროს არც ერთ კრებაზე არ უთქვამთ. ამ ანგარიშის გამოქვეყნებამდეც ამხ. პერსელმა და დელეგაციის სხვა წევრებმაც საკადრისი პასუხი გასცეს ამ ცილის წამებაზე. ხოლო ოფიციალური ანგარიში კი ბოლოს უღებს [illegible].

ვინაიდან ჩვენი მკითხველებისათვის ინტერესს არ იქნება მოკლებული ის, რაც დასწერეს ტრედ-იუნიონების (პროფკავშირების) დელეგატებმა საბჭოთა კავშირის შესახებ, ჩვენ გამოვაქვეყნებთ, რამდენადაც ამის საშუალება გვექნება გაზეთში, ნაწყვეტებს ამ ანგარიშიდან.

რედაქცია.

ამხ. ბაგინსკის და ვეჩორკევიჩის მოკვლის შემდეგ

მკვლელს იცავენ.

ვარშავა, 5 აპრილი. ჟურნალი „მისლ ნაროდოვა" მოუწოდებს მოსახლეობას ხელწერილები მოაგროვოს იმ თხოვნაზე, რომელითაც აღძრული უნდა იქნეს შუამდგომლობა მურაშკოს შეწყნარების შესახებ.

მურაშკო-მურაშკი.

ვარშავა, 5 აპრილი. გავრცელდა ხმები, რომ მურაშკო არის ის პირი, რომელიც 1923 წელში მურაშკის გვარით მონაწილეობას იღებდა მოკლულ ვეჩორკევიჩის და ბაგინსკის პროცესში საიდუმლო პოლიციის სერჟანტის სახით.

„კურიერ პორანი" ამის შესახებ სწერს: „საჭიროა კატეგორიულათ მოვითხოვოთ იმ გარემოების გამორკვევა. ეს ორი პიროვნება რომ ერთი და იგივე აღმოჩდეს, მაშინ ეს ახალ, მეტათ საიდუმლო შუქს შეიტანს სტოლბცაში მომხდარ მკვლელობის საქმეში და მას შეუძლია სწორი გზა გვიჩვენოს ამ საქმის გამოსარკვევათ".

შემდეგ გაზეთი ხაზს უსვამს იმას, რომ მურაშკი იყო საბრალდებლო ნაწილის მთავარი მოწმე ვეჩორკევიჩის წინააღმდეგ, და აღნიშნავს, რომ ეს მოწმე **მაშინ მეტათ ბუნდოვან და უაზრო ჩვენებას იძლეოდა. მურაშკოს მიერ სხვადასხვა დროს მიცემული ჩვენება ეწინააღმდეგებოდა ერთმანეთს, მისი ჩვენება უაზრო იყო და ის ეჭვს ბადებდა.**

შემდეგ გაზეთი სწერს: მაგრამ „ჩვენ ვფიქრობთ, რომ მურაშკოს ბოროტმოქმედებასთან დაკავშირებულია აგრეთვე ვიღაც სხვა პირების პასუხისმგებლობა. დამტკიცება იმისა, რომ ორივე ეს პიროვნება ერთი და იგივეა, პირველი ნაბიჯი იქნება მეტათ საინტერესო გამომჟღავნებათა გზაზე".

„კურიერ პოზნანსკი" კითხვას აყენებს: მურაშკომ ეს ბოროტმოქმედება პირადი განზრახვით ჩაიდინა, თუ ის ვინმეს ბრძანებას ემორჩილებოდა და მთავრობისაგან მოითხოვს პასუხს, თუ რაში მდგომარეობს ეს საიდუმლოება.

იმის დამტკიცებას, რომ მურაშკო და მურაშკი ერთი და იგივე პიროვნებაა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება მკვლელობის სურათის გამორკვევის საქმეში. ვეჩორკევიჩის და ბაგინსკის პროცესზე მურაშკი იმდენათ თვალსაჩინო როლს თამაშობდა, რომ მას პროკურორ ცენოვსკის მარჯვენა ხელათ სთვლიდენ. მურაშკომ თავი შეირცხვინა პროცესის პირველ ნაწილში და ამიტომ ის შემდეგ აღარ გამოცხადებულა სასამართლოში.

პარტიზანთა თავდასხმა.

ვარშავა. 5 აპრ. ამ დღეებში რამოდენიმე პარტიზანი თავს დაესხა მომრიგებელ სასამართლოს შენობას და მოსამართლის ბინას ქალაქ პორიცკში. მათ გაიტაცეს რამოდენიმე დოკუმენტი და მთელი რიგი ნივთიერი საბუთები მათ რიცხვში თოფები და ვაზნები და მიიმალნენ.

ფართო მასების აღშფოთება

მოსკოვი. 6 აპრილი. ყველა საარჩევნო კრებებზე მოსკოვში გამოაქვთ საპროტესტო რეზოლიუციები ვეჩორკევიჩის და ბაგინსკის მხეცურათ მოკვლის წინააღმდეგ.

მფარველობას უწევენ მკვლელს

ვარშავა. 5 აპრილი. ვეჩორკევიჩის და ბაგინსკის მკვლელი—მურაშკო გადასცეს სააპელიაციო სასამართლოს პროკურორის განკარგულებაში ვილნოში და გადაიყვანეს ვილნოს ციხეში.

ვილნოს გაზეთები „სლოვო" და „დზენნიკ ვილენსკი" აგროვებენ შემოწირულებებს მურაშკოს ოჯახის სასარგებლოდ.

განგაში საქმიან წრეებში

ვარშავა. 5 აპრილი. პრესა ეხება ვეჩორკევიჩის და ბაგინსკის მკვლელობის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო დემონსტრაციებს მოსკოვში, ლენინგრადში და მინსკში. სამრეწველო წრეებში მკვლელობამ დიდი განგაში გამოიწვია. მათ აწუხებს საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის ბედი.

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პროტესტი

მოსკოვი. 5 აპრილი. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე 4 აპრილს მიღებულ იქნა საპროტესტო რეზოლიუცია პოლონელ ამხანაგების მოკვლის წინააღმდეგ. რეზოლიუციაში ნათქვამია:

„სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო სავსებით იზიარებს იმ სასტიკი აღშფოთების — გრძნობას, რომელმაც მოიცვა მუშათა ფართო მასები პოლონელ ამხანაგების ვერაგულად მოკვლის გამო. დეე მთელი მსოფლიოს და პირველ ყოვლისა პოლონეთის მუშებმა გაიგონ, თუ როგორ შეხედა საბჭოთა კავშირის მთელი პროლეტარიატი პოლონელ ჯალათების ამ ვერაგობას და რა პასუხი გასცეს მას საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიანმა მასებმა.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ჩეხო-სლოვაკია.

დიდი შეტაკება ორლავში.

პრაღა. 5 აპრილი. ოსტრავის სამრეწველო რაიონის სამთომადნო მუშათა და მეტალისტთა სექციებმა, რომელნიც ამსტერდამის ინტერნაციონალში შედიან, 5 აპრილისათვის დანიშნეს დაახლოვებით 40 საინფორმაციო კრება გაფიცვის მიმდინარეობის შესახებ. მუშებმა განაცხადეს, რომ მათ სურთ გამართონ დემონსტრაცია.

5.000 მუშა ორლავიდან ფიქრობდა ოსტრავაში გავლას, მაგრამ გაფანტული იქნენ ჟანდარმერიის მიერ. ორლავის განაპირა კუთხეებში 2,000 კაცისაგან შემდგარმა დემონსტრაციამ ქვებით ჩაქოლა ჟანდარმები. მაშინ ჟანდარმებმა მიმართეს იარაღს. ხალხიდან მოკლულია 2, მძიმედ დაჭრილია რამოდენიმე. ჟანდარმების მხრივ დაჭრილია 3. თვით ოსტრავაში კომუნისტები გაფანტეს სროლის აუტეხავად.

ამასთანავე დაპატიმრებული იქნა წაქეზებისათვის კომუნისტი დეპუტატი კოსტნი, მაგრამ დოკუმენტების შემოწმების შემდეგ განთავისუფლებულ იქნა.

ინგლისი

მუშათა ერთიანი ფრონტი

ლონდონი. 5 აპრილი. გაიმართა ინგლისის სამთომადნო და ტრანსპორტის მუშათა ფედერაციების თათბირი გაერთიანებულ მოქმედების გეგმის შესამუშავებლად. აღდგომის დღესასწაულების შემდეგ სამთომადნო მუშათა ფედერაცია გამართავს თათბირს მემანქანეთა კავშირთან ერთად, რის შემდეგ გაიმართება ყველა კავშირთა გაერთიანებული კონფერენცია, რომელსაც დაესწრებიან რკინისგზელების, მეტალისტების, ტრანსპორტის და სამთომადნო მუშათა კავშირების წარმომადგენლები. გაერთიანებული კონფერენცია საბოლოოდ ჩამოაყალიბებს საერთო პოლიტიკას.

პროფინტერნში

მოწოდება [illegible] გაფიცულ მუშებისადმი

მოსკოვი, 6 აპრილი. პროფინტერნმა და სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ ოსტრავის გაფიცულ მუშებს გაუგზავნეს 50.000 მანეთი და მიმართეს მათ შემდეგი მოწოდებით:

„წითელი პროფინტერნი და სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო გიგზავნით თქვენ თავის გულწრფელ, ძმურ სალამს და გაცნობებთ, რომ ისინი თქვენთან არიან იმ ბრძოლაში, რომელსაც თქვენ აწარმოებთ ექსპლოატატორების წინააღმდეგ. ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გააერთიანებთ ყველა მებრძოლ მუშებს, განურჩევლათ მიმართულებისა. ჩეხო-სლოვაკიის პროლეტარიატის მნიშვნელოვანი ამოცანაა—ერთიანი, მტკიცეთ გაერთიანებული პროფესიონალური მოძრაობის შექმნა, რომელშიაც ჩაბმული უნდა იქნენ ყველა მუშები, განურჩევლათ ეროვნებისა და მიმართულებისა.

პროფინტერნი და სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო, ნიშნათ ღრმა ძმური სოლიდარობისა, რომელიც აკავშირებს ყველა ქვეყნების მუშებს ჩეხო-სლოვაკიის მუშებთან, გიგზავნით 50.000 მანეთს, რომელიც უნდა მოხმარდეს ყველა გაფიცულ მუშებს, მიუხედავად იმისა, გაერთიანებული არიან თუ არა ისინი პროფესიონალურ კავშირებში.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ლენინის წერილების და დოკუმენტების გამოქვეყნების წესი.

მოსკოვი, 3 მარტი. რ. კ. პ. ცეკამ მიიღო დადგენილება ლენინის წერილების და დოკუმენტების გამოქვეყნების წესის შესახებ. ამ დადგენილების თანახმად, ლენინის გამოუქვეყნებელ წერილების და სხვა დოკუმენტების გამოქვეყნება პრესის ორგანოებში უნდა სწარმოებდეს მხოლოდ და მხოლოდ ლენინის ინსტიტუტის საშუალებით და თანხმობით.

საფოსტო კორესპონდენციის ტარიფი.

მოსკოვი, 3 აპრილი. ფოსტა-ტელეგრაფის სახკომისარიატი იმუშავებს ადგილობრივ მნიშვნელობის საფოსტო კორესპონდენციის ტარიფს. გლეხებს ეძლევა საშუალებათ ადგილობრივ ტარიფით გადაიხადონ იმ წერილების გადასაგზავნი ფასები, რომელიც იგზავნება ერთი სოფლიდან მეორეში და აგრეთვე წერილობითი კორესპონდენციების ფასები, რომელიც იგზავნება ერთ გზაზე მდებარე სოფლებში.

უსასი და ლაშკევიჩი ჩაიყვანეს მოსკოვში.

მოსკოვი, 4 აპრილი. მოსკოვში ჩაიყვანეს ლენინგრადში გადასაგზავნათ ქსენძი უსასი და პოლონეთის საკონსულოს მდივანი თბილისში—ლაშკევიჩი.

თათბირი საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ

ამხ. კალინინის საბოლოო სიტყვა

მოსკოვი. 6 აპრ. ქალაქის საბჭოების შესახებ მოხსენების გარშემო გამართულ კამათის შემდეგ სიტყვას ამბობს ამხ. კალინინი.

კალინინმა აღნიშნა, რომ დღევანდელმა თათბირმა შეიმუშავა პროექტები: სათემო აღმასკომების და სასოფლო საბჭოების განმტკიცების, სათემო ბიუჯეტის და ქალაქის საბჭოების შესახებ.

„ჩვენ ამოცანასო, ამბობს ის, შეადგენდა დაგვენახვებია ყველასათვის საბჭოების გამოცოცხლების საჭიროება, აღგვენიშნა საბჭოთა ნამდვილი როლი და ის, რომ საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობაში მონაწილეობას იღებენ არა მარტო პარტია და პარტიული ამხანაგები, არამედ საბჭოები და უპარტიოები.

საბჭოები უნდა მუშაობდენ მაქსიმალური ინტენსიობით, ვინაიდან **საბჭოები საუკეთესო საშუალებაა საბჭოთა აღმშენებლობაში უპარტიო მუშურ-გლეხურ მასების და ქალაქის მცხოვრებთა ჩასაბმელად**. ჩვენი თათბირის ამოცანას შეადგენს ისიც, რათა დავანახვოთ ყველა მოქალაქეებს, მუშებს და გლეხებს, საბჭოთა კავშირის ყველა პასუხისმგებელ მოღვაწეებს, რომ საჭიროა საბჭოებში მოვიზიდოთ მუშურ-გლეხური უპარტიო მუშები.

ჩვენი მუშაობის შინაარსი მდგომარეობს იმაში, რათა **საბჭოთა საზოგადოებრიობა მოვაქციოთ სახელმწიფოებრივ შემოქმედების ფერხულში**. მე უკვე აღვნიშნე, რომ რევოლიუციის პირველ ხანებში საბჭოთა სახელმწიფოს შექმნაში და საბჭოთა სახელმწიფოსათვის ბრძოლაში მონაწილეობდენ მუშათა და გლეხთა ფართო მასები, უმთავრესად ფრონტებზე. ამჟამად ფრონტები აღარ გვაქვს, მაგრამ იმ პრაქტიკულ მუშაობაშიაც, რომელიც ჩვენს წინაშეა დასმული, მუშათა და გლეხთა ფართო მასების დაუხმარებლად არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია, ვინაიდან საბჭოთა მშენებლობის წინაშე დასმული დაბრკოლებანი არა ნაკლებ რთულია, ვიდრე ის დაბრკოლებანი, რომელიც ჩვენ გვქონდა საბჭოთა ხელისუფლების პირველ ხანებში.

ამიტომ მასიური საქმიანობა, კოლექტიური შემოქმედება ისევე საჭიროა, როგორც ეს საჭირო იყო მაშინ. ამიტომ ჩვენ ამოცანას შეადგენს—მივიზიდოთ მუშათა და გლეხთა ფართო მასები.

4 წლის წინად თითოეულ სოფელს რამოდენიმე თავისი წევრი ჰყავდა წითელ არმიაში. ეხლა სოფელს აღარ ჰყავს ფრონტებზე თავისი აქტიური მებრძოლები საბჭოთა ხელისუფლებისათვის, მაგრამ ამასთანავე სოფელი მეტად დაინტერესებულია საბჭოთა მუშაობაში მონაწილეობით. თათბირს უნდა გამოენახა გზები, რომელსაც შეეძლებოდა საბჭოთა მუშაობაში გლეხების მიზიდვა. მასების მიზიდვით ჩვენ ვაკისრებთ გლეხობას პასუხისმგებლობას ჩვენი წარმატებისა და შეცდომებისათვის.

თათბირმა გაითვალისწინა საბჭოთა მუშაობის ახალი საშუალებანი, რომელშიაც უნდა მონაწილეობდენ მუშათა და გლეხთა მასები. თუ ცაკი თავის კანონმდებლობათა შემუშავების დროს იწვევს დახმარებისათვის ადგილების წარმომადგენლებს და მუშებს და გლეხებს, ამით ადგილებს ეძლევათ დირექტივები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას მომავალში შემუშავებული პროექტები, და განსაკუთრებით, ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოების პრაქტიკული დადგენილებანი. ამაშია ჩვენი თათბირის მთელი მნიშვნელობა. თუ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები შეიგნებენ, რომ მათ მთავარ ტენდენციას უნდა შეადგენდეს ფართო მასების მიზიდვა, მაშინ, უეჭველია, ჩვენი მთავარი ამოცანა შესრულებული იქნება.

უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობის აქტუალურ საჭირბოროტო საკითხს—განაცხადა შემდეგ კალინინმა, მე ვსთვლი საკითხს ე. წ. კულაკებისათვის საარჩევნო უფლებების წართმევის შესახებ, ეჭვგარეშეა, ხშირია ბოროტმოქმედება ამ მხრივ. სავსებით გასაგებია, რომ შეძლებული გლეხობა, იმყოფება რა უმცირესობაში, ზოგჯერ აჭერხებს თავის სურვილის კარნახს ღარიბ გლეხთა უმრავლესობისათვის. მიუხედავად ამისა, მე ვფიქრობ, რომ საარჩევნო უფლების წართმევა ძალიან ფრთხილად უნდა ხდებოდეს. ჩვენ უნდა ვეძიოთ სხვა საშუალებანი, ღარიბ მცხოვრებთა დაცვის სხვა მეთოდები. საარჩევნო უფლების წართმევა, ჩემის აზრით, უდიდესი სასჯელია მოქალაქისათვის. სასჯელი რომ მართლაც მტკივნეული იყოს, იგი უნდა იყოს იშვიათი.

რაც უფრო ბევრი ადამიანი დაისჯება ამა თუ იმ დანაშაულისათვის, მით უფრო ეს დანაშაული ხალხის თვალში იქნება ნაკლები და სასჯელიც ნაკლებ სამარცხვინო. **ამიტომ პოლიტიკურ მოსაზრებით, საარჩევნო უფლების წართმევა, როგორც უმაღლესი სასჯელი, უნდა ვიხმაროთ ძალიან ფრთხილად.**

ჩვენ საბჭოებს ესაჭიროებათ მკაცრი, მაგრამ სამართლიანი კრიტიკა, ხელისუფლების ყოველი კრიტიკა როდი არის მტრული კრიტიკა. **გლეხი, რომელიც გამოდის ძალიან უხეში ფორმით, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების გაუმჯობესების მიზნით, და არა მისთვის სახელის გასატეხად,—არ არის მტერი საბჭოთა ხელისუფლების. მტერია ის, რომელიც გამოდის გარეგნულად ლმობიერი კრიტიკით, მაგრამ რომლის მოქმედების მიზანია საბჭოთა ხელისუფლებისათვის სახელის გატეხა** და საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრული დამოკიდებულების შექმნა.

შემდეგ კალინინი აღნიშნავს, რომ არის საკითხი, რომლის არა მარტო დამუშავებაა საჭირო, არამედ მის გარშემო უნდა ჩატარდეს მთელი კამპანია პრესაში—საკითხი აღმასკომების ურთიერთი დამოკიდებულების შესახებ.

„ხელისუფლებაო, ამბობს ის, აშენებულია ისე, რომ, მაგალითად, დასჯის პოლიტიკის დარგში ყოველი დაბლა მდგომარე აღმასკომი სარგებლობს სრული უფლებით, თუმცა ჩვენი კონსტიტუციით ეს სავსებით ასე არ არის. ჩვენში, ყოველ მილიციონერს შეუძლია თავისუფლად დააპატიმროს გლეხი, როდესაც მას მოეპრიანება, ამიტომ ჩვენ უნდა შევამციროთ შედარებით დასჯის ის უფლებები რომლებიც აღმასკომებს აქვთ და მოვაქციოთ იგი კანონის ფარგლებში; **რათა დასჯა-გასწორების პოლიტიკა გადავიდეს მთლიანად იუსტიციის ორგანოების ხელში, ხოლო ადმინისტრაციას დარჩეს ადმინისტრატიულად დასჯის მინიმალური ნაწილი.**

კალინინის სიტყვით დასრულდა თათბირი.

კულტურული კავშირი უცხოეთთან

მოსკოვი. 6 აპრილი. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს ადმინისტრატიულ-საფინანსო კომისიამ დაამტკიცა უცხოეთთან კულტურული კავშირის სრულიად საკავშირო საზოგადოების წესდება; აღნიშნულმა საზოგადოებამ კულტურული კავშირი უნდა დაამყაროს, ერთის მხრივ, საბჭოთა კავშირის დაწესებულებებსა, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და სამეცნიერო-კულტურულ ორგანოების ცალკე წარმომადგენლებსა და, მეორეს მხრივ, უცხოეთის სამეცნიერო ორგანიზაციებთან.

უცხოეთთან კავშირის დამყარების მიზნით, საზოგადოებას განზრახვა აქვს ყველა ქვეყნებში იყოლიოს თითო რწმუნებული.

იმავე კომისიამ მოიწონა იმ კომიტეტის წესდების პროექტი, რომელიც უნდა დაარსდეს შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან. კომიტეტის მოვალეობას შეადგენს თვალყური ადევნოს გაზეთების და წიგნების გამომცემლობათა მუშაობას, და აგრეთვე მოაგვაროს სამეურნეო-კომერციული მუშაობა [illegible] პრესის გამოსაცემათ.

საწვრილმანო ფასების მოწესრიგება

მოსკოვი. 6 აპრილი. სახელმწიფო საგეგმო კომისიის სექციასთან გაიმართა თათბირი სამრეწველო საქონელზე საწვრილმანო ფასების მოწესრიგების შესახებ. თათბირმა დაამტკიცა, რომ წვრილ-წვრილად გაყიდვის დროს საბითუმო ფასები ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე ომამდე. განსაკუთრებით დიდია კერძო საწვრილმანო მაღაზიების ფასები. თათბირმა დაადგინა დაავალოს შინა-ვაჭრობის სექციას გამოიმუშაოს სათანადო ღონისძიებანი. თათბირმა ხაზი გაუსვა, რომ უნდა იქნას გამოჩენილი უდიდესი სიფრთხილე ზედნადებ ფასების შემცირების საქმეში იმ საქონელზე, რომელიც ნაკლებად მოიპოვება ბაზარზე.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადების ნარჩენთა იძულებითი გადახდევინების შეწყვეტა

მოსკოვი, 6 აპრილი. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა გასცა განკარგულება ადგილობრივ სათანადო ორგანოებისადმი, რათა 1 აპრილიდან შეწყდეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნარჩენების (სასოფ.-სამ. გადასახადის გადაუხდელი ნაწილის), ჯარიმების იძულებითი გადახდევინება და აგრეთვე აწერილ ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვა. საგადასახადო კომისიებმა ნარჩენთა გადამხდელები უნდა დაჰყონ სამ კატეგორიათ:

1) ღარიბთა მეურნეობანი, წითელარმიელთა ობლების და ქვრივების მეურნეობანი, ინვალიდთა მეურნეობანი, სტიქიურ უბედურებათაგან დაზარალებული მეურნეობანი და სხვა;

2) მეურნეობანი, რომელთაც დროებით ძალიან უჭირთ გადახდა;

და 3) მეურნეობანი, რომელთაც შეუძლიათ გადახდა, მაგრამ გაურბიან მას.

პირველი კატეგორიის გადამხდელები თავისუფალი არიან ნარჩენების, ჯარიმების და პენების გადახდისაგან. მეორე კატეგორიის გადამხდელებს გადახდის ვადა გაუგრძელდებათ 1925—26 წლის კამპანიამდე. მესამე კატეგორიის ნარჩენები კი აკრეფილი უნდა იქნეს.

საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა დირექტივები მისცა ადგილებს, რათა მესამე კატეგორიას მიაკუთვნონ მხოლოდ აშკარა ბოროტი გადამხდელები, ყველა საეჭვო შემთხვევაში გადამხდელები უნდა მიაკუთვნონ მეორე კატეგორიას.

უკანასკნელი ცნობები

რიგის სამხედრო კონფერენცია

რიგა, 5 აპრილი. ლატვიის სეიმში სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ შეიტანა შეკითხვა მთავარი შტაბების წარმომადგენლების კონფერენციის შესახებ, რაზედაც ლატვიის ლაშქრის სარდალმა გენერალმა რაძინშმა უპასუხა, რომ ადგილი ჰქონდა მთავარი შტაბების თათბირს განიარაღების საკითხის შესახებ თანახმად ერთა ლიგასთან არსებულ თათბირის დადგენილებისა. რაძინშმა დაუმატა, რომ რიგის თათბირში მონაწილეობას ღებულობდენ პოლონეთის, ლატვიის, ესტონეთის და რუმინეთის მთავარი შტაბების წარმომადგენლები.

ვარშავა. 5 აპრილი. აქ მიღებული ცნობების თანახმად მთავარი შტაბების კონფერენციაზე რიგაში აღძრული იყო საკითხი პოლონეთის ჯარების ლატვიაში შეყვანის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჭირო შეიქნა ამ სახელმწიფოთა საერთო გამოსვლა.

ხელშეკრულება საბერძნეთსა და სამხრეთ-სლავიას შორის.

ვენა, 5 აპრილი. ბელგრადიდან მიღებულ ცნობით საბერძნეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მიხალოკოპულოსი ჩავა ბელგრადში, რათა პირადათ მოაწეროს ხელი საკავშირო ხელშეკრულებას საბერძნეთსა და სამხრეთ-სლავიას შორის.

გაფიცვა ჰამბურგში.

ბერლინი, 5 აპრილი. გრძელდება სატრანსპორტო მუშათა გაფიცვა ჰამბურგში. მოლაპარაკება გადადებულია.

ბულგარეთის „ოხრანკის" მიერ გადასახლებულნი

კონსტანტინოპოლი. 6 აპრილი. კონსტანტინოპოლის ნავთსადგურში მოვიდა გემი „ტრიტონი" ვარნიდან გადმოსახლებულ 250 თეთრი ლტოლვილით. ვარნაში ლტოლვილები გემზე შეყავდათ მათრახის ცემით და მათ თოფებით ემუქრებოდენ. ეს ჯგუფი გადმოასახლა ბულგარეთის ხელისუფლებამ იმიტომ, რომ მათ უარი განაცხადეს რუს მონარქისტების ტერორისტულ ორგანიზაციაში შესვლაზე. გადმოსახლებულებს საშინლად აწამებდენ ბულგარეთის ციხეებში.

8.000 მუშის დათხოვნა

ბერლინი. 5 აპრილი. ვინაიდან სპილენძის სამრეწველოების მუშების მოლაპარაკება მრეწველებთან უშედეგოთ დასრულდა, მწარმოებლებმა გადაწყვიტეს ორშაბათიდან დაითხოვონ 8.000 მუშა მანქანათა სააღმშენებლო ქარხნებში.

ამხ. ვლადიმიროვის დასაფლავება

მოსკოვი. 6 აპრილი. დღეს მოსკოვში იტალიიდან ჩამოასვენეს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ვლადიმიროვის ნეშტი.

მატარებლის მოსვლის დროს ვინდავის სადგურის ბაქანზე გვირგვინებით და დროშებით ჩამწკრივებულნი იყვნენ ჯარების, მუშების, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და ფინსახკომის თანამშრომლების რიგები. ბაქანზე იდგა სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს საპატიო ყარაული დროშით. შესახვედრად მოვიდენ ძერჟინსკი, პიატაკოვი, სოკოლნიკოვი, ბრიუხანოვი, შეინმანი ლობაჩევი, ენუქიძე, ფლიქს, კონი და სხვები.

10 საათზე და 30 წუთზე სამგლოვიარო ჰიმნის ჰანგებ ქვეშ სადგურის ბაქანს ნელ-ნელა მოუახლოვდა სამვაგონიანი მატარებელი მორთული სამგლოვიარო არშიებით. კუბო ვლადიმიროვის ნეშტით გამოიტანეს ძერჟინსკიმ, კონმა, ლობოვსკიმ, ლობაჩევმა, მანცევმა, კანდროვმა და ხალატოვმა და დაასვენეს სადგურის მოედანზე, საიდანაც პროცესია გაემართა წითელ მოედნისაკენ.

დღის 1 საათზე პროცესია მივიდა წითელ მოედანზე, სადაც მას დახვდენ ფაბრიკების, ქარხნების და დაწესებულებების დელეგაციები.

მრავალრიცხოვანი ორკესტრები განუწყვეტლივ უკრავდენ სამგლოვიარო ჰიმნებს. კუბოს სდებენ ლენინის მავზოლეუმთან. მავზოლეუმზე ადიან რიკოვი, კამენევი, ციურუპა, ძერჟინსკი, ენუქიძე, ლომოვი, სოკოლნიკოვი და სხვები. სამგლოვიარო სხდომას ხსნის ენუქიძე.

კამენევი თავის სიტყვაში აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ვლადიმიროვის სახით ჰკარგავს საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთ საუკეთესო აღმშენებელთაგანს.

„ვლადიმიროვმაო—ამბობს კამენევი—გაიარა რევოლიუციონერის—პარტიულის ჩვეულებრივი გზა, მან დაიწყო მუშაობა პროპაგანდისტათ მუშათა წრეებში, მუშათა კლასთან ერთად ის გამარჯვებათა და დამარცხებათა შემდეგ მივიდა ხელისუფლებამდე. ვასაფლავებთ რა ვლადიმიროვის ნეშტს ჩვენი ბელადის საფლავის გვერდით, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ძველი ბოლშევიკების მაგიერ მუშათა კლასის წიაღიდან წარმოიშვება კომუნიზმის მშენებელთა ახალი კადრი".

შემდეგ გამოვიდენ სოკოლნიკოვი, კნორინი, კრასინი, ბრიუხანოვი, ლომოვი და სკულსკი.

2 საათზე რიკოვი და ციურუპა კუბოს ნეშტით სდებენ კრემლის კედლის განსაკუთრებულ დასასვენებელში, რომელიც სალიუტის დროს იხურება მარმარილოს ფილებით, რომელსაც აქვს სათანადო წარწერა.

აღმოსავლეთის ქალთა შორის მომუშავეთა თათბირი

მოსკოვი 6 აპრილი. საბჭოთა აღმოსავლეთის ქალთა შორის მომუშავეთა სრულიად საკავშირო თათბირზე 3 აპრილს მოსმენილი იქნა მოხსენებები ადგილებიდან.

კასპაროვმა მოხსენებას საფუძვლად დაუდო სტალინის თეზისები იმის შესახებ, რომ საჭიროა მუშაობის ნაკლოთა აღნუსხვა და გამოაშკარავება იმისა, თუ როგორ ტარდება ადგილებზე პარტიული ხაზი, რამდენად არიან დაკავშირებულნი მასებთან მუშა ქალთა განყოფილებანი, რამდენად ტარდება ადგილობრივ მუშაკების მიერ ცეკას ხაზი ეროვნულ პოლიტიკაში.

მოხსენებები ადგილებიდან იძლევა სინამდვილის ნამდვილ სურათს.

ზაქარიანი, ეხება რა ჯამს მთელ რიგ მოხსენებებს ადგილებიდან, აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიას, რომელიც აერთიანებს სამ რესპუბლიკას, აქვს ერთის მხრივ ეკონომიურად განვითარებულ ქვეყნის და მეორეს მხრივ ნახევრად ველური, ნახევრად ბარბაროსულ ქვეყნის თვისებები. ბაქო—რევოლიუციის მებაირახტრეა, ამერიკული ტიპის ქალაქი; თბილისი—ნახევრად მეშჩანური, ნახევრად საფაბრიკო ქალაქია, მაგრამ მაღალი კულტურის გვერდით კი—ველური, უკულტურო ადგილები. ქალთა მდგომარეობა ოჯახურ ყოფა-ცხოვრების მხრივ ძალიან მძიმეა. ქალი წინად იყო მამაკაცის მონა, ჩაგრული და მივიწყებული. ამჟამად კი შეჩნეულია დიდი გამოცოცხლება. სადელეგატო კრებები—მუშაობის მთავარი ფორმა—სავსებით გამოსადეგია ამიერ კავკასიაში.

საინტერესოა მთის ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიის გამოცდილება, რომელიც მუშაობს სომხეთის, საქართველოს და აზერბეიჯანის აღმასკომებთან. თვითეულ კომისიის სათავეში სდგას აღმასკომის პასუხისმგებელი წევრი.

სანიმუშოა საქართველოს ცაკთან არსებულ კომისიის მუშაობა. მოწყობილია უპატრონო ქალთა სახლი, სამკერვალო სახელოსნო და სამრეცხაო.

მომხსენებელნი აღნიშნავენ, რომ საჭიროა მუშა-ქალთა განყოფილების მჭიდრო კავშირი საკონტროლო კომისიებთან.

თათბირზე მთლიანად იყვნენ წარმოდგენილი ჩრდილოეთ-კავკასიის ეროვნული რესპუბლიკები და ოლქები, სიტყვა წარმოსთქვეს ოსეთის, ინგუშეთის, ყარაჩაის, ადიღეის და ჩეჩნეთის წარმომადგენლებმა.

დასკვნითი ხასიათი ჰქონდა **ალექსეევას მოხსენებას.**

ყველა მომხსენებლები აღნიშნავდენ ჩრდილოეთ-კავკასიის ხალხთა განსაკუთრებულ ჩამორჩენილობას და მუშაკების სიმცირეს. ჩრდილოეთ-კავკასიის ხალხებს არ აქვთ მრეწველობა, კარგად დაყენებული სასოფლო-მეურნეობა, არსებობს მხოლოდ კულტურის ჩანასახი. პროლეტარიატის სიმცირე საშუალებას არ იძლევა მოწყობილი იქნას ძლიერი პარტია. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს, გარდა ოსეთისა, მეფის დროს არ ჰქონიათ დამწერლობა. ამჟამად არის ერთგვარი მიღწევები ამ მხრივ: ჩეჩნები და ინგუშები უკვე სწერენ თავიანთ ენაზე და მათ აქვთ ანბანი. გამოდის გაზეთიც.

მომხსენებლები აღნიშნავენ დაწყებულ სამეურნეო აღორძინებას, განსაკუთრებით ყაბარდოში და ოსეთში, და ხაზს უსვამენ რ. კ. პ. ჩრდილოეთ-კავკასიის საოლქო კომიტეტის და საოლქო აღმასკომის დახმარებას მრეწველობის ცენტრების შექმნის დროს.

მომხსენებლები ეხებიან ლოზუნგათ ჩრდილოეთ-კავკასიის მთიან ადგილების გადაქცევას საბჭოთა ელექტრიფიკაციის და რკინის, ტყვიის და ვერცხლის მადნის დამუშავებას.

აღნიშნავენ აგრეთვე მთიულეთის ქალთა და მამაკაცთა უდიდეს აქტიურობას, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ გაანთავისუფლა ეროვნულ და კლასიურ ჩაგვრისაგან. მთიულ ქალს სურს მიიღოს აქტიური მონაწილეობა ეკონომიურ განთავისუფლებაში და ხელი შეუწყოს ჩრდილოეთ კავკასიის სამეურნეო აღორძინებას. აღნიშნავენ მჭიდრო კავშირს სხვადასხვა რესპუბლიკების და ოლქების დელეგატ-ქალთა შორის. აღნიშნულია ნაკლულოვანებანი, როგორც, მაგალითად, საშუალებათა უქონლობა არტელების და სახელოსნოების მოსაწყობათ, უჯრედების არა საკმარისი ყურადღება ქალთა შორის მუშაობისადმი, პარტიული ხაზის გაუგებრობა და სხვა.

ჩრდილოეთ-კავკასიის დელეგაციამ წამოაყენა მთელი რიგი კონკრეტულ მოთხოვნილებათა: საოლქო და სარაიონო ქალთა ორგანიზატორების საჭიროება, ოსეთში არტელების და სანიმუშო კლუბის გახსნა, და აგრეთვე ორ ასეთივე კლუბის გახსნა ინგუშეთსა და ჩეჩნეთში.

დელეგაციამ წამოაყენა აგრეთვე საკითხი კურსების დაუყოვნებლივ გახსნის შესახებ ქალთა დაკვალიფიცირების მიზნით. დელეგაციას საჭიროთ მიაჩნია აგრეთვე მუშაობის გაძლიერება პარტიაში მთელ ქალთა მისაზიდავათ და მათ აღსაზრდელად ლენინურ მეთოდით, ლენინელ კადრთა შესადგენათ. აღნუსხული იქნა მთელი რიგი კონკრეტიულ ღონისძიებათა ქალთა კოოპერაციაში ჩასაბმელად.

საბჭოთა საქართველოს მოქალაქეთა საზოგადოება გერმანიაში

საბჭოთა საქართველოს მთავრობას

საბჭოთა საქართველოს მოქალაქეთა საზოგადოებამ ბერლინში 11 მარტს გამართა საზეიმო სხდომა საქართველოს გასაბჭოების 4 წლის თავის აღსანიშნავად. კრებას აუარებელი ხალხი დაესწრო, რომელმაც ერთხმად შემდეგი რეზოლიუცია მიიღო; საბჭოთა საქართველოს მოქალაქეთა კოლონიის საზეიმო სხდომა სალამს უძღვნის საბჭოთა საქართველოს და მის მთავრობას. კრება სცნობს მძიმე მუშაობას, რომელსაც აწარმოებს მთავრობა საქართველოში, ხაზს უსვამს დიდ ნაყოფიერებას და პროგრესს საქართველოს ეკონომიურ და კულტურულ ძალების აღორძინებაში, საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებაში და შენახვაში. კრება მოუწოდებს ყველა იმ პატიოსან ძალებს ქართულ ემიგრაციისას, რომლებისათვისაც ძვირფასია საქართველოს კეთილდღეობა და რომელთაც არ დაუვიწყიათ უკანასკნელი ავანტიურა, დანაშაულება ქართველი ხალხის წინაშე, ჩამოშორდნენ საქართველოს მტრებს და ემიგრანტულ ანტისაბჭოთა მუშაობას, გონს მოვიდნენ, ჯვარი დაუსვან თავიანთ წარსულს და შეუერთდენ საბჭოთა საქართველოს.

საზოგადოების მდივანი **არ. მეტრეველი**.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარისტანი

ზღვის ნაპირების გამაგრება.

ბათომი, 3 აპრილი. ამიერ-კავკასიის რკინის-გზათა სამმართველო აწარმოებს მუშაობას ზღვის ნაპირის და რკინის-გზის ხაზის გასამაგრებლად მწვანე კონცხთან, ბოტანიკური ბაღის რაიონში. მუშაობა ახლო მომავალში დამთავრდება.

აჭარისტანის პროფმუშაობის დათვალიერება.

ბათომი, 3 აპრილი. აჭარისტანის პროფკავშირთა მუშაობის მდგომარეობის გამოსარკვევად ბათომში ჩავიდა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგე მარკმანი.

მუსულმან მუშების შუამდგომლობა.

ბათომი, 3 აპრილი. მუსულმანმა მუშებმა, რომლებიც მუშაობენ ჰიდროსადგურის საამშენებლო სამუშაოზე, მიმართეს საამშენებლო დარგის მუშათა კავშირს თხოვნით, რათა მათთვის გახსნილ იქნეს ცალკე სასადილო, რადგან რელიგიურ მოტივების გამო მათ არ შეუძლიათ ისარგებლონ საერთო სასადილოებით. შუამდგომლობა გადაეცა საამშენებლო ადმინისტრაციას.

პარტიული ცხოვრება

ახალი საზოგადოებრიობისათვის

მუშათა კლასისათვის ძალაუფლება მიზნად კი არ არის წარმოდგენილი, არამედ იგი საშუალებაა, იარაღია ახალი ცხოვრების შესაქმნელად. ამ თვალსაზრისით კი რევოლიუცია ჯერ კიდევ შორსაა დასრულებამდე, რადგან ცხოვრების ყოველი უჯრედი რევოლიუციონურ გარდაქმნას საჭიროებს.

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც პროლეტარიატმა უნდა გადასჭრას, არის ძველი ოჯახის ნანგრევებზე ახალი ოჯახის აგება და უმთავრესად კი ბავშვის სოციალური აღზრდის საკითხის მოგვარება.

რას წარმოადგენენ ამ მხრივ თანამედროვე თუ გინდ მუშათა ოჯახები?

ბავშვის აღზრდა თავისთავად უაღრესად მძიმე საქმეა, რადგან ბავშვის რთული ფსიქოლოგიის გაგება და თავიდანვე მოხერხებული აღზრდით შთამომავლობით მიღებული ცუდი თვისებების ჩახშობა საკმაო დიდ მომზადებას და დაკვირვებას მოითხოვს დედებისაგან, რასაც ჩვენი დედების დიდი უმრავლესობა მოკლებული არიან. ჩვენი ოჯახი ბავშვის საკითხში უაღრესად მეშჩანურია და წვრილბურჟუაზიულ თვისებათა მატარებელი.

ჩვენ ოჯახებში ბავშვში გადამეტებული ფერებით თავიდანვე ვითარდება ეგოისტური სულისკვეთება. არც ერთი ოჯახში, თითქმის არც ერთ მშობელი ბავშვში არ ზრდის თავიდანვე კოლექტიურ შეგნებას, რაიც ასე საჭიროა განახლებული საზოგადოებისათვის.

ასეთი კოლექტიური აღზრდას ძალიანაც რომ ეცადონ მშობლები, მაინც ვერ შესძლებენ თავისი ოჯახში რადგან კოლექტიურად მოაზროვნე ბავშვის აღზრდა შეუძლია მხოლოდ საზოგადოებრივ წრეს. ბავშვი თავიდანვე ისეთ პირობებში უნდა აღიზარდოს, რომ შეეჩვიოს კოლექტიურ აზროვნებას. იგი მაშინ უნდა მხიარულობდეს, როცა მისი ამხანაგები მხიარული არიან, ის თავიდანვე უნდა შეესისხლხორცდეს საერთო ჭირ-ვარამის გაზიარებას და სხვა.

სოციალური აღზრდის ჩანასახი ჩვენში უკვე არსებობს, (არის საბავშვო სახლები, საბავშვო ბაღები) მაგრამ პირველში ან სრულიად უპატრონო ბავშვებს აძლევენ, ანდა უაღრესად ხელმოკლე მშობლების შვილებს, ხოლო მეორეში კი ბავშვების ერთად ყოფნა, სოციალური აღზრდა საათებით განისაზღვრება.

თუ ჩვენ გვინდა ჩვენი მომავალი თაობა ერთის მხრივ განთავისუფლდეს ძველი ცხოვრების მავნე თვისებებიდან, ხოლო მეორეს მხრივ ის იყოს მატარებელი მტკიცე კოლექტიური შეგნების, ბავშვთა სოციალური აღზრდის საქმე უფრო ფართო ნიადაგზე უნდა დავაყენოთ.

ამ მხრივ მაგალითის მაჩვენებელნი ჩვენი მოწინავე პარტიული ამხანაგების ოჯახები უნდა შეიქნან.

საზოგადოებრივი ინტერესები მოითხოვენ ბავშვების საბავშვო სახლში აღსაზრდელად მიცემას. საზოგადოებამ გარკვევით უნდა დაუსვას კითხვა თვითეულ მშობელს, რომ ბავშვი არის წევრი საზოგადოების და ამიტომ მისი აღზრდაც საზოგადოების საქმეა და არა მისი მშობლის, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში აღზრდის მაგივრად, პირიქით, ამაინჯებს ბავშვის სულიერ და გონებრივ თვისებებს.

თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვების აღზრდას, თუ რა დადებითი შედეგებს იღებს აქედან საზოგადოება. ამის დანახვა შეუძლია ყველას ჩვენი ახალგაზრდა პიონერებზე, რომლებშიც თანდათანობით შესაფერისი აღზრდის წარმოებით მტკიცდება და ვითარდება კოლექტიური ნებისყოფა, კოლექტიური შეგნება. ბევრი ახალგაზრდა პიონერი, მიუხედავად თავისი სიპატარავისა,—იმდენად გამსჭვალა სიძულვილით მეშჩანური, ეგოისტური თვისებებისადმი და მეორეს მხრივ იმდენად შეისისხლხორცა ახალი კოლექტიური შეგნება, რომ ძველი ოჯახის დარღვევის პროცესში ერთი აქტიური ძალად გამოდის.

თუ ჩვენ გვინდა ახალი, განახლებული ცხოვრების შესაფერისი მოქალაქენი, მას ჩვენ ვერ მოგვცემს ძველი ოჯახი; ასეთი მოქალაქეების აღზრდა შეუძლია თვით საზოგადოებას—სოციალური აღზრდის საშუალებით.

ა. ქ.

ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში

ამას წინად ერთიან პარტდღეს შესდგა პოლიტეხნიკუმის და მუშფაკის კომუჯრედების და ახკომკავშირის უჯრედების შეერთებული სამგლოვიარო კრება უპარტიო სტუდენტობასთან ერთად. სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კახიანმა, რომელმაც მოკლეთ დაასურათა ამხ. ამხ. ნარიმანოვის, ვლადიმიროვის და 22 მარტს ტრაგიკულად დაღუპულ მიასნიკოვის, ათარბეკოვის და მოგილევსკის უდიდესი ღვაწლი, რომელიც მათ მიუძღვით მუშათა კლასის და რევოლიუციის წინაშე.

სხდომამ დაღუპულ ამხანაგების ხსოვნის აღსანიშნავად გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

„დაუნდობელმა სტიქიამ გვაჩვენა, რომ იგი ჯერ კიდევ არ არის სრულიად დაპყრობილი ადამიანის მიერ. ჩვენ წითელი პოლიტეხნიკუმელები და მუშფაკელები მოწვეულნი აქ ტეხნიკის შესასწავლად, ენერგიულ და დაუღალავი მუშაობით შევქმნით პირობებს ბუნების სრულ დაპყრობისთვის, მისი უაზრო მოქმედების ალსაკვეთად ადამიანის წინააღმდეგ.

ეს —დაღუპულთა უმთავრეს ამოცანების შესრულებასთან ერთად: ყველაფერი რევოლიუციისთვის—ყველაფერი კომუნიზმის გამარჯვებისთვის — ნაციონალურ მშვიდობიანობისთვის—იქნება საუკეთესო ძეგლი მათი ხსოვნის აღსანიშნავად.

დეე, დაღუპულ ამხანაგების ხსოვნა იქნეს სამუდამოთ მშრომელთა მასების გულში, რომლებსაც მათ შესწირეს თავიანთი სიცოცხლე".

პარტკორი ა. გ.

შეცდომის გასწორება

გაზ. „კომუნისტი"-ს ა/წ. 3 აპრილის ნომერში მოთავსებულია ს. კ. პ. გორის სამაზრო კომიტეტის პლენუმის შესახებ კ. მ—ძეს კორესპონდენცია, რომელშიაც დაშვებულია შემდეგი შეცდომები: 1. „საანგარიშო პერიოდში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოხდა კიდევ სალიკვიდაციო კონფერენცია მემარჯვენე სოციალ-ფედერალისტებისა, რომლებიც ერთ დროს გორის მაზრაში მენშევიკებთან შედარებით უფრო მეტ როლს თამაშობდენ.

უნდა იყოს: „საანგარიშო პერიოდში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოხდა კიდევ სალიკვიდაციო კრება გორის რაიონის ყოფილ მემარჯვენე სოციალ-ფედერალისტებისა, რომლებიც ერთ დროს —თვით გორში მენშევიკებთან შედარებით უფრო მეტ როლს თამაშობდენ.

2. „მაზრის ორგანიზაციის შემადგენლობა ასეთია: 752 პარტიის წევრი და 338 კანდიდატი. აქედან მუშები 60 პროცენტია, ხოლო 40 პროცენტი გლეხები და სხვა".

უნდა იყოს—„მაზრის ორგანიზაციის შემადგენლობა ასეთია: 792 პარტიის წევრი და 338 კანდიდატი აქედან 35,6 პროცენტი მუშები, 52,5 პროცენტი კი გლეხები და სხვა."

ს. კ. პ. გორის სამაზრო კომიტეტის პ/მ. მდივანი ან. ხიმშიაშვილი.

ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს
საინფორმ. ცენტ.-განყოფილების
კომპლექტი

საქართველოს სახალხო მეურნეობა 1925 წ. თებერვალში

(მიმოხილვა საქართველოს საგეგმო კომისიის მასალების მიხედვით)

(დასასრული *)

8. ფინანსები და კრედიტი.

უცხო ვალიუტის კურსი უმნიშვნელო მერყეობას განიცდის,—საერთოდ იანვრის დონეზე რჩება. **საქართველოს ხაზინების შემოსავალი 1.257 ათ. მან. უდრის, იანვართან შედარებით 15,8 პროც.-ით შემცირდა; გასავალმა კი ამავე ხაზინების** (ა. კ.-ფ. ს. რ. ბიუჯეტით—საქართველოს ორგანოების შესანახათ) **1520,4 ათ. მან. მიაღწია, იმატა 19,4 პროც.-ით.**

სას.-სამ. გადასახადი პირველი მარტისათვის 2.789 ათ. მან. ანუ 48,8 პროც. რაოდენობით არის აკრეფილი.—აფხაზეთმა უკვე მთელი 100 პროც. გადიხადა (უმნიშვნელო გადაჭარბებით), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში და ოსეთში გაწერილი თანხის რვა მეათედი უკვე აიკრიფა. დასავლეთ საქართველოში და აჭარაში დაახლოვებით ოთხი მეათედია შეკრეფილი. საქართველოში მდებარე მთავარი ბანკების (ათი) სახელდახელო ანგარიშების ნაშთი 15,6 პროც.-ით მცირდება (1 მარტისათვის 1-ლ თებერვალთან შედარებით); სესხათ გაცემულმა თანხების ნაშთმა 4,6 პროც.-ით იმატა, ხოლო სალარომ და მათმა სახელდახელო ანგარიშებმა სხვა ბანკებში 25 პროც. მატება მოგვცეს. **იკლო კერძო კლიენტების დავალიანებამ (6,8 პროც.-ით), ხოლო ყველა დანარჩენების—იმატა** და უმთავრესად კი საკრედიტო დაწესებულებათა დავალიანება (34,1 პროც.). მეურნეობის დარგებს შორის, **იკლო დავალიანებამ ვაჭრობის 8,6 პროც.-ით** და რუსეთის მრეწველობის (ადგილობრივი ტრესტები) 29,6 პროც. ხოლო ყველა დანარჩენი დარგების დავალიანება მატულობს და უფრო მეტად—ტრანსპორტის (დავალიანება 28,2 ათ. მან. უდრის), საკრედიტო დაწესებულებათა და ადგილობრივ მრეწველობის.

9. კომუნალური მეურნეობა

თბილისის კომუნალურ მეურნეობის მთავარი დარგების (წყალსადენი, ტრამვაი, სასაკლაო და აბანოები) **შემოსავალი **) 290,7 ათ. მან. უდრის** (იკლო 20,2 პროც.-ით იანვართან შედარებით), წინააღმდეგ **გასავლის—324,6 ათ. მან.** (იმატა 0,3 პროც.). წ. წ. თებერვლის მიმართ, როგორც გასავალს, ისე შემოსავალს უმატნია, მაგრამ პირველს უფრო საგრძნობი, ვიდრე მეორეს. თებერვლის განმავლობაში კომუნალურ მეურნეობის თითქმის ყველა მაჩვენებლები შემცირებას იძლევიან, რაც უმთავრესად თებერვლის ნაკლები დღეებით უნდა აიხსნას იანვრის 31 დღის წინაშე.

10. შრომა.

თბილისის საშუამავლო ბირჟაში აღრიცხულ უმუშევართა რიცხვი პირველი მარტისათვის 6,981 სულს უდრის,—მათ შორის სამრეწველო დარგის უმუშევარი არის 1441 სული. პირველ თებერვალთან შედარებით პირველი მარტისათვის საერთო უმუშევართა რიცხვი 27,8 პროც.-ით გაიზარდა წინააღმდეგ მათი სამუშაოზე გაგზავნის შემცირების (15,6 პროც.-ით). თებერვლის სამუშაო ხელფასი ჩვენი მრეწველობის მთავარ დარგებში თითქმის იანვრის დონეზე რჩება, ხოლო საგრძნობ აღემატება წარსული წლის თებერვლის ხელფას.

თებერვლის კონიუნქტურასთან დაკავშირებული ღონისძიებანი

თუმცა ჩვენი მეურნეობის თებერვლის კონიუნქტურა (მდგომარეობა) იანვრის კონიუნქტურასთან შედარებით ბევრ დარგში უფრო ხელსაყრელია, მაგრამ წინა მიმოხილვების მიხედვით (დეკემბერი-იანვარი) გათვალისწინებული ზოგიერთი ღონისძიებანი დღემდის სხვადასხვა მიზეზებით სრულიათ არ არის განხორციელებული და ამიტომ თებერვლის კონიუნქტურასთან დაკავშირებით ნაწილობრივ მათი განმეორება მოგვიხდება.

ჩვენი მეურნეობის კონიუნქტურასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შორის—უმთავრესია:

1. შარშანდელთან შედარებით ისეც შემცირებული შემოდგომის ნათესების სივრცე, წარსული თვეების უამინდობის გამო, საგრძნობ დაზარალდა; საჭიროა გაზაფხულის ნათესების არეს გასაფართოებლად სათანადო კამპანიის ჩატარება და უფრო ხელმოკლე და გაჭირვებულ მაზრებისთვის პურეულის თესლეულით დახმარება.

2. შინაურ პირუტყვზე გავრცელებულ ავადმყოფობასთან ბრძოლის გასაძლიერებლად, რომელიც გაზაფხულიდან მოსალოდნელია უფრო გავრცელდეს, საჭიროა მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატისთვის დამატებითი თანხის გაცემა—ჭირთან საბრძოლველად საჭირო შრატის მეტი რაოდენობის დასამზადებლად, რადგან იგი მთელ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს.

3. უკანასკნელი თვეების განმავლობაში შემჩნეული ღვინის გასაღების კრიზისი თახდათან ღრმავდება, მეტადრე, რუსეთის ბაზარზე (30 გრადუსიანი სპირტეულის გაყიდვის შემოღების შემდეგ),—სადაც უმთავრესად საღდება ჩვენი საექსპორტო ღვინო. აუცილებელ საჭიროებას შეადგენს სასწრაფო გადასინჯვა—ღვინის აქციზის, რკ.-გზების ტარიფის ღვინოზე; და საჭირო კრედიტის გაცემის.

4. ჩვენი მოსახლეობის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწარმოების—ხილეულის ბაზარი მეტად საგრძნობ დეპრესიას განიცდის—ერთის მხრივ ყინვებისგან მიყენებულ ზარალის და მეორე მხრივ გასაღების კრიზისის გავლენით; საჭიროა მიღებულ იქნას ყოველგვარი ზომები სათანადო ორგანიზაციების მიერ შესყიდულ საექსპორტო ხილეულის დაუყოვნებლივ გასასაღებლად და მოსახლეობაში ჩარჩენილ ზედმეტი ხილეულის მარაგის შესასყიდათ.

5. უკანასკნელ თვეებში შემოღებულმა ახალმა საკრედიტო პოლიტიკამ საგრძნობი ზიანი მიაყენა ჩვენს შინაურ ვაჭრობას და საქონლის მწარმოებლისგან—მომხმარებლისადმი სწორი მიწოდება-ბრუნვას. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს საქართველოში ერსებულ საქონლის და ბანკის კრედიტის პირობების გადასინჯვა და მისი შეფარდება ჩვენი მეურნეობის პირობებთან.

6. საქართველოში, და, კერძოთ, თბილისში, უმუშევართა რიცხვი თვიდან-თვემდის მატულობს და შრომის ყოველთვიური მიწოდება საგრძნობ აღემატება სათანადო მოთხოვნილებას. უმუშევრობასთან ბრძოლის ძირითად საშუალებათა გარდა (ჩვენი საწარმოვო წამოწყებათა შექმნა-გაფართოების სახით), საჭიროა გაფართოება საზოგადოებრივ სამუშაოთა და საწარმოვო კოლექტივების სახით.

ლ. კარბელაშვილი.

---

*) იხ. „კომუნისტი" № 77.

**) შემოსავალ-გასავალი აღებულია წინასწარი ცნობებით.

წითელ ჯვარში

ახალი საექიმო პუნქტის გახსნა.

ოზურგეთის მაზრაში სოფელ ნაგომარში წითელმა ჯვარმა გახსნა ახალი საექიმო პუნქტი.

დახმარება ფშავ-ხევსურეთის გლეხობას.

წითელმა ჯვარმა ფშავ-ხევსურეთის გლეხობას აღმოუჩინა დახმარება 1000 ფუთის ტანისამოსის გადაგზავნით.

მალიარიით ავადმყოფთა რიცხვის ზრდა.

წითელი ჯვრის საექიმო რაზმები და ექსპედიციები ადგილებიდან იტყობინებიან, რომ გაზაფხულის დაწყების გამო მალიარიით სნეულთა რიცხვმა იმატა, თუმცაღა შარშანდელთან შედარებით მათი რიცხვი მაინც მცირეა, რაც აიხსნება თავის დროზე საჭირო ზომების მიღებით.

დახმარება შრომის სკოლებს და ბავშვთა სახლს.

სამტრედიის ბავშვთა სახლს და ლანჩხუთის შრომის სკოლების ამბულატორიუმს მიეცა საექიმო და სხვა დახმარებანი.

ამიერ-კავკასიის წითელი ჯვრების და წითელ მთვარეების შეთანხმება.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების წითელი ჯვრების და წითელი მთვარეების წარმომადგენლები შეთანხმდენ იმ დებულებების შესახებ, რომელიც გატარებული უნდა იქნეს მოსკოვის კონფერენციაზე.

საბჭოთა სასამართლო

განაჩენი შრომის არტელის მოღალატეების საქმეზე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ გუშინ დაამთავრა საქართველოს პასუხისმგებელ შრომის არტელის წევრების (მოღალატეების): ვლად. ელიოზიშვილის, ნიკ. ტყემალაძის, მ. ბროლიძის, ნიკ. გამცემლიძის, კალ. გამცემლიძის და ვას. ნაცვლიშვილის საქმის გარჩევა.

სასამართლომ ბრალდებები აღნიშნულ პირების მიმართ დამტკიცებულად სცნო და მიუსაჯა: 1) ბრალდებულ ვლად. ელიოზიშვილს 15 მ. და 116 მუხლის მეორე ნაწილის ძალით 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 119 მუხლის ძალით კიდევ 1 წელი, მაგრამ უკანასკნელი სასჯელი დაფარა უმაღლესმა სასჯელმა და წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით დარჩა 3 წელი და 5 თვე, 2) ნიკ. ტყემალაძეს—15 მ. და 116 მუხლის მეორე ნაწილის ძალით—7 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამნისტიების შეფარდების და წინასწარი დაპატიმრების ჩათვლის შემდეგ დარჩა მოსახდელად 2 წელი და 11 თვე, 3) მიხ. ბროლიძეს—იმავე მუხლების ძალით—3 წელი, წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით, დარჩა 2 წელი და 5 თვე, 4) ნიკ. გამცემლიძეს—იმავე მუხლების ძალით—6 წელი, წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით, დარჩა—5 წელი, 5 თვე და 20 დღე, 5) კალ. გამცემლიძეს—იმავე მუხლების ძალით—7 წელი; ამნისტიების ძალით სასჯელი გაუნახევრდა, დარჩა 3 წელი და 6 თვე, 6) ვას. ნაცვლიშვილს—116 მუხლის პირველი ნაწილის ძალით—2 წელი, ამნისტიების შეფარდების და წინასწარი დაპატიმრების ჩათვლის შემდეგ დარჩა წელი 5 თვე.

ქრონიკა

— **ჩვენი გზა.** გამოვიდა და იყიდება ჟურნ. „ჩვენი გზა" ს. კ. პ. ც. კ. მუშა და გლეხ ქალთა შორის მუშაობის განყოფილების ყოველთვიური ორგანო.

— **ქართულ ხელოვნებათმეცნიერო საზოგადოებაში.** დღეს, სამშაბათს, საღამ. 8 საათზე საქართველოს მუზეუმის სააუდიტორიო დარბაზში საზოგადოების მორიგ საჯარო სხდომაზე წაიკითხავენ მოხსენებას: 1. ივ. ყაუხჩიშვილი: „ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების გადმოცემისათვის ქართულში" და 2. პროფ. ა. შანიძე: „ბერძნული სიტყვის აკუზატიური ფორმით სესხების შემთხვევა სვანურში". შესვლა თავისუფალია.

— **ცამახმელის საშრატე სადგურისათვის** ხარების შესაძენათ თბ. ალმასკომმა გადასდო 15,000 მან.

— **მუშათა ბინების ალმშენებლობის ფონდის** გასაძლიერებლათ თბ. ალმასკომმა შემოიღო სადარაბო გადასახადიდან 5 პროც. ანარიცხი

— **რკინისგზელთა სასახლე.** ა კ. რკ. გზ. პროფკავშირმა შუამდგომლობა აღძრა თბ. ალმასკომის წინაშე პლეხანოვის პრ. № 138 მდებარე სახლის მასზე გადაცემის შესახებ რკინისგზელთა სასახლის მოსაწყობათ.

— **გადასახლების შესახებ** განმხილველ კომისიაში თბ. ალმასკომის დადგენილებით მოწვეული იქნებიან იუსტიციის სახ. კომისარიატის, პროფკავშირების და საბინაო კომიტეტის წარმომადგენელნი.

— **მაზრაში საქონლის ჭირთან** ბრძოლის გასაძლიერებლათ თბ. ალმასკომმა გადასდო 15,000 მან.

— **საბინაო ალმშენებლობის** დამხმარე კომიტეტს თბ. ალმასკომმა კომუნალურ ბანკში გაუხსნა სესხი 50,000 მ. რაოდენობით, საბინაო ალმშენებლობის გაძლიერების მიზნით.

— **პენსიების გაცემა** შრომისა და ომის ინვალიდებზე გრძელდება 11 აპრილამდე.

— **ახალ უმუშევართა დაზღვევა** დაიწყება 8 აპრილიდან.

— **დახმარება უმუშევრებს.** დღეს დამზღვევი კასა გასცემს მარტის თვის დახმარებას იმ უმუშევრებზე, რომლებმაც გამოუშვეს თავის ფულის მიღების დღე.

— **სადაზღვევო გადასახადი.** მარტში დამზღვევ კასაში შემოვიდა დასაზღვევ პროცენტებისაგან 244,538 მან., თებერვალთან შედარებით შემოვიდა 28,508 მ. 57 კ. მეტი.

— **დროებით შრომის უნარდაკარგულებს** დამზღვევ კასამ მარტში დახმარების სახით მისცა 61,789 მ. 15 კაპ.

— **ახალი ამბულატორია.** დაზღვეულების საექიმო დახმარების განყოფილება ახლო ხანში ხსნის მთელ რიგ ახალ ამბულატორიებსა და კბილის კაბინეტებისას.

— **ფიზიო-თერაპევტიულ** ინსტიტუტში რენტგენის კაბინეტთან ერთად ეწყობა ე. წ. ცანდერის ინსტიტუტი (მექანიკური ვარჯიშობა).

— **საქართველოში.** ჯანსახკომის ხარჯთ-აღრიცხვით მომავალი წლისათვის იქნება 26 სამოსამართლო—საექსპერტო კომისია.

შემთხვევები

— **დაჭრა.** 5 აპრილს საქულა ვერლანცმა დასჭრა დანით ივანე ბიბილური, რომელიც გადაგზავნილი იქნა საავადმყოფოში, ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია.

— **გვამის პოვნა.** 4 აპრილს შუადღის 12 საათზე ფარადლის ქ. № 4. მე-11 უბანი ფეხისადგილის გაწმენდის დროს მუშების მიერ ნაპოვნი იქნა ახალ დაბადებულ ბავშვის გვამი, ჩაგდებული ფეხსალაგში.

— **ქურდის შეპყრობა.** 4 აპრილს სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა დააპატიმრეს ივანე ჩეგლეცოვი, რომელსაც აღმოაჩნდა სხვადასხვა ნივთები, მოპარული ქალაქ განჯაში.

— 4 აპრილს შეპყრობილი იქნა სამსონ შახნაზაროვი, რომელიც შარშან მარტში გაექცა მილიციელს ციხეში წაყვანის დროს. შახნაზაროვს აღმოაჩნდა ბევრი მოპარული ნივთები.

— **ქურდობა.** 5 აპრილს გრიბოედოვის ქ. № 22 გაქურდული იქნა რუბენ თავაძის ბინა, საიდგანაც წაღებულია 200 მან. ნივთები.

— 5 აპრილს დღისით სომხის შეს. № 8 გაქურდული იქნა მირზა ასანხადეს ბინა. წაღებულია 100 მ. ნივთები.

— 5 აპრილს ღამით პლეხანოვის პრ. № 10 გაქურდული იქნა მირიან გვენაძის ბინა. წაღებულია სახლის ნივთები 66 მან.

ხელოვნება

კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის ოცდაათი წლის მოღვაწეობის იუბილე

1925 წელს შესრულდა ოცდაათი წელიწადი, რაც კომპოზიტორი ზაქარია პეტრეს ძე ფალიაშვილი ხელოვნების ასპარეზზე გამოვიდა.

თბილისის მუსიკალური სასწავლებლის მოწაფე, ზაქარია ფალიაშვილი თავისი ნიჭისა და ფართე შრომის მოყვარეობით, აღწევს ხელოვნების ისეთ სიმაღლეს, რომელზედაც ასვლა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

ღარიბ ოჯახში დაბადებული, გაჭირვებაში აღზრდილი, იგი თითქოს გრძნობს, რომ მოწოდებულია დიდი საქმისთვის, არავითარ დაბრკოლებას არ ეპუება და საკვირველის ენერგიით იკაფავს გზას თავის მიზნისაკენ.

თბილისის მუსიკალურ სასწავლებელს წარჩინებით ათავებს. ასევე წარჩინებით ათავებს მოსკოვის კონსერვატორიას, სადაც კომპოზიციის თეორიას გაივლის ცნობილ პროფესორ ს. ტანეევთან და ბრუნდება სამშობლოში ცოდნით აღჭურვილი და იმ სურვილით აღტყინებული, რომ ეს ცოდნა გადასცეს თავის ხალხს.

ზაქარია ფალიაშვილი შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას; ასწავლის სიმღერასა და მუსიკას ქართულ გიმნაზიაში და თეორიას მუსიკალურ სასწავლებელში (ეხლანდელ კონსერვატორიაში). ოცდაერთი წლის განმავლობაში იგი ერთი თანამდებობიდან მეორე თანამდებობაზე გადადის, მასწავლებლა სცვლის ინსპექტორი, ინსპექტორს რექტორი და ამასთანავე იგი იძენს პროფესორის სახელწოდებას.

ამავე დროს ზაქარია ფალიაშვილი თავდადებით მუშაობს ეროვნული მუსიკის აღორძინებისა და განვითარებისათვის. მოივლის მთლად საქართველოს—ქართლ-კახეთიდან დაწყებული თვალუწვდენ მთიან სვანეთამდე, ჰკრებს ხალხურ სიმღერებს და ევროპიულ სამუსიკო ფორმებში ასხამს ეროვნულ ნიჭშეუცვლელად. სამასამდე სიმღერა აქვს ამგვარად შეგროვილი და რამდენიმე კრებული უკვე გამოცემულია ფილარმონიული საზოგადოების მიერ.

და ეს უანგარო პედაგოგიური და კულტურული მუშაობა ხელს არ უშლის მას ნამდვილ თავისუფალ შემოქმედების წყაროსაც დაეწაფოს.

ეს დაწაფება გვირგვინდება მისი დიდი, ითხმოქმედებიანი ოპერით „აბესალომ და ეთერი"-თ, რომელიც ქართული კულტურის ისტორიაში ეპოქალურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

„აბესალომი"-თ ზაქარია ფალიაშვილმა დაამყარა ქართული მუსიკის სტილი და საფუძველი ჩაუყარა ქართულ ოპერას.

„აბესალომ"-ს მოჰყვა მეორე ოპერა „დაისი", რომელსაც ხვდა წილად იგივე გამარჯვება, რაც პირველ ოპერას.

ზაქარია ფალიაშვილი ჯერ კიდევ სავსეა შემოქმედებითი ენერგიით და როგორც ქართველი ხალხი, ისე ყველა სხვა, ვისთვისაც მუსიკა ინტერნაციონალური ენაა ხელოვნების სამთავროში,—უნდა მოელოდეს მისგან არა ერთსა და ორ ნაწარმოებს, რაც გაამდიდრებს როგორც ქართველი ერის, ისე ზოგად-კაცობრიულ კულტურას.

მისი მოღვაწეობის სათავედ ითვლება 1894 წელი, როდესაც იგი, ჯერ კიდევ მუსიკალური სასწავლებლის მოწაფე, ასრულებდა თავისი გუნდით რკინისგზის მუშათა ნაძალადევის თეატრში და ავჭალის სახალხო აუდიტორიაში მთელ რიგ კონცერტებს.

ასეთი ნაყოფიერი და მრავალმნიშვნელოვანი მოღვაწეობის აღსანიშნავად საქართველოს სახელოვნო საქმეთა მთავარ საბჭომ დაადგინა გამართოს ზაქარია ფალიაშვილის საპატიოდ მისი ოცდაათი წლის მოღვაწეობის იუბილე.

იუბილე დანიშნულია საქართველოს დედა-ქალაქ თბილისში, სახელმწიფო საოპერო თეატრში ამა წლის აპრილის 12-ს.

საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. განათლების სახალხო კომისარი—

დ. კანდელაკი.

თავმჯდომარის ამხანაგი, საქართველოს სახელოვნო საქმეთა საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე—

ი. გედევანიშვილი.

საიუბილეო კომისიის წევრები: 1. ქორიძე ს., 2. დუდუჩავა შ., 3. აბაშიძე ვასო, 4. ფალიაშვილი ივ., 5. სტოლერმანი, 6. პაპოვა ევგენია, 7. ქარცივაძე მ., 8. იაშვილი პ., 9. ტაბიძე ტ., 10. მაყაშვილი კ., 11. აბაშელი ს., 12. ბარჯანიშვილი კ., 13. წუწუნავა ა., 14. ახმეტელი ა., 15. სვიმონიშვილი ვ., 16. ევლახიშვილი ს., 17. ნუცუბიძე, 18. ზურაბიშვილი ი., 19. რობაქიძე გრ., 20. პოკროვსკი ს., 21. ერზეკიანი, 22. ბალანჩივაძე მ., 23. იპოლიტოვ-ივანოვი მ., 24. გრიშაშვილი ი. 25., კაპელნიცკი ე.

საიუბილეო კომიტეტის მისამართი: თბილისი, სახელმწიფო საოპერო თეატრი.

„წითელ ქუდა ქალი" ქუთაისში

10 აპრილს, ქუთაისის სამუსიკო ტექნიკუმი, სდგამს ქალაქის თეატრში, საბავშვო ოპერას: „წითელ ქუდა ქალს" მუსიკა კიუისა, თარგმანი ვ. გუნიასი.

ამგვარად ქუთაისში პირველად იმართება ბავშვებისათვის სამუსიკო ზეიმი, და უნდა ვიფიქროთ, რომ ბავშვები სათანადოთ დააფასებენ ამ დღესასწაულს. არ შეიძლება სიხარულით არ შევხვდეთ ტექნიკუმის ასეთ დაწყებულობას, რადგანაც ეს გზა სწორე ხაზია ბავშვების სულიერ მოთხოვნილებისაკენ.

გარდა ამ ოპერისა მზადდება აგრეთვე ახალგაზრდა კომპოზიტორის თუქთაქიშვილის ქართული საბავშვო ოპერა და მასთან ერთად კონცერტი საბავშვო პროგრამით.

დ. ა.

მუშათა ცხოვრება

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბაში.

დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ, როგორც იყო მოეწყო საწარმოვო სათათბირო კომისიის სხდომა, რომელიც აგერ რამდენიმე ხანია, რაც სალათას ძილს იყო მიცემული. ახლად გამოღვიძებულები ისე მოდიოდნენ, თითქოს გენუას კონფერენცია იყოს.

მოსკოვიდან ჩვენმა სტამბამ მიიღო ორი თვითამწყობი („ლინოტიპი") მანქანა და დასადგამი ადგილი კი არსად იყო და მოათავსეს შესავალ კარებში.

სტამბა იზრდება და არ იტევს ყველა იმას, რაც დღეს არის შიგ; მარა ვისაც მიმართეს ბინის შესახებ, ყველასაგან უარი მიიღეს და მუშები კი ამბობენ, რომ ერთ დღეს ეს შენობა თავზე დაგვენგრევაო.

ამ მანქანებისათვის ადგილის გამონახვის საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია და როგორც იყო მივიდა ერთ დასკვნამდე: ჯერ-ჯერობით კოტაოდენი გადაჯგუფების საშუალებით ამ მანქანებისთვის ბინა აღმოჩნდა და ამის გამო ბინის გასასინჯად უკვე მოვიდენ შრომის ინსპექტორი და ინჟინერი, რომლებმაც შესაძლებლად სცნეს იქ მანქანების ძირთასხება.

ეხლა ჯერი ადმინისტრაციაზეა! რაც ადრე მოახდენს გადაჯგუფებას, მით უფრო ადრე ამუშავდებიან მანქანები.

მუშკორი —ე.

ასეთი საქმიანობა მოსაწონია.

ზედმეტი იქნებოდა იმაზე ლაპარაკი, თუ როგორ ჩამორჩენილია ჩვენი დიასახლისი-ქალები პოლიტიკურ ცოდნას. ქალთა განყოფილებამ ამას უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს. მუშა-ქალები ფაბრიკა-ქარხნებში მუშებთან ერთად ყოველდღიურ მუშაობაში ამ ცოდნას იძენენ.

მეოთხე რაიონის ქალთა განყოფილებამ, როგორც სჩანს, დიასახლისთა შორის უკვე დაიწყო მუშაობა და ამ მიზნით მან უკვე მოახდინა სოლოლაკის მბეჭდავთა კავშირის მუშათა სახლებში მცხოვრებ დიასახლის-ქალთა კრება, რომელიც მოეწყო 30 მარტს, განოვის ქ., № 19, ამხ. თეთრაშვილის ბინაზე. კრებაზე ქალთა მოძრაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მენთეშაშვილმა, რითაც ჩვენი დიასახლისები დიდი კმაყოფილი დარჩნენ.

მუშები ძალიან მადლობელი იქნებიან ქალთა განყოფილების, თუ ასეთ მოხსენებებს სისტემატიურად გააკეთებენ ჩვენს დიასახლისთა შორის.

მუშკორი **მანი—ლადო.**

თუ დაგვპირდით, შეგვისრულეთ!..

(ც. ტ. მ.-ოხ. სამმართველოს გამგეს საყურადღებოდ).

უკვე გავიარეთ სუსხიანი ზამთარი და ჩვენ, საბჭოს დარაჯებს, დღემდის არ გვინახავს სპეცტანისამოსი. დაპირება იყო, შესრულება კი არა. მრავალი ჩვენი ამხანაგი გახდა ავად სიცივის გამო და რაც სპეცტანისამოსში გაიხარჯებოდა სამი იმდენი დახარჯულია ამ სპეცტანისამოსის უქონლობის გამო—წამლობაში და ავადმყოფის მაგივრად სხვა კაცის დაქირავებაში. დროა ჩვენც მოგვხედოთ და მოგვცეთ სპეცტანისამოსი. ჩვენი ფიზიკური ჯანმრთელობა უნდა შეინახოთ.

დარაჯი.

პატიოსან მუშას არ შეშვენის

რამდენიმე დღის წინეთ ღამის 12 საათზე შევედი სავახშმოდ წითელ სასადილო № 4-ში. ცოტა ხნის შემდეგ სასადილოს მეორე ოთახში მოისმა მოსამსახურე ქალის ხმამაღლივ ტირილი; მივმართე „ბუფეტჩიკს" და გამოირკვა, რომ ვიღაც ახალგაზრდებს ანგარიში არ გაესწორებინათ და ისე გაპარულიყვნენ და „გვირაოდ" გაეშვათ მეეტლე, რომელიც თურმე მათთან ვახშმობდა. ბოლოს შემთხვევით იქ მყოფ ამხანაგების საშუალებით გამოირკვა, რომ იმ მეეტლესთან ერთად იყო მბეჭდავი **ზარადოვიჩი**, რომელსაც მეეტლე სახეზე კარგად იცნობს.

იმათი დანახარჯი დარჩა გადაუხდელი და სასადილოების წესით ედება გადასახადათ იმ ქალს, რომელიც ემსახურებოდა იმათ სუფრას.

ეხლა ჩვენ გვაინტერესებს, თუ რას იტყვის მბეჭდავთა კავშირი თავის წევრის ასეთ ქცევისთვის.

მუშკორი **—დო.**

მუშები ამოიყვანეთ ბინძურ სარდაფებიდან!..

(სენაკის ალმასკომის საყურადღებოდ).

ქ. სენაკში არის ტრანსპორტელთა კავშირი. კავშირს ჰყავს 140 წევრი. მათში 8 წევრი სომეხი და ბერძენია. ესენი წმინდა პროლეტარული ელემენტებია. მათ არ გააჩნიათ არაფერი, გარდა სამუშაო ხელისა.

სამწუხაროდ, ეს მუშები ჩაყრილნი არიან ქ. სენაკის ერთ-ერთ უვარგის სახლის სარდაფში ბესო ხოჭოლავას სახლში.

ბინძური სარდაფის ნახევრად დანგრეულ სახლის ქვეშ ანტიჰიგიენურ პირობებში იტანჯებიან ეს მუშები. ამ ბინძურ სარდაფში თვეში იხდიან 5 მანეთს. რა არის ეს? თუ არა აშკარად აგდება მუშების, თუ არა გაყვლეფა მათი!..

დასაშვებია ეს საბჭოთა ხელისუფლების დროს?.. არა და არა!..

კომუნალურ განყოფილებავ, მიეცი მათ კარგი ბინა!

ინფ. **ზანი.**

წარმოკავშირის გამოფენა!

მუშათა სასახლეში მოწყობილია წარმოკავშირის გამოფენა.

ამ გამოფენით აშკარად სჩანს წარმოკავშირის ნაყოფიერი მოქმედება თავის დარგში.

გამოფენაზე წარმოდგენილია რამოდენიმე განყოფილება სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა დარგისა. მაგალითად მატყლი სხვადასხვა ხარისხის, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარის თამბაქო, აგრეთვე ცოცხალი მცენარეები, რომელნიც დიდ ინტერესს იწვევენ.

მეორე განყოფილებაში წარმოდგენილია სასოფლო-მეურნეობისათვის საჭირო იარაღები, როგორიცაა: გუთანი, კარაქის გადასაზელი და უზარმაზარი მანქანა ყანის მოსაგროვებელი.

ჩვენ, მუშებს, მეტად გვახარებს ის გარემოება, რომ მიწის მუშაც თანდათან ებმება ჩვენ მეურნეობის აღორძინების საქმეში. ამის დამამტკიცებელია წარმოკავშირის გამოფენა.

მუშკორი მხილებელი.

რაშია საქმე?

(ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს და ქალ. მილიციის უფროსის საყურადღებოდ)

საბჭოთა ყრილობამ ფიზიკური განვითარება მთელი თავისი ძალღონით გააძლიერა და გააკეთებია მას დიდი საქმე. გააძლიერა და ხელს უწყობს უფრო იმისთვის, რომ ეს დარგი აუცილებელი საჭიროა მშრომელ მასსისთვის. ფიზიკური კულტურა უნდა გავრცელდეს ყველგან, მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენს მუშათა უბანში, დიდუბეში, ამ ფიზკულტურას აქვს დაბრკოლება ამავე უბნის მილიციონერების მხრივ. ა/წ. 29 მარტს ბათომის ქ. მდებარე მინდორზე თამაშობდენ ბურთს. დაინახეს თუ არა მილიციონერებმა—მისცვივდნენ და წაართვეს ჯერ ერთს ჯგუფს ბურთი და შემდეგ მეორე ჯგუფს.

ამხ. წულუკიძევ, საჭიროა ვიცოდეთ, თქვენი პასუხი ამის შესახებ.

ფიზკულტურ. **ა. გურასაშვილი.**

სამკითხველოა თუ ბაზარი

(სახ. უნივ. სტ. ალმასბიუროს საყურადღებოდ)

სახ. უნივერსიტეტის სამკითხველოში საშინელი უწესრიგობაა. არ შეიძლება ადამიანმა რაიმე ყურადღებით და დამშვიდებით წაიკითხოს, რადგანაც აქ სუფევს წარმოუდგენელი ხმაურობა და ლაზღანდარობა. სამკითხველოს გამგე ამას გულ გრილად უცქერის. აღმასბიუროვ, შენ მაინც მიაქციე ყურადღება.

ინფ. **კომეტა.**

გაგვინათეთ ქუჩები.

(ქალ. ალმასკომის საყურადღებოდ)

1-ლ უბანში ახალ გაყვანილ კობის ქუჩაზე გაბაევის სახლიდან ვიდრე გუნიბის ქუჩამდი, არც ერთი ელექტრონის ბოძი და არც ლამპა არ არის, რის გამო აქ საშინლად ბნელა. ეს უბანი მუშათა უბანია.

გვიხსენით ამ სიბნელისაგან და მოგვეცით სინათლე! საჭიროა სულ 3 ლამპა.

მუშის შვილი გოგებაშვილი.

მოისთხოვეთ პასუხი

(მთავარ მილიციის საყურადღებოდ)

მუხრანის ქუჩაზე სახ. № 3-ის ქვედა სართულში მოთავსებულია ღვინის სარდაფი ვინმე **ვეურქოვის და სააკოვის** [illegible] მეტად გათამამებულნი არიან. ისინი უქმე დღეებში უკანა ეზოს კარებიდან თავისუფლად ვაჭრობენ. ამ თვეზედ სპეკულიანტებმა რამოდენიმე დღის წინად განიზრახეს სასადილოს მოწყობა და ახალი სამზარეულოს მოსაწყობად კი, რომელსაც საკვამლე მილი სჭირდებოდა, შეუცვივდნენ მეორე სართულში მდგომ ქვრივ ავადმყოფ ქალს და მოსთხოვეს, რომ მათი სამზარეულოსათვის მთელი კედელი გაენგრიათ საკვამლე მილის გასაკეთებლად. შეუვარდნენ ავადმყოფ ქალს და (ვითომდა მილის გაკეთებისათვის ნება მიღებული ჰქონდათ) დაანგრიეს მთელი კედელი, მთელი ავეჯი მთლად მოუთხვარეს, და ისედაც უპატრონო ავადმყოფი საგონებელში ჩააგდეს, კედელი კი დანგრეული მიატოვეს. უნდა აილაგმონ ეს ბოროტი სპეკულიანტები.

მუშკორი **ტაბაკინელი.**

რკინისგზელთა პროფკავშირებში

— **საზარათო სისტემა.** ა.-კ. რკ. გზ. პროფკავშირის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ამხ. გერსამიას მიერ წარმოდგენილი საქმის წარმოების ახალი საზარათო სისტემის პროექტი, რომელიც საგრძნობლად აუმჯობესებს საქმის წარმოებას პროფკავშირებში.

— **ზოლების გათანაბრება.** ა.-კ. რკ. გზ. პროფკავშირის სატარიფო განყოფილება შეუდგა საუბნო პროფკავშირების სატარიფო ზოლების გათანაბრებას.

— **საქიმო ფონდისათვის.** ა.-კ. რკ. გზის ჯანმრთელობის სამმართველომ მიიღო დასტური ფონდ—„გ"-სათვის 4 ნახევარ პროცენტის ანარიცხის გაცემისა.

— **კალენდარული წესი.** ა.-კ. რკ. გზ. პროფკავშირი მოაწყობს კალენდარული წესით დარგების უფროსების მოხსენებებს.

— **დახმარება „წითელ ჯვარს".** ა.-კ. რკ. გზ. პროფკავშირმა ერთდროულ დახმარებათ საქართვ. წითელი ჯვრის საზოგადოებას გადასცა 50 მანეთი.

— **კინოს ფონდი** ყველა რკ. გზ. საუბ. პროფკავშირებთან ედო კინოს ფონდი.

ინფ. **ა—ძე.**

მუშათა ქრონიკა

— **სად. სალიეთა მუშა-მოსამსახურეებში** გაიხსნა სკოლა წერა კითხვის უცოდინართათვის და მცირე მცოდნეთათვის.

— **მუშკოოპის ცენტრალური მაღაზიამ** მუშაობა დაიწყო პირველი აპრილიდან. აქვს სხვადასხვა ნაწარმოების განყოფილებები, ყათლეულობის, საკალმახეო, ჰურჭლეულობის და სხვ. მუშაობს 20-დე მუშა-მოსამსახურე.

— **სასარგებლო ექსკურსია.** ქართულ მუშფაკის მსმენელების ერთმა ჯგუფმა მოაწყო ექსკურსია და დაათვალიერეს ტფილისში არსებული გეოფიზიკური ობსერვატორია.

მუშკორი მხილებელი.

მოზჟუხინის გასტროლები

„ფაუსტი"

შესასრულებელი პარტიების მხატვრულად დამუშავება მოზჟუხინის შესრულების დამახასიათებელი თვისება იყო ყოველთვის. მეფისტოფელის პარტიაში მოზჟუხინის შესრულება ისეთ დეტალებამდია დასული, რომ მისგან ბევრი რამის შესწავლა შეიძლება არა მარტო საოპერო, არამედ დრამატიულ მსახიობებსაც.

მოზჟუხინის მეფისტოფელი არ ჰგავს სხვა მომღერლების მეფისტოფელს—მისი გაგებით მეფისტოფელი არის განსახიერება ბოროტების მისი მრავალფეროვანი სახით. მეფისტოფელის ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა უსაზღვრო ბოროტება, ყველაფრის უარყოფა და ამასთანავე პანიკური შიში ნათელი დასაწყისის წინაშე, რომლის გამოჩენის დროს ის სრულიად უძლურია. დანარჩენი დამახასიათებელი თვისებებია: სარკაზმი, გაიძვერობა და მოქნილობა.

და ასეთია სწორედ მეფისტოფელი მოზჟუხინის გადმოცემაში. პირველი გამოჩენისთანავე მსახიობმა დაიპყრო აუდიტორია ახალი შტრიხებით. რა კარგია, მაგალითად, სცენიური ეფექტი, როდესაც მეფისტოფელი აშკარავებს რა თავის დემონიურობას, თითქოს იზრდება ადამიანზე უფრო მაღლა, შემდეგ ლამაზად იყო შესრულებული სიმღერა „о золотом тельце". რამდენი უსუსურობა და უძლურება მეფისტოფელში ნათელი დასაწყისის სიმბოლოების გამოჩენის დროს—და რამდენი თავხედობა, როდესაც ნათელი დასაწყისის მოქმედება სწყდება.

მსახიობს აქ მდიდარი და მრავალფეროვანი მიმიკა აქვს. მაგრამ კულმინაციურ წერტილს მოზჟუხინმა მიაღწია სცენაში მარგარიტასთან სობოროს წინ, როდესაც მეფისტოფელი დასცინის თავის მსხვერპლს—მარგარიტას.

ლამაზი და მრავალფეროვანია სცენა ბაღში (მართასთან და ფაუსტთან) და სერენადა.

ვოკალური მხარის შესრულება თითქოს ავსებს სცენიურ გადმოცემას. დიახ! მოზჟუხინი დიდი არტისტია. ეს ეჭვს გარეშეა.

მეტად მუსიკალურად მღერის ფაუსტის პარტიას კულაგინი.

ვალენტინის ლირიული პარტია ნაკლებ უდგება ქარცივაძის მძლავრ დრამატიულ ბარიტონს; ვოკალურის მხრივ პარტია უფრო მეტ დამუშავებას მოითხოვს.

ლამაზად და მუსიკალურად მღერის ზიბელის პარტიას ვოლხანსკაია. დანარჩენი შემსრულებლები ჩვეულებრივ.

ლამაზად არის დადგმული სერგეევის მიერ ბალეტი „ვალპურგიის ღამე".

მუსიკოსი

ს. ი. მიგაის უკანასკნელი გასტროლი

„რიგოლეტო".

გამოსათხოვარ წარმოდგენაში ნიჭიერი მსახიობი გამოვიდა რიგოლეტოს პარტიაში. ეს ცენტრალური და მეტად საპასუხისმგებლო პარტიაა ოპერაში, რადგანაც აქ საჭიროა მოხდენილი სიმღერა და რიგოლეტოს სულიერი დრამის გადმოცემა.

მიგაი სწორედ ისე მიუდგა ამ პარტიას და რიგოლეტოს მხატვრული სახე მოგვცა. შესრულებაში ბევრია სილამაზე, გრძნობა და მრავალფეროვანი მიმიკა.

მსახიობის შესრულების განსაკუთრებული ღირსებულება იმშია, რომ ზედმიწევნით დამუშავებულ სცენიურ გადმოცემასთან ერთად მიგაის საუცხოვოთ მიყავს პარტიის ვოკალური მხარე. ის ზედმიწევნით სრულიად და მოხდენილათ ხმარობს თავის იშვიათი სილამაზის ხმას.

აი როგორ მთელი პირველი სცენა ჰერცოგის სასახლეში, შემდეგ სცენა, როდესაც რიგოლეტო გრძნობს მონტერონეს წყევლის ფატალურ მნიშვნელობას მისთვის, რეალურია, როგორც თამაშის, ისე სიმღერის მხრივ სცენა ჯილდასთან.

მკრთალი იყო ფინალის სცენა, როდესაც რიგოლეტო გადაწყვიტავს შური იძიოს ჰერცოგზე. აქ საჭიროა მეტი ხმოვანება და დრამატიზმი სიმღერაში. უკანასკნელი სცენა ქალიშვილის გვამთან პირდაპირ ყრუანტელს გვრის მაყურებელს თავისი რეალიზმით და გულწრფელობით.

ჯილდას პარტია ერთერთი საუკეთესო პარტიაა ნიჭიერ პოპოვას ფართო რეპერტუარში. პარტიის ვოკალური გადმოცემა შეუდარებელია. სცენიური მხარის შესრულების დამახასიათებელი თვისებაა გულწრფელობა, რომელიც წითელი ზოლივით არის გატარებული მთელს პარტიაში.

მუსიკალურათ და რეალურ ტონებში მიჰყავს კულაგინის ჰერცოგის პარტია, სცენიურ შესრულებაში სჩანს ინდივიდუალური, ახალი მომენტები.

როგორც ყოველთვის, ყაჩაღ სპარაფუჩილეს რეალურ სახეს იძლევა ისეცკი.

მუსიკალურათ მღერის და კარგათ თამაშობს ვოლხანსკაია-მადალენა.

სტოლერმანმა შესძლო საორკესტრო პარტიის ყველა ლამაზი მელოდიების გამოყოფა.

პ. ბ.

— **მოზჟუხინის გასტროლი.** დღეს, ოპერის თეატრში გაიმართება მოზჟუხინის გასტროლი, წარმოდგენილი იქნება „წყალის ასული".

— **ახალ თეატრში** დღეს გაიმართება ამავე თეატრის მსახიობის ეკატერინა ჩიქოვანის ბენეფისი.

— **ცირკში.** წარმოდგენა ახალი პროგრამით. ფრანგული ჭიდაობა. მმ. ტანტების გამოსვლა.

იურიდიული რჩევა-დახმარება

როგორ აღვადგინო მიწაზე ჩემი უფლებები

კითხვა:

ვარ თბილისის დეპოს და სავაგონო პარკის შავი მუშა, პროფკავშირის წევრი; ჯამაგირს ვიღებ მეოთხე თანრიგით 18 მანეთი და 45 კაპ. მყავს ცოლი და 4 შვილი, ყველა მოსწავლეებია. ვარ წითელ ქალაქის რაიონის სოფელ ნოსტის (გორის მაზრა) მცხოვრები, ამ სოფელში მაქვს დაახლოვებით დღენახევრის მიწა-მამული და ერთი ძველი სახლი. ამ მამულს ვამუშავებ ზაფხულობით მხოლოდ და მხოლოდ ჩემი საკუთარი მარჯვენით.

ამ ბოლო ხანებში ჩვენს სოფელს გადაუწყვეტია ჩემთვის ამ მამულის ჩამორთმევა.

გთხოვთ, განმიმარტოთ, სოფელს აქვს თუ არა უფლება ჩამომართვას ეს მამული და თუ არ აქვს, ვის უნდა მივმართო ჩემი უფლებების აღსადგენად.

მუშა **გიორგი ბესარიონის ძე გაბოძე.**

პასუხი

თანახმად მიწის კოდექსის მუხ. მუხ. 67-ისა თქვენ, როგორც ფიზიკური შრომის მუშა, რომელიც უშუალოდ წარმოებით შრომას ქალაქად სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებაში, დაგეკუთვნებათ საკუთარი შრომით დასამუშავებლად ადგილობრივ სასოფლო საბჭოს თანხმობით მიწის ნახევარი ნორმა; პირველ კატეგ. მიწის—არა ნაკლებ ორი დესეტინის; მეორე კატეგ. მიწის—არა ნაკლებ სამი დესეტინისა და სხ. (იხ. მუხ. 64 —იქვე).

თუ კი თქვენ მიწას ამუშავებთ თქვენი საკუთარი შრომით მიწის კოდექსში გათვალისწინებული წესით „სოფელს" არა აქვს არავითარი უფლება ჩამოგართვას მიწა. თუ კი ვინმე თქვენი მეურნეობის საქმეში უკანონოდ ჩაერევა, თქვენ გაქვთ უფლება თქვენი დარღვეული უფლების აღსადგენად მიმართოთ ადგილობრივ სახალხო სასამართლოს. (ხ. იქვე მუხ. 24)

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

ა/წ. 1-ლ ნოემბერს დავიწყე სამსახური ა/კ. ფინსახკომის საქართველოში რწმუნებულის სამმართველოში. რადგანაც ბინა არ მქონდა ქალაქის ალმასკომის მიერ იჯარით გაცემულ სახლში დავდექი დროებით. აღნიშნულ მოიჯარადრემ მომცა ერთი ოთახი ბალკონში შუშაბანდიანი, სადაც არც რემონტქმნილია და არც ვარგა საცხოვრებლათ, მაგრამ ქუჩაში ხომ შეუძლებელი იყო ცხოვრება. სარჩენი მყავს ექვსი სული; ვარ ღარიბი, პროფკავშირის წევრი და დაზღვეული. ჯამაგირს ვღებულობ 75 მანეთს; სხვა არავითარი შემოსავალი არა მაქვს. ბალკონი, სადაც ვცხოვრობ არის 12 კვ. არშინი და ვიხდი 15 მანეთს ე. ი. არშინი 1—25 კაპ. თბილისის კომიტეტის შუამდგომლობა თუმცა წარვადგინე უბნის გამგესთან 6-მარტს ა/წ., მაგრამ ჯერ შედეგი არაფერია.

როგორ მოვიქცე? ამ უვარგის ბინას არშინში რამდენ ხანს ვაძლიო 1 მან. 25 კაპ. უწყლოთ, უსინათლოდ და სხვა? ამ ხუთ თვეში მივეცი 25 მანეთი, კიდევ მთხოვს 50 მანეთს, გთხოვთ განგვიმარტოთ, რამდენი უნდა ვიხადო ან ვის უნდა მივმართო, რომ ამ უკიდურეს მდგომარეობიდან თავი დავახწიო.

საწევრო წიგნაკი № 1555.

დაზღვეული წიგნი № 43534.

პასუხი

ა. წ. პირველ მარტიდან ბინის ქირად თვიურად იხდით ოთხმოცდათექვსმეტ კაპეიკს, თუ სახლის მოიჯარადრე ამ ქირას არ მიიღებს, აღნიშნული თანხა შეიტანეთ თბილ. ხაზინაში იუსტიციის სახკომის დეპოზიტში, რის შემდეგ ბინის ქირა გადახდილად ჩაგეთვლებათ.

პროვინციაში

სოფ. შაშიანი

კარგა ხანია, რაც გამოიღვიძა ჩვენმა სოფელმა, წ. რა-კითხვის ულოდინარი თითქმ ჩამოსათვლელია დღეს. შვიდწლედ სკოლისათვის შენობის კეთებას შეუდგენ მესამე წელია, თუმცა ჯერ-ჯერობით ერთი ოთახიც არ არის დამთავრებული. ფოსტის განყოფილებაც უნდა ამ მოკლე ხანში გაიხსნას, სამკითხველოც გახსნილია, თუმცა ბევრი წიგნი კიდევ ეპიროება მას. საკრედიტო ამხანაგობის გახსნასაც აპირებს და წყაროს გამოყვანასაც შეუდგა [illegible] თაოსნობის დახმარებით. თითქმის ყველა ჩამოთვლილ დარგებში ჩვენი [illegible] ამიერ-კავ. ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატი მხურვალე დახმარებას გვიწევს.

ლიკსკოლა ერთი შარშან და ერთი წელს სამაგალითოდ ჰქონდა მოწყობილი. განსვენებულ გ. ა. ათარბეკოვს, როდესაც კი მიუმართავთ სამშენ სოფლის კულტურულ და ხმარებისათვის, თავის ამხანაგებთან მოლაპარაკებით უყურადღებოთ არ დაუტოვებია არც ერთი თხოვნა.

დღეს შ. შაშიანის საზოგადოება ღრმად დამწუხრებული რევოლიუციის ბელადის დაკარგვით თანაგრძნობას უცხადებს თავის [illegible], ღრმად დარწმუნებული, რომ დიადი დაწყებული საქმეები შესრულებულნი იქნებიან.

კახიანთხეველი.

მცხეთის კლუბის მდგომარეობა

გაზ. „კომუნისტი“-ს № 73 მოთავსებულია ვინმე „წყნარი“-ს კორესპონდენცია, რომელიც ეხება მცხეთის კლუბის მდგომარეობას. პირველად ყოვლისა მოქ. „წყნარს“ უნდა ვაუწყოთ, რომ მცხეთაში კლუბი აღარ არსებობს—არსებობს მხოლოდ თეატრი. მოქ. წყნარს კი ეს არ სცოდნია. ის სწერს: „კლუბში უწესრიგობა სუფევს, ყიდიან ბილეთებს და როდესაც მოვიდენ სტუმრები, მათი ადგილი დაკავებული აქვთ ღვინისაგან გალეშილ პირებს. ასეთი შემთხვევა იყო 8 მარტს“.

წყნარს შეცდომაში შეყავს მკითხველი საზოგადოება. მართალია 8 მარტს გამართულ წარმოდგენაზე იყო უწესრიგობა, მაგრამ ამის მიზეზი იყო ის გარემოება, რომ წარმოდგენა იყო უფასო, რის გამო აურაცხელი ხალხი მოაწყდა თეატრს და პირველ ხანებში ჰქონდა ადგილი უწესრიგობას, მაგრამ შემდეგ გამგეობისა და სხვა პასუხისმგებელ ამხანაგების ენერგიული ზომებით წესრიგი აღდგენილ იქნა.

შემდეგ: ის სწერს: „სად არის ადგილობრივ დრამატიული წრე? რატომ არ სდგამენ წარმოდგენებს? ნუ თუ საკმარისია მცხეთის საზოგადოებისათვის მარტოკა უფასო სალაპარაკოების გამართვა გ. ნ—ლის ხელმძღვანელობით, რომელიც წარმოადგენს მშრალ ცეკ ათამაშს“.

მოქ. წყნარო! მცხეთის დრამატიული წრე მცხეთაშია და შეძლების დაგვარად (თუ არ ვცდები დღეში ერთხელ) სდგამს წარმოდგენას. ამ ბოლო დროს, მართალია, დრამა იშვიათად სდგამს წარმოდგენებს იმ გამო, რომ წრის ხელმძღვანელს მ. ია. გარსევანიშვილს (სკოლის გამგეა) უხდებოდა ხშირად მისვლა-მოსვლა თბილისში მაზ. ა. ტრაპაიძის საქმეების გამო, რომელიც „ბოროტი ენების“ მიერ ბრალდებულია თავისი მოწყობილ ქალებთან არშიყობაში, რის გამო, როგორც გამოირკვა, ის უკვე მოხსნილია მცხეთიდან და აწი ამხ. გარსევანიშვილს ექნება თავისუფალი დრო და შეუდგება სათანადო მუშაობას.

ქვევით: მოქ. წყნარი გვამცნევს შემდეგ დარიგებას: თურმე საჭიროა „შენობის შეკეთება, დრამატიული წრის გამგეობის ანგარიშის წარმოდგენა, სადაც ჯერ არს, სცენის მოყვარეთა ენერგიული მუშაობა“ და სხვ. მოქ. წყნარს მადლობას უძღვნით დარიგებისათვის, მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ ძალიან კარგად დაიგვიანა. 1) მცხეთის საბჭომ უკვე გადადგა ნაბიჯები თეატრის შესაკეთებლად (იხ. საბჭოს სხდომის ოქმი № 2 ა. წ. 25 მარტი); 2) დრამატიული წრის გამგეობამაც ა. წ. 25 მარტს საბჭოს წარუდგინა თავისი მუშაობის ვრცელი ანგარიში და მომავალშიაც წარუდგენს; 3) დრამატიული წრე მომავალში უფრო ენერგიულად იმუშავებს თუ „ზოგიერთ ბ...“ ხელი არ შეუშალეს.

გ. ნადარეიშვილი.

ტელეფონის საკითხი ჩვენში

(წერილი სენაკიდან)

მაზრასთან თემის ან სოფლის დაახლოების, მტკიცე და ჩქარი კავშირის დასაკავშირებლად საუკეთესო საშუალებაა ტელეფონი, რომელიც თანდათან ფართოდ ვრცელდება ჩვენს მაზრებში და თემებში.

სამწუხაროდ 1924/25 წლის განმავლობაში ტელეფონის საკითხმა ჩვენს მაზრაში მწვავე ხასიათი მიიღო და ლამის არის ჩვენი მაზრა გასწყვიტოს ტელეფონთა ქსელს და მოიშოროს ის თავიდან.

საქმე იმაში გახლავთ, რომ როგორც მაზრის, ისე თემის სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მძიმე ტვირთად აწვება ტელეფონით სარგებლობა.

სამაზრო ალმასკომს, როდესაც ის ელაპარაკება რომელიმე თემს ან თემი მაზრის ალმასკომს, ეშინია დალაპარაკების, რადგანაც ვაი თუ გაგრძელდა ლაპარაკი და ფოსტამ დიდი დაგვაწეროს. ყოველ დალაპარაკებისთვის ფულია საჭირო და ფულის გადასახდელად კი ყოველ წუთს ითვლიან.

იყო შემთხვევა: გასაჭირია სოფელში. ეძახიან მაზრის ალმასკომს. ფოსტა უცხადებს: შემოიტანე ფული და მერე დალაპარაკე... ფული კი არ არის... გაჭირება არის... ტელეფონით ვერ დალაპარაკები და 40 ვერსით დაშორებულ თემიდან მაზრაში ამბის შესატყობათ ფეხით უხდა მოხვიდე!..

ისეთი დიდი გამოვიდა ტელეფონის ეს ხარჯები, რომ მაზრის ორგანოები ვერ აუვიდნენ, ფული ვერ შეიტანეს და ფოსტამ ხელი მიყო მოხსნას. სამაზრო პროფბიურომ უკვე მოხსნა ტელეფონი. ასე ხდება სხვაგანაც.

ფრიად სამწუხარო მოვლენაა ეს!..

ხალხსაც გული აუცრუვდა ასეთ ტელეფონებზე და მგონი თუ ეხლავე ვერ გადაწყვეტეთ ტელეფონების სარგებლობის საკითხი ამას ვერ აიტანს მაზრა.

როგორ მოვიქცეთ? ჩვენი მაზრა დეფიციტიანი მაზრაა. მას ესაჭიროება არა ხარჯებით დატვირთვა, არამედ ხელის შეწყობა. ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო სამმართველომ უნდა დააწესოს სამაზრო ორგანოებისათვის თვიური გადასახადი ტელეფონით სარგებლობისა (და არა წუთობით) იმ ყურადღებით, რომ როგორც სამაზრო, ისე სათემო ორგანიზაციებს შეეძლოთ დაელაპარაკონ ერთმანეთს თავისუფლად, ყოველგვარი წუთიერი ანგარიშების გარეშე.

ეს საკითხი დაისვა თვით სამაზრო საბჭოთა ყრილობაზე. ფოსტელკომმა ამაზე საჩქაროდ უნდა გვიპასუხოს.

ბ. ურანეიშვილი.

თელავის პროფკავშირთა სახლის დაწვის განზრახვა

პროფესიონალური მოძრაობა რაც დრო გადის, იმდენი ძლიერდება მკვიდრ ნიადაგზე დგება, როგორც თელავში, ისე მაზრაში. ამას ხელს უწყობს საკუთარი კერა თელავში, რომელიც მდებარეობს ქალაქის შუა ადგილას. მართალია თვით შენობას შეკეთება უნდა, მაგრამ იგი რომ ცოტა შეკეთდეს, ერთ საუკეთესო შენობად ჩაითვლება. ეს ვეებერთელა შენობა შეიცავს მაღლა სართულში 12 ოთახს და დიდ დარბაზს, სადაც მოწყობილია თეატრი, ხოლო დაბლა მაღაზიები. მაღლა სართულში მოთავსებულია პროფბირო, ყველა კავშირები, დამზღვევი სალარო, შრომის ორგანო, პროფკავშირთა სამკითხველო და კლუბი. ყველა ეს აერთიანებს მთელი მაზრის მუშა-მოსამსახურეთ, აკავშირებს სულიერად და აქა ჰპოვებენ ისინი სამსახურის გარეშე თავშესაფარს.

ამას ემატება ის სამიტინგო მოედანი, რომელიც ამ შენობის წინ გადაშლილა და რომელიც ეხლა უფრო ფართოვდება, სადაც იმართება მიტინგები.

და სწორედ ეს მოსვენებას არ აძლევთ თურმე ჩვენ მტრებს და მტკიცედ გადაეწყვიტათ მუშა-მოსამსახურეთა ამ ერთად-ერთ კერის—შენობის მოსპობა მისი გადაწვით.

ამ დღეებში ერთ ბნელ ღამეს, მიეტანათ ნავთი, მიესხათ შესავალ კარებისთვის მაღლა სართულში, მიეყარათ ქაღალდი და მიეცათ ასანთი. თუმცა ქაღალდს მოეკიდებია ცეცხლი, მაგრამ საბედნიეროდ მალე გამქრალა, ისე რომ კარები მარტო არუქლულა. კარებს რომ მოჰკიდებოდა, მაშინ მთელი შენობა დაიწვებოდა და ცის ქვეშ დარჩებოდნენ ის ორგანოები, რომლებიც აერთიანებენ, როგორც ზევით ვთქვი მთელი მაზრის ათას ხუთას მუშა-მოსამსახურეს.

ვინ იყო ეს არამზადა ან რა ბოროტი ძალები ამოქმედებდა ჯერჯერობით გამოურკვეველია, თუმცა პროფბიურომ მაშინვე აცნობა ვისაც ჯერ არს ზომების მისაღებად.

ვ.—ლი.

პროვინციის ქრონიკა

— **წარმოდგენები სოფლად.** თელავის სამაზრო გლეხკომის თაოსნობით შესდგა მოძრავი დრამატიული დასი, რომელიც სოფლებში გამართავს უფასო წარმოდგენებს.

— **საექიმო დახმარება.** ოზურგეთის გლეხკომმა საექიმო დახმარება გაუწია 10 ღარიბებს გლეხს საავადმყოფოში მოთავსებით.

— **გზის გაყვანა.** სოფ. მლაშის (ახალციხის მაზრა) გლეხკომმა გაიყვანა ახალი გზა სოფ. მლაშიდან ხასავამდე.

— **სოფ. ჭარალში და ორჭოშანში** (ახალციხის მაზრა) ადგილობრივი გლეხკომი შეუდგა წისქვილების აგებას.

— **საექიმო პუნქტები.** გორის ალმასკომი ხსნის საექიმო პუნქტებს სოფ. კასპში და თეზში.

— **გლეხთა სახლი სიღნაღში.** სიღნაღში უკვე შეუდგენ გლეხთა სახლის მოწყობას.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

საქართველოს საგანგებო კომისიის ბრძანება № 35

ქ. თბილისი, 1925 წ. „5“ მარტი.

§ 1

ცხადდება ყველა მოქალაქეთა და აგრეთვე საზოგადოებრივ და პროფესიონალურ დაწესებულებების და ორგანიზაციების საყურადღებოდ, რომელთაც აქვთ იარაღი თავისი თანამშრომლებისათვის მისაწოდებლად სამსახურის მოვალეობის ასრულების დროს (მოლარეები, „არტელშჩიკები“, კონტროლიორები და აგენტები, რომელთაც მიაქვთ ძვირფასი ნივთები და სხვა), რომ ა. წ. 1 მარტამდი გაცემული ყველა მოწმობები იარაღის ტარებისა და შენახვის შესახებ, საქართველოს საგანგებო კომისიის და სხვა ადგილობრივი ორგანოების [illegible] გაუქმებული.

§ 2

ყველა უპარტიო მოქალაქეებმა გამოუკლებლად და აგრეთვე პარაგრ. 1-ში ჩამოთვლილი დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა, რომელთაც აქვთ ტყვიის მსროლელი იარაღი, ვალდებულნი არიან იქონიონ საქართველოს საგანგებო კომისიის ორგანოს ნებართვა მისი ტარების და შენახვის შესახებ.

§ 3

მოწმობებს ტყვიის მსროლელი იარაღის და მისი ვაზნების შენახვის ტარებისა და შენახვის შესახებ აძლევენ: თბილისში და მის მაზრაში—საქართველოს საგანგებო კომისია, მაზრებში—სათანადო პოლიტბიუროები, საინფორმაციო პუნქტები და საქართველოს საგანგებო კომისიის სამაზრო რწმუნებული.

§ 4

ამ ბრძანების პარაგრ. 3-ში ჩამოთვლილ ორგანოებში შეტანილ განცხადებებს დაკრული უნდა ჰქონდეს სალერბო და საკანცელარიო მარკები: კერძო მოქალაქეებმა უნდა დააკრან 2 მანეთის მარკა, დაწესებულებებმა—25 კ.

შენიშვნა: განცხადებებზე დასაკრავი სალერბო და საკანცელარიო მარკების მიღება შეიძლება ზემოჩამოთვლილ ორგანოებში.

§ 5

იარაღის რეგისტრაცია და ნებართვის გაცემა მისი ტარებისა და შენახვის შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე იწყება ამ დადგენილების გამოცემის მომენტიდან და თავდება 1925 წლის 1 მაისს.

§ 6

პარაგრ. 1-ში ჩამოთვლილი მოქალაქეები, დაწესებულებები და ორგანიზაციები რომლებიც რეგისტრაციაში არ გაატარებენ მათ განკარგულებაში მყოფ ტყვიის მსროლელ იარაღს, მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში კანონის მთელი სიმკაცრით იარაღის ჩამორთმევით.

საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარე კვანტალიანი.

საქართველოს საგანგებო კომისიის საერთო-ადმინისტრაციული ნაწილის უფროსი სტანსკი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— ოთხშაბათს, 8 აპრილს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის ბინაზე მოწვეულია [illegible] თანამდებობებით.

სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დასწრება: [illegible] (1 რაიონი), [illegible], შახნაზაროვის, თემელის და ლუკაშვი (2 რაიონი), დაპელაია და [illegible] (მე-4 რაიონი).

— დღეს, 7 აპრილს, ცენტრალური პარტიულ კლუბში მოწყობილ იქნება კინო. დასაწყისი საღამოს 7 ნ. ნ. საათზე. შესვლა თავისუფალია პარტიის წევრებისა და მათი ოჯახების თვის.

კლუბის გამგეობა.

— დღეს, 7 აპრილს, საღამოს 7 საათზე [illegible] № 03, (სან[illegible]) [illegible] კრება.

საჭიროა ამ კრებაზე [illegible] ყველა [illegible] ქალები.

დღის წესრიგში: [illegible] მიმდინარე კითხვები. [illegible] გააკეთოს ამხ. კალანდაძე.

ლენინის 1-ლი რაიონის [illegible] შვილი.

განცხადებანი

[illegible] დები [illegible] საბას ასული ნაკაშიძე-კეკელიანი, ქეთო ნაკაშიძე, ნინა ლომთათიძე, მინა და პლატონ გიორგის ძე [illegible] აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ აპრილის 4-ს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

მერი ნოეს ასული რამიშვილი

გამოსვენება დღეს, საპიორის ქ. № 14. დაკრძალავენ ვერაზე ნიკოლოზის სასაფლაოზე. 880 1—1

ღრმად დამწუხრებულნი დეიდები: ფუნდუ, ძაბუნე, რახილ და მარო; დეიდაშვილები: ილია, მარო, ნუკა, მიშა, სანათა; ბიძა არტემი, ბიცოლა ქსენია, ბიძა ვასო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას მე-8 შრომის სკოლის მეექვსე ჯგუფის მოწაფის ძვირფასი

მერი (ცუციკო) ნოეს ასული რამიშვილის

დაკრძალვა სამშაბათს, 7 აპრილს დღის 4 საათზე გამოსვენება საპიორის ქ. № 14. 88 1—1

ღრმად დამწუხრებული დედა [illegible] ნოეს ძე რამიშვილები შვილებით: თამარ, ვანო და გიგი, აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგებს და ნაცნობთ, რომ ამა წლის 4 აპრილს მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი უძვირფასესი და დაუვიწყარი მე-8 შრომის სკოლის მე-6 ჯგუფის მოწაფე

მერი (ცუციკო) ნოეს ასული რამიშვილი

გამოსვენება დანიშნულია სამშაბათს, 7 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე, ვერის (ნიკოლოზის) სასაფლაოზე. მისამართი საპიორის ქუჩა № 14. 2—2 № 867

ღრმათ დამწუხრებულნი მიხეილ თადეოზის ძე, ანნა დავითის ასული, იოსებ ბეჟანის ძე მაისაშვილები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს უდროვოთ გარდაცვალებას პირველის ძვირფასი ძმისას, მეორესი მაზლის და მესამესი დაუვიწყარი ბიძაშვილისას

ილია (ილარიონ) თადეოზისძის მაისაშვილის

გამოსვენება გერმანელების საავადმყოფოდან ოთხშაბათს 8 აპრილს საღამოს 5 საათზე თავის საკუთარ ბინაზე. დასაფლავება ხუთშაბათს, 9 აპრილს, საღამოს 4 საათზე თავის ბინიდან პარკის ქუჩა № 28 წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 877 1—1

ღრმათ დამწუხრებულნი და გულდათუთქულნი მეუღლე მინადორა, შვილები ელენე (ლოლა) და ნინო გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი

ილია (ილარიონ) თადეოზის ძე მაისაშვილი

გამოსვენება გერმანელების საავადმყოფოდან ბინაზე ოთხშაბათს 8 აპრილს, დღით 5 საათზე, გამოსვენება ხუთშაბათს, დღით 4 საათზე საკუთარ ბინიდან პარკის № 28 წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 877 1—1

ღრმად დამწუხრებულნი: ძმა იონა, რძალი მარიამი სურმავები შვილებით: კუკუშა და ნინოთი; დები: მარგალიტა, მელანია და ვალენტინა სურმავას ასულნი გაუწყებთ ჩვენთვის ძვირფასის და საყვარელის

პამფილის ივანეს ძე სურმავას

უეცრად გარდაცვალებას ტირილი და უკანასკნელი გამოთხოვება იქნება აპრილის 9-ს, დღით ხუთშაბათს, ს. ნაგვაზოვოში (ნაოლაღევის თემი, სამეგრელო) საკუთარ სახლში. 876 1—1

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ნოე მიხეილის ძე თევზაძე, დედა აკვირინე, მამა ფილიპე, ძმა ისიდორე, რძალი ვერა სანიკიძეები, და ლუდმილა, სიძე კოსტა თევზაძეები, დედამთილი ალათი, მაზლი გალაკტიონი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ ქ. თბილისის რკინისგზის საავადმყოფოში ოპერაციის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

პინა ფილიპეს ასული თევზაძისა

გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება ა. წ. 9 აპრილს დღით ხუთშაბათს, ნაშუადღევის სრულ 4 საათზე თავის ბინიდან სადგურის ქუჩა № 13. 870 1—1

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: [illegible], დიმიტრი, ალექსანდრე, მატრონე, ელპიტე; რძლები: სოფიო, ლიზა მილია; შვილის შვილები: იპოლიტე, ქონია, ზაქრო, ტასო, ვასო, სიკო და აბესალო ვადაჭკორიები; პეტრე, ოლღა, ევტიხი, ნიკოლოზ, ნოე მახარაძეები; ძმა გიორგი, რძალი პელაგია; ძმის შვილები: ივანე, სარდიონ, ვასილ, გერონტი, სერაპიონ, კატო, არტემ აბდლულაძეები—აუწყებენ ნათესავთ-ნაცნობათ ძვირფასი და დაუვიწყარი

ბაბალე გაბრიელის ასული ვადაჭკორიას

გარდაცვალებას. გამოსვენება ხუთშაბათს, 9 აპრილს, დღის 3 საათზე—ქალ. ოზურგეთი—ორჯონიკიძის ქუჩა № 1. დაკრძალვა მოხდება ოზურგეთის ქალაქის სასაფლაოს ეკლესიაზე. 879 1—1

გულდათუთქული და დატანჯული დედა ანნა ნიკოლოზის ასული, ძმა ვასილ (ვასიკო) მიხეილის ძე, დები ტატიანა და თამარი, რძალი ვერა ვლადიმერის ასული, ძმის შვილები რეზიკო და ლეილა კვინიკაძეები, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ქრისტინე

მიხეილ კვინიკაძის ასული

[illegible] ოთხშაბათს, 8 აპრილს. 2-2 862

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 7 აპრილს,

[illegible] გასტროლი

რუსალკა

ნის. 1084. 1—1

„კომუნისტი“

ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზეთის მიუღებლობის ან თავის დროზე არ მიღების შესახებ

აცნობეთ კანტორას უსათუოდ

ქვითარის (კვიტანციის) №-ის აღნიშვნით

ტელეფონი № 10—49

5—1

„კომუნისტი“-ს

კანტორა

კატეგორიულ წინადადებას აძლევს

დავით ფარნაოსის ძე ქავთარაძეს

გამოცხადდეს კანტორაში ერთ კვირაში

და გაუსწოროს მას ანგარიშები

სახელმწიფო

საბუღალტრო კურსებზე

(ყოფ. პ. ზუმბაძისა და ინწკირველისა)

ახალ მსმენელების მეცადინეობა დაიწყება 10 აპრილს. კურსებზე ჩაწერა და ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე (გარდა კვირა-უქმე დღეებისა) 1) განათლების კომისარიატში (ოთახი 5) 1—2 საათამდე, 2) კურსების ბინაზე საღამოს 5—7 საათამდე. (ყოფილი ქალთა პირველ გიმნაზიის შენობა, კეცხოველის ქუჩა, № 12).

კურსების გამგე მ. თაქთაქიშვილი

№ 818 3—3

ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება ახალი წიგნი ზინოვიევის სახელობის პრაქტიკულ საანგარიშო კურსების მასწავლებლის ი. მ. გალპერინის

„საბალანსო-მეტყველების საფუძველი“

კონსპექტიური კურსი ზოგადი ანგარიშ-მეტყველების თეორიის, მეორე შესწორებული გამოცემა (კონსპექტი ზოგადი ანგარიშ-მეტყველების თეორიის) ნ. 1028 5—4

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

პოლიტიკურ ეკონომიის დაწყებითი კურსი

ფასი 1 მ. 50 კ.

დაკვეთა და ცალობით შეძენა მხოლოდ გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში

(რუსთაველის პროსპექტი № 24 მე-2 სართული).

678 5—2. გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

სამეცნიერო-პოპულარული კრებული

წელიწადი მესამე 1925 წ.

ჩვენი მეცნიერება

წელიწადი მესამე 1925 წ.

1 ნომ. (№ 13 წ. []) გამოდის გაფართოებული პროგრამით

წელიწადში გამოდის 12 ნომერი და ღირს ხელისმომწერთათვის 12 მან. მასწავლ. და სტუდენტ. 8 მან. ხელის მომწერლები იხდიან ნაწილ-ნაწილათ მიღებულ №№-ბის საფასურს მხოლოდ კრებულის მიღების შემდეგ ორი თვის გამავლობაში.

კრებული უმთავრეს მიზნად ისახავს ქართველ მეცნიერ-მკვლევართა ნაშრომებისა და პოპულარული გამოკვლევების გამოქვეყნებას.

კრებულში—განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა აგრეთვე უცხოეთის მეცნიერებასაც მიმოხილვის სახით.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული აგრეთვე სოციალურ მეცნიერებათ და მოთავსდება წერილები მარქსისტულ მოძღვრებიდან.

კრებულში—იქნება როგორც ორგინალური ნაშრომები, აგრეთვე თარგმანებიც.

კრებულში—წარმოდგენილი იქნება მეცნიერების შემდეგი დარგები:

— ფილოსოფია, ლოღიკა, სოციოლოგია, პოლიტ. ეკონომია, ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორია, ეკონომიური ისტორია (საქართველოს ეკონ. ისტორია), სამართლის თეორია, ქართული სამართლის ისტორია, სახელმწიფო და საერთაშორისო სამართალი, საფინანსო მეცნიერება, სტატისტიკა და სხვ.

— ფსიქოლოგია, პედაგოგიკა, ენათმეცნიერება, პალეოგრაფია, ეპიგრაფიკა, ისტორია, ისტორიის მეთოდოლოგია, ლიტერატურა, ხელოვნება არქეოლოგია და სხვა.

— მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, მინერალოგია, გეოლოგია, ბიოლოგია, ანთროპოლოგია, ეთნოგრაფია, ზოოლოგია, ბოტანიკა, ასტრონომია, სამკურნალო მეცნიერება და სხვა.

— სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკა და მექანიკა, მეტყეობა, მებაღეობა, სამთომადნო და საინჟინერო ხელოვნება.

— ბიბლიოგრაფია, სამეცნიერო მიმოხილვა (უცხოეთისა და საქართველოსი) ქრონიკა და სხვა.

კრებული გარდა საქართ. ყავს წლიური ხელისმომწერლები შემდეგ ქალაქ.: **ბაქოში, კავკავში, როსტოვში, ხარკოვში, მოსკოვში, ლენინგრადში, ტაშკენტში, ძველი ბუხარაში, კოგ ამი** (ახ. ბუხ.) და **სამარკანდში.** კრებული ვრცელდება აგრეთვე **ბერლინში, პარიზში და ლონდონში.**

თანამშრომელთა საყურადღებოდ: ყოველი ავტორი მიიღებს თავისი წერილის ცალკე ამონაბეჭდს (ან ბროშურის სახით) **60 ცალად,** თუ ავტორი მოისურვებს, ნაცვლად ცალკე ამონაბეჭდებისა მიიღებს **ჰონორარს,** ამიტომ რედაქცია თხოვს ავტორებს, წერილების გადმოგზავნისთანავე აცნობოს მას, ცალკე ამონაბეჭდების ძალება ჰსურს მას, თუ ჰონორარის.

თუ რომელიმე ავტორს ან გამომცემელს სურს, რომ რედაქციამ გამოსთქვას თავისი აზრი გამოცემულ წიგნის შესახებ —უნდა გადმოგზავნოს ასეთი რედაქციაში ორ ცალად.

მასალები უნდა გადმოიგზავნოს ამ მისამართით: რუსთავ. პრ. № 20. ტელეფ. 9—59.

რედაქტორ-გამომცემელი: **ანდრო შილაკაძე.**

8—5 ნის. 1000.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ ჩედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9205 25—18

საფლავების აღრიცხვა

ვერის, კუკიის და პეტრე-პავლეს სასაფლაოებზე სწარმოებს პირველ მაისამდის.

ცნობების მიღება შეიძლება სასაფლაოებზე არსებულ კანტორაში.

833. 4—4

ექიმი

ნ. ა. ჯანდიერი

შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.

სომხის ბაზარი № 3.

№ 202.

25—15

ექიმი

დ. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული (მწვავე და ქრონიკური ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-დე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე.

ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

482 25—23.

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიანი თუხარელისა

კბილის და ღვიძლის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ)

25—5

ექიმი

მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე; ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

25—14

ექიმი

ა. ს. ფონ-ირტელი

(მიხეილის პროსპექტი, 10, ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბონ-მონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათ (სიფრენეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპპერის) სპეციალისტი.

ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—25

ექიმი

ი. დ. თოფურიძე

ქუჩა კალინინის (ყოფილი ნიკოლოზის) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

25—3

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. № 3203. 25—25

ექიმი

გ. გ. მეგრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გასულ, ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

2746. 25—25

ა. მ. მძინარაშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროს. № 18 შესავალი კრუზენშტეინის ქუჩიდან.

25—23

ექიმი ვ. ნ. ჩუპრინინი

საბჭოთა ქ. № 87 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, ვენაში შეშხაპუნება.

მიღება დილით 10—11 საათ. საღამოს—5—6 საათ.

25—9

დაკარგე კომპარტიის მთიულეთის საწევრო ბილეთი № 491266, ალექსი კალისტრატეს-ძე ებრაილიძის სახელზე; ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1 878.

დაკარგე პირადობის მოწმობა გაცემული ჩხარის რაიონის ალმასკომისაგან აფრასიონ იოსების-ძე აბესაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1 871

დაკარგე სახლის ბინის წიგნი ფერმო-ავლაბარსკის პრ. № 35, რიმსო ივანეს ასული მიკიტუმოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1 874.

დაკარგე დაქორწინების საბუთი № 562 | 2408 1924 წლ. დეკემბრ. ნიკოლოზ გვანცელაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 873

დაკარგე პირადობის მოწმობა № 4531 მოცემული თბილისის მილიციის უფროსისაგან ევგენი ინაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1 872

ტირაჟი—20.832

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, საშა წულუკიძის ქ. № 4